# ქართული

## როგორც მეორე ენა

# 6

ნონა არევაძე-კოტორაშვილი
ზეინაბ ბერაძე, ნათია მანია, ნონა მიქელაძე
ია რობაქიძე, ნინო ჭანკვეტაძე
გიორგი ჭაუჭიძე

სულაკაურის
გამომცემლობა

## მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2020 წელს.

ქართული, როგორც მეორე ენა 6
მასწავლებლის წიგნი

თბილისი, 2020

ავტორები: **ნონა არევაძე-კოტორაშვილი, ზეინაბ ბერაძე, ნათია მანია, ნონა მიქელაძე, ია რობაქიძე, ნინო ჭანკვეტაძე, გიორგი ჭაუჭიძე**

რედაქტორი **თამარ გავაშელიშვილი**
ილუსტრატორი **ნანა მელქაძე**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერები: **ვიკა კვარაცხელია, გიორგი ლომსაძე**

© სულაკაურის გამომცემლობა, 2020
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 2910954, 2911165
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-622-8

Georgian as Foriegn Language 6
Teacher’s book

© Sulakauri Publishing, 2020
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

# სარჩევი


1. სახელმწიფო ენები . ..... 5
2. შესავალი ..... 7
3. სახელმძღვანელოს ორიენტირება ეროვნულ სასწავლო გეგმაზე სტანდარტის შედეგები და ინდიკატორები ..... 9
4. მეთოდური რეკომენდაციები ..... 24
5. სახელმძღვანელოს თემების გაწერა საგაკვეთილო აქტივობებად ..... 28
   *თემა 1* ..... 28
   *თემა 2* ..... 36
   *თემა 3* ..... 40
   *თემა 4* ..... 46
   *თემა 5* ..... 50
   *თემა 6* ..... 58
   *თემა 7* ..... 63
   *თემა 8* ..... 67
   *თემა 9* ..... 72
   *თემა 10* ..... 76
   *თემა 11* ..... 81
   *თემა 12* ..... 86
6. შემაჯამებელი დავალებები 12-ვე თემისათვის ..... 90
7. შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკა ..... 98
8. მოსმენის დავალებების ტექსტები და ინტერნეტბმულები ..... 101
9. რეკომენდაციები დამატებით საკითხავებზე სამუშაოდ ..... 108

# სახელმწიფო ენები

სახელმწიფო ენების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

- **ქართული ენა და ლიტერატურა;**
- **ქართული, როგორც მეორე ენა;**
- **აფხაზური ენა და ლიტერატურა.**

სახელმწიფო ენის შესწავლა მოზარდს უვითარებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარს, გამოუმუშავებს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოხატვის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების გააზრებული კითხვისა და შექმნის უნარს სახელმწიფო ენაზე; ეხმარება მას, რომ გააცნობიეროს ლოკალური და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი, ხელს უწყობს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების განვითარებას; უზრუნველყოფს მოზარდის სრულფასოვან ინტეგრირებას სამოქალაქო საზოგადოებაში.

## სახელმწიფო ენების სწავლების მიზნები და ამოცანები

სახელმწიფო ენების (ქართულის/აფხაზურის) სწავლების მიზანია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი და შემოქმედებითი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას, საკუთარი წვლილის შეტანას ქვეყნის წინსვლასა და სამოქალაქო საზოგადოების შემდგომ განვითარებაში.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს:

- ენობრივი ცოდნის შეძენა-გაღრმავება, ენობრივი უნარების განვითარება;
- აზრის ცხადად, ლაკონიურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვის უნარის ჩამოყალიბება;
- მსჯელობის უნარის განვითარება;
- სააზროვნო მოქმედებათა (ანალიზი, შედარება, განზოგადება) განვითარება ენობრივ (ტექსტობრივ) საფუძველზე;
- ფუნქციურად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტექსტების შესწავლისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბება;
- ტექსტებთან შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავება;
- დისკუსიებში მონაწილეობა, მონოლოგური და დიალოგური მეტყველების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება;
- სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვის უნარის განვითარება;
- მიზნობრივი ამოცანის შესატყვისი სტილით გამართულად წერისა და მეტყველების უნარის განვითარება;

- სხვადასხვა სახის, სტილისა და ჟანრის ტექსტების ანალიზისა და შექმნის უნარის გამომუშავება-განვითარება;
- მწერლის შემოქმედების გააზრების უნარის განვითარება სუბიექტური (მწერლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები და მომენტები) და ობიექტური (ეპოქის ზოგადი კონტექსტი) ფაქტორების გათვალისწინებით;
- მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებში ასახული პრობლემატიკის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბებისა და მისი არგუმენტირების უნარის გამომუშავება;
- ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმისა და შეფასების უნარის გამომუშავება;
- ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრებისა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარის განვითარება;
- ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესების, უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის გაგების უნარის გამომუშავება;
- კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავება;
- სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულების (პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა, ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა, ენების სწავლის სურვილი და სხვ.) ჩამოყალიბება და განვითარება;
- სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციოკულტურულ თავისებურებათა დაფასება და პატივისცემა; სოციოკულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;
- უცხო კულტურის გაგების უნარის განვითარება;
- სახელმწიფო ენის/ენების ცოდნის დამოუკიდებულად გაღრმავების უნარის განვითარება;
- ენის სწავლის უნარ-ჩვევების (სწავლის სწავლა) განვითარება;
- საგანმანათლებლო მიზნებით ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარება;
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევების (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედებითობა და სხვ.) განვითარება;
- ქვეყნის მოქალაქეობის განცდის უნარის გამომუშავება და განვითარება.

# შესავალი

„ქართული, როგორც მეორე ენა 6“ წარმოადგენს მე-6 კლასის სახელმძღვანელოს არაქართულენოვანი სკოლებისთვის.

სახელმძღვანელო შედგება **4 კომპონენტისაგან:**

1. მოსწავლის წიგნი
2. სავარჯიშოების რვეული
3. მასწავლებლის წიგნი
4. მოსასმენი ტექსტები და ვიდეოსიუჟეტები (ციფრული ფორმატით)

მოსწავლის წიგნი და რვეული დაყოფილია **12 თემატურ ერთეულად:**

1. პირველი ევროპელები
2. რთველი
3. ხასიათი
4. სკოლა
5. მეგობრობა
6. იყავი ჯანმრთელი!
7. მზე და მთვარე
8. გაზაფხულის დღესასწაულები
9. საყიდლებზე
10. მოგზაურობა
11. ქართული ზღაპარი
12. ტომ სოიერის თავგადასავალი

თითოეულ თემაში მოცემული აქტივობები ხელს უწყობს მოსმენის, კითხვის, წერის, ლაპარაკის უნარების განვითარებას, ასევე მოცემულია თემატიკასთან დაკავშირებული გრამატიკის საკითხები.

ნებისმიერი დავალებისა თუ სავარჯიშოს პირობაში მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზე არის მოცემული მითითება. ასევე მოცემულია პირობითი ნიშანი მოსმენის დავალებისას.

**გაითვალისწინეთ:**

მოსწავლის წიგნში მოცემულია დავალებები, რვეულში კი – სავარჯიშოები. ნუმერაცია გადანაწილებულია იმგვარად, რომ შესასრულებელი აქტივობების მიმდევრობა დაცულია. მაგალითად, წიგნში პირველი დავალების შემდეგ თუ მოდის მე-3 დავალება, ეს ნიშნავს, რომ პირველი დავალების შემდეგ შესასრულებელია მე-2 სავარჯიშო, რომელიც სავარჯიშოების რვეულშია მოცემული.

წინამდებარე მასწავლებლის წიგნში გაწერილია ყველა თემა დეტალურად და მოცემულია შემაჯამებელი დავალებისა და ქვიზის ნიმუშები. აქვეა წარმოდგენილი მეთოდური მითითებები, რომლებიც უთუოდ დაეხმარება მასწავლებელს, უკეთ წარმართოს საგაკვეთილო პროცესი.

**შენიშვნა:** ქვიზი არ არის სტანდარტული შემაჯამებელი დავალება. ის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია, რომლის მიზანია, სწრაფად შეამოწმოს სასწავლო მასალის ათვისების ხარისხი და საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი და მოსწავლე მიაბრუნოს შესასწავლი თემის „სუსტ რგოლთან“.

მასწავლებლის წიგნს ბოლოში აქვს დართული ასევე მოსასმენი დავალებების ტექსტები (აუდიომასალა ციფრული ფორმატით ატვირთულია გამომცემლობის საიტზე) და ვიდეოსიუჟეტების ინტერნეტბმულები.

# სახელმძღვანელოს ორიენტირება ეროვნულ სასწავლო გეგმაზე

სახელმძღვანელო აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით. სრულადაა გათვალისწინებული თემატიკა, გრამატიკული მასალა და პრიორიტეტული კომპეტენციები. რასაკვირველია, სასურველია მასწავლებელმა კარგად გადაამუშაოს სტანდარტის მოთხოვნები და თვითონაც გაითვალისწინოს თითოეული მოთხოვნა სწავლების დაგეგმვისა და თუ რეალიზაციის ფაზებზე ისევე, როგორც შეფასების გამოყენებისას.

## სტანდარტის შედეგები და ინდიკატორები

### VI კლასი

| მიმართულება კომუნიკაცია: მოსმენა და მოსმენის სტრატეგიები | |
|---|---|
| **სტანდარტის შედეგები** | **VI კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები** |
| **ქ.მ.დაწყ.(II).1.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ილუსტრირებული ტექსტის ძირითადი შინაარსის მოსმენა და გაგება. | **მოსწავლე:**<br>• ამოიცნობს საკომუნიკაციო სიტუაციასა და კონკრეტულ დეტალებს;<br>• ამოიცნობს თანამოსაუბრეთა და პერსონაჟთა შორის არსებულ ურთიერთობებს (მაგ., *მეგობრული, კონფლიქტური, ფორმალური, ახალგაცნობილები, დიდი ხნის ნაცნობები* და ა.შ.);<br>• ამოიცნობს თანამოსაუბრეთა და პერსონაჟთა ემოციებს, განწყობებსა და შეგრძნებებს;<br>• ამოიცნობს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს;<br>• ამოიცნობს ცალკეული მოქმედებების, ფაქტებისა და მოვლენების თანამიმდევრობას. |
| **ქ.მ.დაწყ.(II).2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენილი ტექსტის მიმართ საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა. | **მოსწავლე:**<br>• ვერბალურ და არავერბალურ (მაგ., ინტონაციაზე, მახვილზე და ა.შ.) ინფორმაციაზე დაყრდნობით აფასებს პერსონაჟთა ქცევასა და ხასიათს;<br>• გამოხატავს საკუთარ აზრს პერსონაჟთა მოქმედებების მიმართ და ხსნის მათი ქცევის მიზეზებსა თუ მოტივებს;<br>• გამოაქვს კონკრეტული დასკვნები თანამოსაუბრეთა / პერსონაჟთა შესახებ;<br>• ნილ ამბავს / ისტორიას / სიტუაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან. |

| | |
|---|---|
| **ქ.მ.დაწყ.(II).3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს შესაბამისი ენობრივი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მოსმენილი ტექსტის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა. | **მოსწავლე:**<br>• ინტონაციის მიხედვით განარჩევს შეკითხვას თხოვნისაგან, რჩევას ბრძანებისაგან და ა.შ.;<br>• ამოიცნობს მეტყველების თავაზიან და ფამილარულ ფორმებს;<br>• ამოიცნობს გეზისა და ორიენტაციის გამომხატველ ენობრივ საშუალებებს (*ზმნისწინები, ადგილის ზმნიზედები, თანდებულები* და ა.შ.);<br>• ამოიცნობს მოვლენათა თანამიმდევრობის გამომხატველ სიტყვებს (*პირველად, ჯერ, შემდეგ, ბოლოს*);<br>• ამოიცნობს შესასრულებელი მოქმედებისადმი დამოკიდებულების გამომხატველ მარკერებს (მაგ., *სურვილი, ვარაუდი, ბრძანება, აკრძალვა: შეგიძლია/უნდა/არ + გააკეთო*). |
| **რეკომენდაციები** | |
| **რეკომენდაციები**<br>**ტექსტის ტიპები:**<br>ა) სასწავლო მიზნებით შედგენილი ილუსტრირებული და არაილუსტრირებული დიალოგები; აღწერითი/ნარატიული ხასიათის ტექსტები; კომიქსები;<br>ბ) მარტივი ავთენტური დიალოგები და ინტერვიუები;<br>გ) პრაგმატული ტექსტები (მაგ., *ზეპირი განცხადებები, მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციები და შეტყობინებები, მარშრუტი*);<br>დ) მულტიმედიური ტექსტები: საპროგრამო თემატიკაზე შექმნილი აუდიო-ვიდეომასალა; საბავშვო მხატვრული და დოკუმენტური ფილმები; საბავშვო გასართობ-შემეცნებითი გადაცემები. | |
| სტრატეგიები:<br>• ილუსტრაციების, სათაურის საფუძველზე ტექსტის შინაარსის შესახებ ვარაუდის გამოთქმა (შესაძლებელია მშობლიურ ენაზეც);<br>• ჩანაწერის ან უშუალოდ მეტყველების მოსმენისას არავერბალურ ელემენტებზე დაყრდნობა;<br>• უცნობი სიტყვების, გამოთქმების დამოუკიდებლად ამოცნობის მცდელობა ნაცნობ სიტყვიერ თუ არასიტყვიერ ელემენტებზე დაყრდნობით (*კონტექსტი, მიმიკა/ჟესტიკულაცია, ინტონაცია, ხმის ტემბრი, ილუსტრაცია* და ა.შ.);<br>• ქართულ ენაზე მარტივად იმის აღწერა, თუ რა ხერხით/გზით მოახერხა მოსასმენი ამოცანის გადაჭრა. | |

**კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:**

- მონიშვნა სწორი/არასწორი პასუხის, სათანადო ინფორმაციის (მაგ., *სად არის გაკეთებული განცხადება – სადგურში, თვითმფრინავში, სტადიონზე, სკოლაში, სუპერმარკეტში, მეტროში, ქუჩაში* და ა.შ.);
- კონკრეტული ინფორმაციით ცხრილის ან ნაკლული ტექსტის შევსება (მაგ., სასკოლო ღონისძიების დრო და ადგილი, დაკარგული ნივთის მახასიათებლები, სურსათის ფასი, გამგზავრების დრო, უსაფრთხოების წესები, დანიშნულების ადგილი და მიმართულება და ა.შ.);
- ინფორმაციის სხვადასხვა ნიშნით დალაგება (მაგ., *თანმიმდევრულად ალაგებს მოქმედებებს: ჯერ მარჯვნივ გაუხვიე, შემდეგ ქუჩა გადაკვეთე და იარე პირდაპირ...*);
- კითხვებზე პასუხის გაცემა (მაგ., *რა არის განცხადების თემა / მიზანი – რეკლამირება, გაფრთხილება, რეკომენდაციების / რჩევების მიცემა, მარშრუტის ახსნა; ვისთვის არის განკუთვნილი შეტყობინება, განცხადება; ვინ არიან დიალოგში მონაწილე პირები ერთმანეთისთვის* და ა.შ.);
- მოსმენილი ტექსტის მიხედვით სქემის, ილუსტრაციის შექმნა (მაგ., *ხაზავს მარშრუტის სქემას*);
- მარტივი გეგმის შედგენა;
- მოსასმენი ამოცანების შესაბამისად კონკრეტული ინფორმაციის ილუსტრაციასთან დაკავშირება;
- საკუთარი ვერსიების შედარება / შემოწმება / დაზუსტება

**მიმართულება კომუნიკაცია: კითხვა და კითხვის სტრატეგიები**

| **სტანდარტის შედეგი:** | **VI კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები:** |
|---|---|
| **ქ.მ.დაწყ.(II).4.** მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა და ძირითადი შინაარსის გაგება. | **მოსწავლე:**<br>• ამოიცნობს ახსნა-განმარტებითი ტექსტების, განცხადებებისა და მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციების საკომუნიკაციო სიტუაციას, თემასა და შინაარსს;<br>• ამოიცნობს ფაქტობრივ ინფორმაციას;<br>• ამოიცნობს მოვლენათა და მოქმედებათა თანამიმდევრობას; განმარტავს, სად იწყება და სად მთავრდება ამბის განვითარების საფეხურები და მიუთითებს შესაბამის მარკერებზე;<br>• ამოიცნობს ტექსტის / ინფორმაციის ავტორის ემოციებს, განწყობებსა და დამოკიდებულებებს;<br>• ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის მიხედვით ახასიათებს პიროვნებას; აღწერს საგნებს, გარემოს; მიუთითებს პერსონაჟთა ქცევის მოტივებზე;<br>• ამოიცნობს წინადადებებს ან ტექსტის ნაწილებს შორის არსებულ კავშირებს;<br>• იჩენს ინტერესს კულტურული განსხვავებების მიმართ. |

| | |
|---|---|
| **ქ.მ.დაწყ.(II).5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა. | **მოსწავლე:**<br>• გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, პოზიციას პერსონაჟისა და მისი მოქმედების, მოვლენის მიმართ;<br>• აფასებს პერსონაჟთა საქციელს და ამ ქცევის მოტივებს;<br>• ექსპლიციტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა;<br>• ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან. |
| **ქ.მ.დაწყ.(II).6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ხმამაღალი კითხვის სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის წაკითხვა. | **მოსწავლე:**<br>• გამართულად და გამომეტყველებით კითხულობს კლასის წინაშე ნაცნობი ტექსტიდან სასურველ/შერჩეულ ნაწყვეტს;<br>• მონაწილეობს დიალოგის, სკეტჩის გუნდურ კითხვაში;<br>• სხვადასხვა მოდალობის წინადადების წარმოთქმისას იცავს შესაბამის ინტონაციას. |
| **ქ.მ.დაწყ.(II).7.** მოსწავლემ უნდა შეძლოს შესაბამისი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა. | **მოსწავლე:**<br>• ერთი ტექსტის ფარგლებში გამოყოფს ტექსტის ფუნქციურ ტიპებს (თხრობა, აღწერა) და მიუთითებს შესაბამის ნიშნებზე (მაგ., <u>აღწერისას</u> – *ზედსართავებისა და ნაზმნარი ზედსართავების, ანუ მიმღეობების სიჭარბე, ზმნების ნაკლები რაოდენობა;* <u>*თხრობისას*</u> – *ზმნების სიჭარბე, მოქმედების თანამიმდევრობა და მისი მარკერები* და ა.შ.);<br>• სტრუქტურული ორგანიზების მიხედვით ადარებს ერთმანეთს ერთი და იმავე ტიპის ტექსტებს და მშობლიურ ენაზე მსჯელობს, რომელი მათგანი უფრო მეტად უწყობს ხელს ტექსტის აღქმას;<br>• კონტექსტის მიხედვით ამოიცნობს კონკრეტული თანდებულის ფუნქციას (მაგ., ***-დან – -მდე*** *თანდებულებით ადგილისა და დროში სიხშირის/ინტენსივობის განსაზღვრა* და ა.შ.);<br>• ამოიცნობს დროთა თანამიმდევრობისა და ლოგიკური ურთიერთმიმართების გამომხატველ სიტყვებს, სიტყვათშეხამებებსა და კავშირებს;<br>• ამოიცნობს შეფასება/დამოკიდებულების გამომხატველ ენობრივ ფორმულებს;<br>• ამოიცნობს და მართებულად აკავშირებს ერთმანეთთან მისათითებელ სიტყვებსა და წევრ-კავშირებს (მაგ., *იქ – სადაც, მაშინ – როცა* და ა.შ.);<br>• ამოიცნობს სასვენი ნიშნების ფუნქციას (მაგ., *კონტექსტის მიხედვით ამოიცნობს, რა არის გამოხატული ძახილის ნიშნით – ბრძანება, თხოვნა, სიხარული, მწუხარება* და ა.შ.). |

| **რეკომენდაციები** |
|---|
| **ტექსტის ტიპები:**<br>ა) პრაგმატული ტექსტები (განცხადებები, შეტყობინებები, მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციები);<br>ბ) მარტივი კორესპონდენცია (ღია ბარათი, პირადი წერილი);<br>გ) მცირე ზომის ადაპტირებული მხატვრული ტექსტები (ლექსი, მოთხრობა, ლიტერატურული ზღაპარი, ლეგენდა);<br>დ) ილუსტრირებული შემეცნებითი ტექსტები;<br>ე) მარტივი ბიოგრაფიული ტექსტები (დღიური, მოგონება). |
| **სტრატეგიები:**<br>• პირველი წაკითხვისას ტექსტის მთლიანად გაცნობა ისე, რომ არ ჩერდება უცნობ სიტყვებზე;<br>• სირთულეების დასაძლევად რთული ან მნიშვნელოვანი ადგილების გადაკითხვა;<br>• კონტექსტის, გამოცდილების ან ლექსიკონის დახმარებით უცხო სიტყვების მნიშვნელობის დაზუსტება;<br>• კონკრეტული ინფორმაციის მოძიების მიზნით ტექსტის სწრაფად წაკითხვა, შესაბამისი საყრდენების მოძიება (მაგ., *საკვანძო სიტყვების, თავების/პარაგრაფების სათაურების),* აბზაცების პირველი წინადადებების წაკითხვა;<br>• ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა ტექსტის შინაარსის გარშემო;<br>• საბავშვო ბიბლიოთეკის ანბანური და თემატური კატალოგებით სარგებლობა (იგებს და იყენებს ბიბლიოთეკის კატალოგებსა და ბარათებზე განთავსებულ ინფორმაციას: *ავტორი, სათაური, გვერდების რაოდენობა);*<br>• მარტივი ენით იმის აღწერა, თუ რა ხერხით/გზით შეძლო ამა თუ იმ საკითხავი ამოცანის გადაჭრა. |
| **კონკრეტულ აქტივობათა ნიმუშები:**<br>• განსხვავებული ტიპის ტექსტების ერთმანეთთან შედარება და მსგავსება-განსხვავებებზე მითითება (მაგ., *განცხადებისა – მარშრუტთან; კორესპონდენციისა – ბიოგრაფიულ ტექსტთან, ბიოგრაფიული ტექსტისა – შემეცნებით ტექსტთან, ზღაპრისა – ლეგენდასთან* და ა.შ.);<br>• კონკრეტული ინფორმაციის პოვნა / ამოკრება (მაგ., *ავსებს ცხრილს; მონიშნავს სწორ/ არასწორ პასუხს/ინფორმაციას; ადასტურებს ან უარყოფს მოცემულ ინფორმაციას; პოულობს რეპლიკებსა და მათ ავტორებს, დასმულ შეკითხვებზე პასუხებს* და ა.შ.);<br>• საკითხავი ამოცანების შესაბამისად ინფორმაციების ერთმანეთთან ან ტექსტის ილუსტრაციებთან დაკავშირება (მაგ., *სათაურს აკავშირებს ტექსტთან; გეგმის ცალკეულ პუნქტს – სათანადო აბზაცთან/აბზაცებთან; რუბრიკას ან ტექსტის ცალკეულ მონაკვეთს/ ეპიზოდს – შესაბამის ილუსტრაციასთან; დიალოგს – რუკასთან; ცალკეულ ფრაზებს – კონკრეტულ ტექსტთან* და ა.შ.);<br>• ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით პერსონაჟის აღწერა-დახასიათება; საგნის, გარემოს, მოქმედების, მოვლენის აღწერა;<br>• არეული ტექსტის თანმიმდევრობით დალაგება (მაგ., *დიალოგის არეულ რეპლიკებს ნომრავს თანამიმდევრობით; სიუჟეტურ სურათებს ნომრავს ისე, რომ ამბავი გამოვიდეს* და ა.შ.);<br>• საკუთარი ვარაუდებისა და ვერსიების ტექსტის მიხედვით შემოწმება / შედარება;<br>• კონკრეტული პოზიციის გასამყარებლად ტექსტში სათანადო ინფორმაციის მოძიება; |

- ილუსტრაციებზე/ტექსტებში ასახული სიმბოლური, სოციოკულტურული, საყოფაცხოვრებო რეალიების მითითება;
- განსხვავებულ კულტურებს შორის პარალელების გავლება (პოულობს და ასახელებს მსგავსებებს, განსხვავებებს);
- მოსმენილი ან წაკითხული ამბების, ზღაპრების, ლეგენდებისა თუ ნანახი ფილმების (ანიმაციური, დოკუმენტური, მხატვრული) დასახელება მშობლიურ ენაზე, რომლებიც გაახსენა შესწავლილმა ტექსტმა
- და სხვა.

**ენობრივ დავალებათა ნიმუშები:**

- ენობრივი ერთეულების (/მასალის) დაკავშირება სხვადასხვა მიზნით (მაგ., *შეკითხვების პასუხებთან დაკავშირება; წინადადების ერთი ნაწილის დაკავშირება მეორესთან; სიტყვიერი განმარტების დაკავშირება შესაბამის ლექსიკურ ერთეულთან; გაყოფილი სიტყვათშეხამებების, მსგავსი ან საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება* და ა.შ.);
- წინადადებაში სწორი/არასწორი სიტყვის ან შესიტყვების, გრამატიკული ფორმის მონიშვნა / გადახაზვა;
- ტექსტში დაშვებული ლექსიკური თუ გრამატიკული შეცდომების პოვნა და მითითება;
- განმარტებების მიხედვით შესაბამისი ლექსიკური ერთეულის გამოცნობა / დასახელება;
- მოცემული ვარიანტებიდან  სწორი / არასწორი ვარიანტის მონიშვნა, შემოხაზვა
- და სხვა.

| **მიმართულება კომუნიკაცია: წერა და წერის სტრატეგიები** | |
|---|---|
| **სტანდარტის შედეგები** | **VI კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები** |
| **ქ.მ.დაწყ.(II).8.** მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის / ამბის წერა ილუსტრაციებზე დაყრდნობით ან ნიმუშისა თუ მოცემული პირობის მიხედვით. | **მოსწავლე:**<br>• იცავს ტექსტის ფორმალურ მხარეს;<br>• განსაზღვრავს საკომუნიკაციო სიტუაციას და შესაბამისად ირჩევს სტილსა და სხვა ენობრივ მახასიათებლებს;<br>• თანამიმდევრობით გადმოსცემს ფაქტებს, მოვლენებს, მითითებებს, შესაბამის რჩევა-დარიგებებს;<br>• აღწერს ადამიანებს, გარემოს, მოვლენებს, კონკრეტულ მოქმედებებს;<br>• მიუთითებს კონკრეტულ დეტალებს (*ვინ, რა, სად, როდის, როგორ, რატომ, რისთვის* და ა.შ.);<br>• გამოხატავს საკუთარ განწყობებს, განცდებსა და ემოციებს, გრძნობებსა და სურვილებს;<br>• ავლენს შემოქმედებით დამოკიდებულებას. |

| | |
|---|---|
| **ქ.მ.დაწყ.(II).9.** მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების წერილობით გამოხატვა და კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა. | **მოსწავლე:**<br>• გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ადამიანისადმი / ფაქტისადმი / მოვლენისადმი;<br>• აფასებს პერსონაჟის / ცხოველის ქცევას, ამ თუ იმ მოვლენას, ტექსტის მიზანს;<br>• ექსპლიციტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა;<br>• ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან. |
| **ქ.მ.დაწყ.(II).10.** მოსწავლემ უნდა შეძლოს შესაბამისი სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით წერილობითი ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლებისა და ელემენტარული ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციური გამოყენება. | **მოსწავლე:**<br>• იყენებს ამა თუ იმ ტექსტის სტრუქტურულ მახასიათებლებს;<br>• სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციის წარმოდგენისას (მაგ., *ინფორმაცია, რჩევა, თხოვნა, მოპატიჟება* და ა.შ.) იყენებს შესაბამის ენობრივ-გრამატიკულ სტრუქტურებსა<br>• და ხერხებს;<br>• იყენებს ამა თუ იმ ტექსტისათვის დამახასიათებელ ენობრივ-სტილურ საშუალებებს (მაგ., ხშირად გამოყენებულ ამა თუ იმ გრამატიკულ ფორმას, სინტაქსურ წყობას, ლექსიკას);<br>• დამოკიდებულების გამოსახატავად იყენებს სათანადო ფორმულებსა და სიტყვათშეხამებებს;<br>• დროში თანამიმდევრული მოქმედების გადმოცემისას იყენებს ერთი დროის ფორმებს;<br>• განარჩევს და იყენებს ზმნების შესაბამისი დროის ფორმებს (აწმყო, უწყვეტელი, წყვეტილი, მყოფადი, II კავშირებითი) კონკრეტულ ენობრივ კონსტრუქციებში (მაგ., ახლა ვაკეთებ, გუშინ გავაკეთე, ხვალ გავაკეთებ/ უნდა გავაკეთო/ გააკეთო);<br>• მომავალში შესასრულებელი მოქმედებისადმი დამოკიდებულებას (მაგ., სურვილს, ვარაუდს, ბრძანებას, თხოვნას, აკრძალვას) გამოხატავს II კავშირებითის ფორმით;<br>• ათანხმებს მსაზღვრელ-საზღვრულს ბრუნვასა და რიცხვში;<br>• იცავს ბრუნვის ნიშნებთან და ზმნის პირის ნიშნებთან დაკავშირებულ მართლწერის წესებს (მაგ., *ერთნაირი ბგერის თავმოყრა სახელსა და ზმნაში: ქათამმა, ვვარჯიშობ* და ა.შ.);<br>• სწორად სვამს სასვენ ნიშნებს რთულ წინადადებაში. |

| **რეკომენდაციები** |
| --- |
| **ტექსტის ტიპები:**<br>ა) მარტივი კორესპონდენცია (პირადი წერილი);<br>ბ) პრაგმატული ტექსტები (ინსტრუქციები, ტურისტული გზამკვლევი, საინფორმაციო ბუკლეტი, განცხადება და ა.შ.);<br>გ) მცირე ზომის შემეცნებითი ხასიათის ტექსტები;<br>დ) მარტივი აღწერითი და თხრობითი ტექსტები (მოგონება, ამბავი, დღიური). |
| **სტრატეგიები:**<br>• სხვადასხვა წყაროდან საჭირო ინფორმაციის მოძიება (*საბავშვო ლიტერატურიდან, ინტერნეტიდან, საგაზეთო სტატიიდან, საბავშვო ენციკლოპედიიდან* და ა.შ.);<br>• სათანადო ილუსტრაციების მოძიება / შერჩევა;<br>• გზამკვლევის რუბრიკების შერჩევა;<br>• შესასრულებელი მასალის სამუშაო გეგმის შედგენა;<br>• სამუშაოს დაწყებამდე საჭირო ენობრივი რესურსების თავმოყრა (*ლექსიკური თუ გრამატიკული მასალის, ნიმუშების, ენობრივი კონსტრუქციებისა* და ა.შ.);<br>• შავი ვარიანტის წერა;<br>• მეწყვილისთვის ან თანაკლასელებისათვის შავი ვარიანტის წაკითხვა და მათი შენიშვნების გათვალისწინება;<br>• გასწორების მიზნით ნაწერის გადაკითხვა (*ასწორებს ენობრივ შეცდომებს, აუმჯობესებს დიზაინს – სიტყვიერი და არასიტყვიერი მაორგანიზებელი ელემენტების განლაგებას*). |
| **კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:**<br>• რაიმეს მომზადების/მოხმარების/ჩატარების წესების დაწერა;<br>• პროცედურის აღწერა, კონკრეტული ამოცანისათვის ზუსტი მითითებების თანამიმდევრობით მიცემა (მაგ., *როგორ ჩაატაროს თანაკლასელმა ექსპერიმენტი);*<br>• *მეწყვილესთან (ან მცირე ჯგუფთან)* ერთად ტურისტული ან საინფორმაციო ბუკლეტისათვის ტექსტის შექმნა (მაგ., *ადგილმდებარეობა, დამატებით სხვა საინტერესო ადგილები, სიძველე, განსაკუთრებულობა* და ა.შ.) და შეფასებების დართვა;<br>• ნახატის, რუკის ან გეგმის მიხედვით მარშრუტის წერა;<br>• კონკრეტული პიროვნების / ადგილის შესახებ რაიმე ამბის / ისტორიის გახსენება;<br>• საკუთარი ან წარმოსახვითი პერსონაჟის დღიურის წერა;<br>• ამბის დასრულება ან დასასრულის შეცვლა საკუთარი წარმოსახვით, ილუსტრაციაზე დაყრდნობით და ა.შ.;<br>• ნიმუშის ან მოცემული პირობის მიხედვით სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერა (მაგ., *გამოგონილი პერსონაჟის ერთი პატარა ისტორიის; მცირე ზომის აღწერითი ტექსტის, მაგ., ჩემი ოცნების სახლი; შემეცნებითი ტექსტის, მაგ., ციური სხეულები, ქვეყნები და ქალაქები* და სხვა);<br>• ილუსტრაციებისათვის წარწერების შედგენა<br>• და სხვა.<br><br>**ენობრივი დავალებების ნიმუშები:**<br>• წინადადებაში / ტექსტში დაშვებული ენობრივი შეცდომების გასწორება და გადაწერა;<br>• კონკრეტული საყრდენების ან მოცემული პირობის მიხედვით ნაკლული |

- წინადადებების შევსება (კერძოდ: კითხვითი სიტყვების მიხედვით წინადადებაში გამოტოვებული წევრის სათანადო ფორმით ჩაწერა; ფრჩხილებში მოცემული საწყისების სათანადო პირიანი ზმნის ფორმით ჩასმა; ერთი სემანტიკური ველის მქონე სიტყვების ან სხვადასხვა ფორმით მოცემული ერთისა და იმავე სახელის ან ზმნის გადანაწილება: მაგ., *მოგზაური/სამოგზაუროდ/მოგზაურობს/მოგზაურობა; სვანეთს/სვანეთის/ სვანეთით...; დავბრუნდე/დავბრუნდები/დავბრუნდი/ვბრუნდები* და ა.შ.);
- ხაზგასმული სიტყვებისათვის შეკითხვების დასმა;
- წინადადებების შედგენა / აწყობა (მაგ., *არეული სიტყვების დალაგება; მოცემული სიტყვების სათანადო ფორმაში ჩასმა ისე, რომ სწორი წინადადება მივიღოთ* და ა.შ.);
- კითხვით სიტყვებზე მუშაობა და მათი გამოყენებით შესაბამისი შეკითხვების დასმა / წინადადებების შედგენა / დიალოგში გამოტოვებული რეპლიკების შევსება და ა.შ.;
- სიტყვის / წინადადების / ტექსტის შეცვლა (*ტრანსფორმაცია*), მაგ., მხოლობითიდან მრავლობითში გადაყვანა; ზმნის პირის, რიცხვისა და დროის მიხედვით ცვლა; მიკროტექსტის შეცვლა თხრობის კუთხის მიხედვით და ა.შ.;
- სხვადასხვა ნიშნით სიტყვათა გადახარისხება (მაგ., კითხვითი სიტყვების მიხედვით; ზმნების კლასიფიცირება დაბოლოების მიხედვით, მწკრივების მიხედვით, აქტიურობა-პასიურობის მიხედვით და ა.შ.);
- ცხრილების შევსება სხვადასხვა პირობის მიხედვით (მაგ., *გრამატიკული თუ სემანტიკური ნიშნით* და ა.შ.);
- ნიმუშის მიხედვით მსაზღვრელ-საზღვრულის შედგენა, მსგავსი კონსტრუქციის მქონე წინადადებების აწყობა /მოფიქრება და ა.შ.
- და სხვა.

| **მიმართულება კომუნიკაცია: ლაპარაკი და ლაპარაკის სტრატეგიები** | |
|---|---|
| **სტანდარტის შედეგები** | **VI კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები** |
| **ქ.მ.დაწყ.(II).11.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა სიტუაციაში მეტყველებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამოვლენა. | **მოსწავლე:**<br>• მონაწილეობს საკლასო სპექტაკლებში, სიმულაციურ სიტუაციებში (მაგ., *მარშრუტის ახსნა, ტელეფონით ინფორმაციის მოპოვება, შეხვედრის დანიშვნა* და<br>• ა.შ.);<br>• ახერხებს ტელეფონით საუბარს ყოველდღიურ თემებზე;<br>• ძირითადად ქართულ ენაზე მიმართავს მასწავლებელს, კლასელებს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ მარტივ პრობლემებთან დაკავშირებით;<br>• ტექსტის შინაარსს ადექვატურად უსადაგებს არავერბალურ მეტყველებას (*ინტონაციას, მიმიკას, ჟესტიკულაციას, რიტმულ მოძრაობებს*). |

| | |
|---|---|
| **ქ.მ.დაწყ.(II).12.**<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი. | **მოსწავლე:**<br>• სვამს/პასუხობს კითხვებს: კონკრეტულ საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით; ნასწავლი ტექსტის შინაარსის, მისთვის ნაცნობი თემების გარშემო;<br>• კონკრეტული საყრდენების მიხედვით გადმოსცემს მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის მოკლე შინაარსს, ახალ ამბავს;<br>• საუბრობს მისთვის ნაცნობ თემებზე, საკუთარ თუ სხვის გეგმებზე და ა.შ.;<br>• თანამიმდევრულად აღწერს მოვლენებს, მოქმედებებს;<br>• ჰყვება გაგონილ, თავს გადამხდარ ამბავს / ისტორიას;<br>• გამოხატავს თავის ემოციებს, განწყობებს, სურვილებს. |
| **ქ.მ.დაწყ.(II).13.**<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს მისთვის ნაცნობ და საინტერესო თემებსა თუ საკითხებზე საკუთარი აზრის, პოზიციის გამოთქმა; ინფორმაციის პირად ან სხვის გამოცდილებაზე გადატანა. | **მოსწავლე:**<br>• მონაწილეობს სწავლების პროცესში წარმოქმნილ მარტივ პრობლემებთან დაკავშირებულ დისკუსიაში;<br>• გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას გარკვეულ საკითხზე, მოჰყავს მაგალითები პირადი გამოცდილებიდან;<br>• აფასებს კონკრეტულ მოვლენებსა და მოქმედებებს;<br>• კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოაქვს დასკვნა;<br>• განმარტავს საკუთარ პოზიციას, რატომ ფიქრობს ასე. |
| **ქ.მ.დაწყ.(II).14.**<br>მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი სათანადო ენობრივი ფორმულებისა და კლიშეების, ენობრივი კონსტრუქციებისა და კონკრეტული გრამატიკული ფორმების ფუნქციური გამოყენება. | **მოსწავლე:**<br>• ინტერაქციის წარმართვისას შეარჩევს საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვის ენობრივ კონსტრუქციებსა და ფორმულებს, კლიშეებს (მაგ.; *თუ შეიძლება,*<br>• *სთხოვეთ / მითხარით / დამეხმარეთ* და ა.შ.);<br>• სათანადოდ იყენებს პირის, ჩვენებით (ეს/ის) და კითხვით (რომელი თუ როგორი) ნაცვალსახელებს;<br>• სათანადო კონტექსტში სწორად იყენებს კითხვით ნაცვალსახელებსა და კითხვით სიტყვებს;<br>• მართებულად იყენებს შესაბამის ფორმულებსა და ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ., *შეფასება/ დამოკიდებულების გამოსახატავად: მიყვარს/მომწონს + საწყისი; ჩემი აზრით; მე ვფიქრობ, რომ* და ა.შ.);<br>• დროსა და სივრცეში ორიენტაციას გამოხატავს სხვადასხვა ენობრივი საშუალებით (*ზმნიზედა; ზმნა: ზმნისწინი, მწკრივის ფორმები; სათანადო სიტყვათშეხამებანი: ქუჩის დასაწყისში/ბოლოს... გადახვალ ქუჩაზე, წახვალ ქუჩით, გადაკვეთ ქუჩას*<br>• და ა.შ.);<br>• მომავალი დროის გამოსახატავად კონტექსტის მიხედვით იყენებს მყოფადისა და II კავშირებითის ფორმებს;<br>• კონტექსტის მიხედვით სწორად იყენებს ზმნის სათანადო ფორმებს (მაგ., *აკეთებს / გააკეთა / გააკეთებს*);<br>• იყენებს ზმნას სათანადო პირისა და რიცხვის ფორმით;<br>• ცალკეულ თემებსა თუ საკითხებზე საუბრისას იყენებს სათანადო ლექსიკას;<br>• სწორად იყენებს ქართულისათვის დამახასიათებელ ინტონაციას (მაგ., *განცდების გამოსახატავად, სასვენი ნიშნების ფუნქციით*). |

| **რეკომენდაციები** |
| --- |
| **ტექსტის ტიპები:**<br>ა) საკლასო და სიმულაციური დიალოგები;<br>ბ) ლექსები, სიმღერები, საბავშვო პიესები;<br>გ) ნასწავლი თხრობითი და აღწერითი ტექსტები (რეალური და გამოგონილი ამბები);<br>დ) პრაგმატული ტექსტები (გზამკვლევი, ტურისტული ბუკლეტი...). |
| **სტრატეგიები:**<br>• კომუნიკაციის არავერბალური საშუალებების გამოყენება (ჟესტების, მიმიკის, მითითების);<br>• წინასწარ ვარჯიში, რეპეტიცია მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან ერთად;<br>• შეცდომის მიხვედრა და გასწორება;<br>• სასაუბრო თემის მარტივი გეგმის შედგენა. |
| **კონკრეტულ დავალებათა ნიმუშები:**<br>• მინიინტერვიუების მოწყობა თანაკლასელებთან ნაცნობი თემების გარშემო (მაგ., *მოგზაურობა, საყვარელი ქალაქი, ექსკურსიის შთაბეჭდილებები, გართობა* და ა.შ.);<br>• მარტივი ინტერაქცია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან (მაგ., *ყოველდღიურ საკლასო სიტუაციებთან დაკავშირებით; ნასწავლი ტექსტების გარშემო კითხვების დასმა და პასუხი* და ა.შ.);<br>• ილუსტრაციების, რეალური და წარმოსახვითი ადამიანების, ტექსტის პერსონაჟების აღწერა-დახასიათება, მათი შედარებითი დახასიათება სხვადასხვა ნიშნით;<br>• საუბარი ნასწავლი თემებისა და ტექსტების გარშემო (მაგ., *საუბრობს ახალგაცნობილ მეგობრებზე; საოცნებო ქვეყნის/ქალაქის შესახებ; გამოხატავს თავის სურვილებსა და ოცნებებს: სად უნდა, რომ წავიდეს; რა უნდა, რომ ნახოს/დაათვალიეროს და რატომ...; გადმოსცემს თავის ემოციებსა და შთაბეჭდილებებს; მარტივი გეგმის მიხედვით ჰყვება ნასწავლი ტექსტის მოკლე შინაარსს; აფასებს პერსონაჟთა საქციელს და მარტივად განმარტავს საკუთარ პოზიციას; იხსენებს მსგავს შემთხვევებს პირადი გამოცდილებიდან; გამოთქვამს ვარაუდებს* და ა.შ.);<br>• თანაკლასელებთან ერთად სხვადასხვა სიმულაციური სიტუაციის გათამაშება (მაგ., მარშრუტის ახსნა – როგორ მივიდეს დანიშნულების ადგილამდე; რეკომენდაციებისა და რჩევების მიცემა, როგორ მოემზადონ ლაშქრობისთვის, როგორ მოიქცნენ ბუნებაში და ა.შ.);<br>• მინიპრეზენტაციების მოწყობა განხორციელებული პროექტების საფუძველზე (მაგ., *სარეკლამო ბუკლეტის მომზადება და წარდგენა; საოჯახო რეცეპტების გაცნობა; საკლასო სპექტაკლის მოწყობა* და ა.შ.)<br>• და სხვა. |

| მიმართულება: სწავლის სწავლა | |
|---|---|
| **სტანდარტის შედეგები** | **VI კლასის (დონის) შეფასების ინდიკატორები** |
| **ქ.მ.დაწყ.(II).15.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა. | **მოსწავლე:**<br>• საჭიროებისამებრ, მასწავლებლის დახმარებით გუნდის წევრებთან ერთად გეგმავს შესასრულებელ სამუშაოს და ადგენს განხორციელების ეტაპებს;<br>• მასწავლებლის დახმარებით გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს თანამიმდევრობას;<br>• მუშაობის პროცესში ადგენს, რა უჭირს და უზიარებს მასწავლებელს;<br>• მიღებულ გამოცდილებას ითვალისწინებს სასწავლო საქმიანობისას;<br>• კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად თავს უყრის საჭირო რესურსებს და ახდენს ცოდნის მობილიზებას;<br>• აკვირდება შეცდომებს და ცდილობს, გაარკვიოს მიზეზი;<br>• სვამს შეკითხვებს და ითხოვს დახმარებას, როცა სიძნელეებს აწყდება, ან რაიმე არ ესმის;<br>• მონაწილეობს თვითშეფასებასა და თანაშეფასებაში;<br>• შედეგებზე დაკვირვებით ასახელებს, სად აქვს წინსვლა და სად – არა;<br>• მშობლიურ ენაზე ასახელებს ზოგიერთ ფაქტორს, მიზეზს, რომლებიც ხელს უშლის წინსვლაში (მაგ., *სათანადოდ არ გამოიყენა რესურსები, გამოტოვა ერთი ეტაპი, ამოცანა დაუძლეველი მოეჩვენა, არ იყო გუნებაზე* და ა.შ.);<br>• ცდილობს, დაასახელოს ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ზომები (*ძირითადად, მშობლიურ ენაზე*). |
| **ქ.მ.დაწყ.(II).16.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული ურთიერთობების გამოვლენა. | **მოსწავლე:**<br>• აღნიშნავს დაშვებულ შეცდომებს; შეფასებისას იჩენს კორექტულობას;<br>• კამათისას ყურს უგდებს განსხვავებულ მოსაზრებებს, მოჰყავს სათანადო არგუმენტები;<br>• ახერხებს მეწყვილესთან და თანაგუნდელებთან მორიგებას;<br>• მეწყვილესთან / გუნდის წევრებთან ერთად გადაჭრის დასმულ საკითხს;<br>• ეხმარება თანატოლებს;<br>• ავლენს პოზიტიურ დამოკიდებულებებს;<br>• უთანხმოებისას ცდილობს შეთანხმების მიღწევას. |

| | |
|---|---|
| **ქ.მ.დაწყ.(II).17.** მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედიური რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება. | **მოსწავლე:**<br>• იყენებს სახელმძღვანელოს რესურსებს (მაგ., *ლექსიკონს,*<br>• *სტრუქტურულ ნიმუშებს, გრამატიკულ ცნობარსა* და ა.შ.);<br>• სათანადო შეკითხვებს უსვამს მასწავლებელს / კომპეტენტურ პირს;<br>• ქმნის ოპერატიულ რესურსებს და იყენებს მათ (მაგ., *ანბანურ / თემატურ ლექსიკონს, სქემას, კითხვარს, ცხრილსა* და ა.შ.);<br>• სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით ახარისხებს სხვადასხვა გზით მოპოვებულ ინფორმაციას;<br>• საჭიროების შემთხვევაში, მოიძიებს სასურველ ინფორმაციას როგორც სკოლაში არსებული რესურსების ფარგლებში (მაგ. *საკლასო თვალსაჩინოებებს, მასალას სკოლის ბიბლიოთეკიდან, მასწავლებლიდან* და ა.შ.), ისე სკოლის გარეთ. |

**VI კლასის (დონის) შინაარსობრივი პრიორიტეტები: ძირითადი სამეტყველო ფუნქციები სათანადო ენობრივი კონსტრუქციებითა და ფორმულებით; ძირითადი ენობრივი საკითხები:**

| სამეტყველო ფუნქციები | ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები | ძირითადი ენობრივი საკითხები |
|---|---|---|
| **1.1. სოციალური ურთიერთობები:** მისალმება/დამშვიდობება, მოკითხვა, საკუთარი თავის / სხვისი წარდგენა, მილოცვა, თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა, წახალისება/შექება, თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, მობოდიშება, ტელეფონით საუბარი | გმადლობთ + **...თვის** (დახმარებისათვის)! მოგესალმები(თ)! მაპატიეთ! უკაცრავად! თუ შეიძლება, ... შეგიძლიათ, ...? | **ფონეტიკა/მორფოლოგია/ სინტაქსი:**<br><br>**1. არსებითი სახელი;**<br>**2. რიცხვითი სახელი;**<br>**3. ზედსართავი სახელი:** ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავები; ხარისხის წარმოება.<br>**4. ნაცვალსახელი:** კუთვნილებითი და კითხვითი ნაცვალსახელები;<br>**5. ზმნა: პირისა და რიცხვის გამოხატვა; ბრძანებითის გამოხატვა _** წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი; მწკრივები: II კავშირებითი, წყვეტილი; მარტივი და რთული ზმნისწინები.<br>**6. მიმღეობა;**<br>**7. თანდებული:** -დან, -მდე (ადგილის გამოხატვა, დროში სიხშირის განსაზღვრა);<br>**8. სიტყვაწარმოება: (-ური / -ული)**<br>**9. მსაზღვრელ-საზღვრული:** (მართულმსაზღვრელიანი სახელის ბრუნება – სკოლის ეზო, მეზობლის სახლი);<br>**10. ნაწილაკი: არ / ნუ**<br>**11. რთული წინადადება;**<br>**12. ინტონაციის ძირითადი ელემენტები** (ლოგიკური მახვილი, პაუზა და სხვა). |
| **1.2. ინფორმაციის გაცვლა:** პირადი მონაცემები (ვინაობა, ასაკი, წარმომავლობა, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი), ოჯახი / ნათესავები, საკუთრება, პროფესია/ ხელობა, საჭიროებები / მოთხოვნილებები / სურვილები, თავისუფალი დრო, საქმიანობა, კვებითი ჩვევები, ჯანმრთელობა, ამინდი, გეგმები / განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა, გემოვნება, საყიდლებზე ყოფნისას საყიდლებზე ყოფნისას | **გვარად + ...-ა(**რის) (...ძეა/...-შვილია); წარმოშობით აქაური/იქაური ვარ; ჩემი მისამართია ...; **მინდა, უნდა + ზმნა** (II კავშირებითში) – მინდა ვიყიდო, გავისინჯო, წავიდე... | |
| **1.3. აღწერა-დახასიათება:** ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, თვისებები; ცხოველის/საგნის აღწერა | როგორია გარეგნულად? როგორი ბუნებისაა? უფრო + ...ა, ვიდრე ... ისეთივეა, როგორც ... ჩემხელა, ჩემნაირი... | |

| | | |
|---|---|---|
| **1.4. გრძნობა/ემოციისა და შეფასება/დამოკიდებულების გამოხატვა:** დადებითი/ უარყოფითი ემოციები (სიხარული, კმაყოფილება, ბრაზი, სინანული, გაკვირვება, უკმაყოფილება, ეჭვი, ვარაუდი, შიში, ინტერესი, ინდიფერენტულობა), დადებითი / უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა | ჩემი ვარაუდით, ... ;<br>როგორც მე ვფიქრობ, ...<br>რა თქმა უნდა!<br>მე მგონი, ... / არა მგონია, ...<br>ვეთანხმები / არ ვეთანხმები | **ორთოგრაფია/პუნქტუაცია:**<br><br>**1.** ძახილის ნიშანი და მისი ფუნქციები;<br>**2.** მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში;<br>**3.** რთული რიცხვების მართლწერა;<br>**4.** სასვენი ნიშნების ხმარება მარტივ და რთულ წინადადებებში;<br><br>**ლექსიკა:**<br><br>**1.** სიტყვაწარმოება (როგორც ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების საშუალება).<br>**2.** სინონიმები, ანტონიმები.<br><br>**ტექსტის ლინგვისტიკა:**<br><br>**1.** არამხატვრული ტექსტის სტრუქტურული თავისებურებანი და მისი მახასიათებლები.<br>**2.** ტექსტის კომპოზიცია (დასაწყისი, შუა ნაწილი, დასასრული) |
| **1.5. დროში ორიენტირება:** დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია, სიხშირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა | სულ, ყოველთვის | |
| **1.6. სივრცეში ორიენტირება:** ადგილმდებარეობის მითითება, მიმართულების განსაზღვრა (დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...) | მიდის + ...-ისკენ/-ის მიმართულებით;<br>გადახვალ ქუჩაზე, გადაკვეთ ქუჩას;<br>...-ის ბოლოს/დასაწყისში/ კუთხეში...,<br>წადი ...-მდე . . . | |
| **1.7. ინსტრუქციის მიცემა:** რჩევა-დარიგება, მოთხოვნა, აკრძალვა, ნებართვის მიცემა, ვალდებულება | აუცილებლობა: (არ) უნდა + II კავშირებითი<br>ნების დართვა/რჩევის მიცემა: შეგიძლია (არ) + II კავშირებითი;<br>გირჩევ (არ) + II კავშირებითი<br>სასურველობა: იქნებ (არ) + II კავშირებითი | |
| **1.8. ლოგიკური კავშირების გამოხატვა:** მიზანი, მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია | მაშინ ..., როცა / როცა ..., მაშინ<br>რატომ? რის გამო? რა მიზეზით? – ამიტომ / ამის გამო; იმიტომ, რომ... / იმის გამო, რომ... / იმ მიზეზით, რომ ... | |

# მეთოდური რეკომენდაციები

## ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობის ეფექტური სტრატეგიები (მეთოდები)

როგორც ვიცით, ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ წარიმართება ეს პროცესი – იქნება იგი შემოფარგლული მხოლოდ სალექსიკონო რვეულებში სიტყვების ჩაწერითა და მათზე მოსწავლეთა მშობლიურ ენაზე განმარტებების მიწერით, თუ დატვირთული იქნება მრავალფეროვანი და საინტერესო აქტივობებით.

რა უნდა გავითვალისწინოთ ლექსიკის სწავლებისას? პირველ რიგში ლექსიკური თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ ის ტექსტები, რომლებსაც ვიყენებთ მოსწავლეებთან. რასაკვირველია, სახელმძღვანელოს ავტორების მიერ შერჩეული და შექმნილია ისეთი ტექსტები, რომლებიც შეესაბამება მეხუთე და მეექვსე კლასელების მზაობასა და ინტერესებს, მაგრამ ამ სახელმძღვანელოს გამოყენებისას მასწავლებლის მიერ წარმართულ აქტივობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კონკრეტულ კლასში გადაწყვეტილება მასწავლებელმა უნდა მიიღოს და დაგეგმოს თავისი მოსწავლეებისთვის საჭირო აქტივობები. მაგალითად, თუკი მასწავლებელი მიიჩნევს, რომ ტექსტში გამოყენებული ზოგიერთი სიტყვა შესაძლოა ძნელი გასაგები აღმოჩნდეს მოსწავლეებისთვის, მაშინ იგი დამატებით ამ სიტყვაზეც გაამახვილებს ყურადღებას. ეს შეიძლება მოხდეს, როგორც ტექსტის წაკითხვამდე (ან თუკი ვასმენინებთ – მოსმენამდე), ასევე ტექსტის წაკითხვის პროცესში და წაკითხვის/მოსმენის შემდეგაც.

სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია სწორედ სხვადასხვაგვარი ფორმატი სიტყვებზე მუშაობის. მათგან ზოგიერთი ტექსტის წაკითხვამდე/მოსმენამდე ხორციელდება, ზოგიერთი წაკითხვის (მოსმენისას ცოტა რთულია ეს ამოცანა.) დროს, ხოლო ზოგჯერ წაკითხვის / მოსმენის შემდეგაც ითვალისწინებს მოსწავლეების კონცენტრაციას.

ქვემოთ შემოთავაზებულია ის ეფექტური მეთოდები, რომელთა უმრავლესობა სახელმძღვანელოშიცაა ჩანერგილი სხვადასხვა მომენტში. დაწვრილებით ამ და სხვა მეთოდების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) მიერ შექმნილ კრებულში (კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, თბ. 2015.).

## როგორ შევარჩიოთ სიტყვები, რომლებსაც სათანადო ყურადღებას დავუთმობთ?

მართლაც არ ღირს ყველა სიტყვა იმად, რომ მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს გაკვეთილებზე. რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს სიტყვებს, რომ ისინი მნიშვნელოვნად ჩავთვალოთ?

პირველ რიგში განვსაზღვროთ, რას ნიშნავს მნიშვნელოვანი სიტყვები ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის სწავლებისას. ეს არის ის სიტყვები, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული სიტუაციის ან კონკრეტული ტექსტის გასააზრებლად. ზოგჯერ ასეთი სიტყვებს საკვანძო სიტყვები შეიძლება ვუწოდოთ. ასეთ სიტყვებს მასწავლებელმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს და მოსწავლეებს სხვადასხვა კონტექსტში გააზრებინოს და გამოაყენებინოს.

კარგი იქნება, თუ მასწავლებელს გააზრებული ექნება სიტყვების კატეგორიები მათი გამოყენების სიხშირის მიხედვით. ენაში არსებობს შედარებით **ხშირად** გამოყენებული სიტყვები, **ნაკლები სიხშირით გამოყენებული სიტყვები** და **იშვიათად** ხმარებული სიტყვები. რომელი კატეგორიის

სიტყვებს უნდა მიაქციოს მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება? რასაკვირველია ე. წ. ხშირ სიტყვებს.

თავისთავად ცხადია, რომ „პური“, „მაგიდა“, „სკოლა“ და სხვები ხშირი სიტყვებია და ამ რიგის სიტყვების ცოდნა მოსწავლეებისთვის აუცილებელი და პრიორიტეტულია. ხოლო ისეთი სიტყვები, როგორიცაა „სარჩული“, „ზომიერი“, „მიტოვებული“ ნაკლები სიხშირით ხმარებული სიტყვებია. ხოლო სიტყვები „ბობოლა“, „წარმტაცი“, „ოინი“ იშვიათად ხმარებული სიტყვებია.

სიტყვების შერჩევისას და მათზე ყურადღების გამახვილებისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ რომელ დონეზეა მოსწავლე. მაგალითად, დამწყებ დონეზე (A 1 დონე) მყოფი მოსწავლისთვის ყურადღება ე. წ. ხშირ სიტყვებზე უნდა გავამახვილოთ. A 2 დონეზე შეიძლება ვიმუშაოთ ნაკლები სიხშირით გამოყენებულ სიტყვებზეც, ხოლო იშვიათად ხმარებულ სიტყვებზე ყურადღების გამახვილება მხოლოდ B1, C1 და C2 დონეზე ეგების. (ყურადღება მიაქციეთ ბოლო სიტყვას წინა წინადადებაში: „ეგების“ რომელი კატეგორიის სიტყვაა? რასაკვირველია, იგი იშვიათად გამოყენებული სიტყვაა და ამ სიტყვას ჩვენ არც კი გამოვიყენებთ A1 და A2 დონეებზე მყოფ მოსწავლეებთან.

**როგორ შევაფასოთ ტექსტები ლექსიკური თვალსაზრისით?** ჩვენ ტექსტებს სასწავლო სიტუაციისთვის ვიყენებთ ხოლმე. თუმცა მოსწავლეებისთვის ტექსტების შერჩევა გვჭირდება დამოუკიდებელი კითხვის მიზნითაც. რასაკვირველია, სასწავლო სიტუაციისთვის შედარებით „რთული“ ტექსტებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ და შემდეგ ჩვენ დავეხმაროთ ამ სასწავლო სირთულეების დაძლევაში, მაგრამ დამოუკიდებელი კითხვისთვის ჩვენი დახმარება შეუძლებელი იქნება.

ტექსტების სირთულის გაზომვის მიზნით შეგვიძლია გამოვიყენოთ ე. წ. „ხუთი თითის წესი“, რაც გულისხმობს შემდეგს: ავიღებთ ტექსტს და ვკითხულობთ პირველ გვერდზე. თითო თითს მოვკეცავთ იმ შემთხვევაში, თუკი შეგვხვდება ისეთი სიტყვა, რომელიც ჩვენს მოსწავლეს არ ეცოდინება. თუკი ერთ გვერდზე ასეთი სიტყვების რაოდენობა ხუთზე ნაკლებია, მაშინ ასეთი ტექსტის მიწოდება მისაღებია ჩვენი მოსწავლეებისთვის. ხოლო თუკი უცნობის სიტყვების რაოდენობა ერთ გვერდზე ხუთს აღემატება, მაშინ ასეთი ტექსტის გამოყენება არაა რეკომენდებული.

რასაკვირველია, ხუთი სიტყვა საშუალო მაჩვენებელია და თუკი ტექსტს ვიყენებთ სასწავლო სიტუაციაში, რაც გულისხმობს მასწავლებლის დახმარებას საჭირო მომენტში, შესაძლოა ისეთი ტექსტითაც ვისარგებლოთ, რომელშიც ხუთზე მეტი სიტყვა იქნება უცნობი. ოღონდ ეს რაოდენობა მკვეთრად ვეღარ გაიზრდება.

## როგორ ვიმუშაოთ უცნობი სიტყვების განმარტებაზე?

ხშირად სვამენ მასწავლებლები შეკითხვას, თუ როდის უნდა დავეხმაროთ მოსწავლეებს უცნობი სიტყვების განმარტებაში. არის მეორე საკითხიც, როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს უცნობის სიტყვების განმარტებაში. ჯერ პირველ შეკითხვას ვუპასუხოთ, შემდეგ – მეორეს.

მოსწავლეებს უცნობის სიტყვების განმარტებაში შეიძლება დავეხმაროთ ნებისმიერ დროს – იქნება ეს ტექსტის წაკითხვამდე/მოსმენამდე, ტექსტის წაკითხვის/მოსმენის პროცესში თუ ტექსტის წაკითხვის/მოსმენის შემდეგ. უფრო უკეთესად რომ ვთქვათ, მოსწავლეები უნდა მივაჩვიოთ სამივე ფორმატის დახმარებას. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული ფორმატი.

მასწავლებლის მიერ დასამუშავებელი ტექსტის წინასწარი შეფასება და მომზადება გულისხმობს მასში ისეთი სიტყვების გამოკვეთას, რომლებიც მოსწავლეებისთვის სავარაუდოდ

უცნობი იქნება. ამავე ეტაპზე კარგია, როდესაც შერჩეულ სიტყვებში მოვნიშნავთ ისეთ სიტყვებსაც, რომლებსა მოსწავლეებს წინასწარ, ტექსტის წაკითხვამდე/მოსმენამდე განვუმარტავთ. ეს გაუადვილებს მოსწავლეებს ტექსტის გაგებას. რასაკვირველია, შეიძლება დავტოვოთ ზოგიერთი სიტყვა, რომლებსაც მივანდობთ მოსწავლეებს, რათა მათ მათი ამოცნობა მოახერხონ კონტექსტური გასაღებების (ილუსტრაცია, კონტექსტი, თემატიკა...) დახმარებით. რასაკვირველია, ტექსტის წაკითხვის მოსმენის შემდეგ მათზე გამახვილდება ყურადღება.

## ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე ორიენტირებული ზოგიერთი მეთოდი/სტრატეგია

### სიტყვის პირამიდა

სქემას აქვს სამკუთხედის ფორმა, რომლის პირველ, ზედა ზოლში იწერება სიტყვა, რომელზეც გვინდა ყურადღების გამახვილება, რომელიც ხანგრძლივად და ღრმად უნდა დარჩეს მოსწავლის გონებაში. მეორე ზოლში იწერება ამ სიტყვის განმარტება. მოსწავლეებმა თავისი სიტყვებით უნდა ახსნან ამ სიტყვის მნიშვნელობა. ცხადია, ეს ახსნა არ და ვერ იქნება სრულფასოვანი, შესაძლოა, ზოგჯერ უზუსტობაც გაიპაროს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მოსწავლე ცდილობდეს ამ სიტყვის მნიშვნელობის გადმოცემას სხვა, მისთვის ნაცნობი სიტყვებით. აგრეთვე, მოსწავლეები წარმოაჩენენ თავიანთ შემოქმედებით, ორიგინალურ ხედვებსაც, რაც შესაძლოა, მეტად საინტერესო და სახალისოც აღმოჩნდეს. მესამე ზოლში ჩაიწერება წინადადება, რომელშიც მოსწავლე გამოიყენებს ამ სიტყვას.

**ვარიაცია 1:** როდესაც ტექსტზე ვამუშავებთ, შესაძლოა, მასწავლებელმა ოთხდონიანი პირამიდა შესთავაზოს ბავშვებს და წინადადების მოფიქრებამდე იმ წინადადების ამოწერა მოსთხოვოს ტექსტიდან, რომელშიც ეს სიტყვაა გამოყენებული. ანუ ზემოდან მესამე ზოლში ტექსტის წინადადება იქნება ამ სიტყვის გამოყენებით, ხოლო მეოთხე, ქვედა ზოლში უკვე ბავშვების მიერ მოფიქრებული წინადადება, ცხადია, ამ სიტყვის გამოყენებით.

**ვარიაცია 2.** შესაძლოა, მასწავლებელმა მოსწავლეებს ან მოსწავლეთა ნაწილს მეორე ზოლში განმარტების ნაცვლად შესთავაზოს სიტყვის შესაბამისი ილუსტრაციის ჩახატვა. ან მოსწავლე თვითონ აირჩევს, განმარტება ჩაწეროს, თუ ილუსტრაცია ჩახატოს.

## თანადროული სწავლება

როდესაც თქვენს მოსწავლეებს კარნახს აწერინებთ, რა სარგებელი შეიძლება მოიტანოს ამ პროცესმა?

ამ შეკითხვაზე პასუხი იქნება, რომ ლექსიკურ ერთეულების ცოდნას გაიმყარებენ, გამოავლენენ ქართული ფონემების ადეკვატურად აღქმის უნარს, გავარჯიშდებიან ქართული ასოების დაწერილობაში და მასწავლებელს მიეცემა ამ კომპეტენციის გადამოწმების საშუალებაც.

მაგრამ ამ ერთ-ერთ რუტინულ აქტივობას აქვს კიდევ ერთი თანმდევი ეფექტი: მოსწავლეების აითვისებენ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, გამოთქმებს, როგორიცაა: „წერტილი“, „მძიმე“, „აბზაცით“, „ახალი ხაზიდან”... შეიძლება ითქვას, რომ კარნახების აქტივობებიდან მეტი არც არაფერი დარჩეთ მახსოვრობაში.

ძალიან ეფექტურია ე. წ. თანადროული სწავლება. ის პროცესი, როდესაც თქვენი სასწავლო სამიზნე უნარი სხვა რამეა და ამ პროცესში თანადროულად სწავლობენ მოსწავლეები გამოყენებულ სიტყვებსა და გამოთქმებს. ასეთი გამოთქმები შეიძლება იყოს უამრავი: „კარი დახურე!“, „ფანჯარა გააღე!“ „წიგნები გადაშალეთ!“ „რვეულები დახურეთ!“, „დაფა გაასუფთავე!“ „ცარცი აიღე!“ და სხვ. ეს ფრაზები, რასაკვირველია უკვე ბავშვებს პირველივე კლასიდან აქვთ ათვისებული. მაგრამ ფრაზებს რა გამოლევს?! რაც უფრო მაღლა იწევს მოსწავლეთა ენის ცოდნის დონე, უფრო უნდა გავართულოთ თანადროული სწავლებისთვის გამიზნული ფრაზებიც.

კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ამას წინასწარ დაგეგმილადაც გააკეთებს და სპეციალურად შეარჩევს ისეთ გამოთქმებს, რომელსაც გაკვეთილის განმავლობაში სისტემატურად გაიმეორებს. ამასთან, ყურადღებას მიაქცევს, რომ ასეთი გამოთქმები მონაცვლეობდეს კვირების მიხედვით. ანუ ერთი კვირის განმავლობაში აქტიურდებოდეს ერთი-ორი გამოთქმა, მეორე კვირის განმავლობაში ჩაენაცვლოს/ დაემატოს მეორე და ა. შ.

შეგვიძლია ჩვენც შემოგთავაზოთ ასეთ სიტყვა-გამოთქმათა რეესტრი, რაც, რასაკვირველია, შეიძლება გადამუშავდეს/შეიცვალოს/გამდიდრდეს მასწავლებლის მიერ საკუთარი მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე. კერძოდ, საწყისი ფრაზებიდან („კარი დახურე“, „წიგნი გადაშალე“) თანდათან შედარებით რთულ ფრაზებზე გადავიდეთ.

1. ერთი ხაზი გამოტოვეთ.
2. ერთმანეთს დააცადეთ საუბარი.
3. რიგრიგობით ისაუბრეთ
4. უქუდოდ არ გახვიდეთ გარეთ...

# სახელმძღვანელოს თემების გაწერა საგაკვეთილო აქტივობებად

(აღწერაში მითითებული არ არის დრო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მასწავლებლებმა საკუთარ მოსწავლეებზე მორგებულად უნდა წარმართონ საგაკვეთილო პროცესი. შესაბამისად, ზოგიერთ კლასში კონკრეტულ აქტივობას შესაძლოა დასჭირდეს მეტი ან ნაკლები დრო. შესაბამისად, ჩვენ არ გთავაზობთ გაკვეთილებად დაყოფილ თემატურ ერთეულებს. მასწავლებლები ქვემოთ წარმოდგენილ აქტივობებს საკუთარი სასწავლო მიზნების შესაბამისად თვითონ გადაანაწილებენ გაკვეთილებად.)

## თემა 1. პირველი ევროპელები თემა

**თემატური მიზნები:**

- მოსწავლეები გაიმდიდრებენ სამუზეუმო თემატიკასთან დაკავშირებულ ლექსიკურ მარაგს.
- გაიაზრებენ მცირე ზომის საკითხავ და მოსასმენ ტექსტებს.
- შეიმუშავებენ, დაწერენ და წარადგენენ რამდენიმე ქცევის წესს.
- შეთავაზებულ კონტექსტებში გაიაქტიურებენ სიტყვათწარმოებისა და მე-2 კავშირებითის წარმოების წესებს.

**1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა**

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს თემის ზოგად შინაარსსა და მიზნებს. იგი ეუბნება, რომ ამ თემის ფარგლებში ისინი ისაუბრებენ მუზეუმის შესახებ. გაეცნობიან (წაიკითხავენ და მოუსმენენ) ძველი ისტორიის შესახებ საკითხავ და მოსასმენ ტექსტებს, გაეცნობიან და თვითონაც შეიმუშავებენ ქცევის წესებს.

**2. საუბარი პოსტერის მიხედვით**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს და დააკვირდნენ ილუსტრაციას და უპასუხონ იქვე მოცემულ შეკითხვებს. კერძოდ: სად არიან ბავშვები? რას ათვალიერებენ ისინი? ისტორიის რომელი პერიოდის დარბაზში არიან?

მასწავლებელი სვამს დამატებით შეკითხვებსაც. მაგალითად, ვინ არიან ეს ბავშვები? რა ჰქვიათ? რა იციან მუზეუმის პოსტერებზე გამოსახული ნახატების შესახებ?..

ამ პოსტერს მოსწავლეები კიდევ დაუბრუნდებიან ლექსიკური ერთეულების გააქტიურებისას, საკითხავი და მოსასმენი ტექსტების გაცნობისას.

**3. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა**

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს მე-2 დავალებაში მოცემული ლექსიკურ ერთეულებს. სთხოვს, ჯერ ვარაუდები გამოთქვან, თუ რას ნიშნავს ესა თუ ის სიტყვა (სავარაუდოდ, ეს სიტყვე-

ბი ბავშვებს არ ეცოდინებათ.). შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წიგნის ილუსტრაციაზე იპოვონ შემოთავაზებული სიტყვები.

ამის შემდეგ მასწავლებელი მიუთითებს მე-2 დავალებაში შემოთავაზებულ „სიტყვის პირამიდებზე". უხსნის, თუ როგორ არის შევსებული ეს სქემები: პირველ ხაზზე სიტყვა წერია, მეორეზე – განმარტება, მესამეზე – წინადადება ამ სიტყვის გამოყენებით. კითხულობენ ამ სქემებს ხმამაღლა.

**4. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა (გაგრძელება)**

მოსწავლეები მუშაობენ მე-3 სავარჯიშოზე. მოსწავლეები წიგნის მე-2 დავალებაში მოცემული პირამიდების მიხედვით ავსებენ სქემების მხოლოდ მესამე ზოლს – მხოლოდ, სიტყვების გამოყენებით.

**5. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა (გაგრძელება)**

მოსწავლეები კიდევ ერთხელ აკვირდებიან მოცემულ სიტყვებს შესაბამისი ილუსტრაციებით.

ამ დავალებაზე მუშაობისას მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს სხვადასხვა ფორმატით მუშაობა შესთავაზოს. მაგალითად, ერთი მოსწავლე აღწერს ნახატს, სხვა მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ... ან მასწავლებელი აჩვენებს ნახატს, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ სიტყვა...

**6. ტექსტის წაკითხვა**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ მე-5 დავალებაში მოცემული ტექსტი და უპასუხონ იქვე მოცემულ შეკითხვებს.

**მეთოდიკური შენიშვნა:** <u>როგორც ვხედავთ, ტექსტის წაკითხვამდე მოსწავლეები მონაწილეობდნენ რამდენიმე აქტივობაში, რომლებიც ამ ტექსტის წაკითხვამდე გარკვეულ მოსამზადებელ სამუშაოს ასრულებს. ყურადღება უნდა მიექცეს, რომ აქვე, ამავე დავალებაში, ჯერ შეკითხვებია მოცემული და შემდეგ წასაკითხი ტექსტი. ამ შეკითხვების გაცნობაც ერთგვარი შემზადებაა ტექსტის წაკითხვამდე, თუ რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება. რასაკვირველია, შემდეგ დავალებებსა და სავარჯიშოებში სხვა ინფორმაციასაც დაამუშავებენ.</u>

მასწავლებელმა, შესაძლოა, ტექსტის წაკითხვის რამდენიმე ფორმატი გამოიყენოს: ჯერ ინდივიდუალურად წაიკითხონ და წყვილებში გაუზიარონ შეკითხვებზე პასუხები, აგრეთვე წყვილებში დააზუსტონ ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა. ან ჯერ ინდივიდუალურად წაიკითხონ და შემდეგ ჯგუფებში იმსჯელონ შეკითხვებზე, ან სულაც მასწავლებელმა წაიკითხოს ხმამაღლა და საჭირო შემთხვევაში განმარტოს ზოგიერთი სიტყვა. მასწავლებელი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ტექსტზე შეარჩევს კლასისთვის საჭირო ფორმატს.

**7. ტექსტის გააზრებაზე მუშაობა**

მოსწავლეები ასრულებენ მე-6 დავალებას. აქაც შესაძლოა მოსწავლეებმა იმუშაონ, როგორც ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებში. პასუხების შეჯერების შემდეგ მასწავლებელი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით (ან კონკრეტული სიტუაციისთვის საჭირო სხვაგვარი ფორმატით) გამოიკითხავს, სწორია თუ არა წიგნში მიცემული წინადადებები.

**8. ტექსტის გააზრებაზე მუშაობა (გაგრძელება)**

მოსწავლეები ასრულებენ მე-7 სავარჯიშოს. აქაც მასწავლებელი შეარჩევს მუშაობისა და შესრულებული სავარჯიშოს გადამოწმება-გამოკითხვის ფორმატს.

**9. გრამატიკულ საკითხზე მუშაობა**

მასწავლებელი ნიმუშებზე დაყრდნობით უხსნის/ახსენებს მოსწავლეებს ზმნის სამ დროს: აწმყო-უწყვეტელი-წყვეტილი. ამისთვის იგი იყენებს დაფას/ფლიპჩარტს და წინადადებების ჩვენებით ახერხებს კონკრეტული საკითხის ახსნას.

სთხოვს, დააკვირდნენ მე-8 დავალებაში მოცემული ზმნების ფორმებს. საჭირო შემთხვევაში აკეთებს დამატებით განმარტებებს.

**10. გრამატიკულ საკითხზე მუშაობა (გაგრძელება)**

მოსწავლეები ასრულებენ მე-9 სავარჯიშოს წიგნში მოცემული წინა დავალების მიხედვით. შესაძლოა, მასწავლებელმა მოსწავლეები დააჯგუფოს და ერთ მოსწავლეს ერთი ზმნის ფორმების ჩაწერა დაავალოს, მეორე მოსწავლეს – მეორე ზმნის და ა. შ.

**11. გრამატიკულ საკითხზე მუშაობა (გაგრძელება)**

მოსწავლეები მუშაობენ მე-10 სავარჯიშოზე. სასურველია, მოსწავლეებმა ჯერ ინდივიდუალურად შეასრულონ სავარჯიშო, ხოლო შემდეგ გაუზიარონ თანაკლასელებსა და მასწავლებელს.

აღსანიშნავია, რომ ეს სავარჯიშო, ერთი მხრივ, ნასწავლ ზმნებს ააქტიურებს, მეორე მხრივ, წაკითხული ტექსტისა და თემის შინაარსთან დაკავშირებულ წინადადებებს სთავაზობს მოსწავლეებს.

**12. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა**

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს მე-11 დავალებას და ყურადღებას ამახვილებს სიტყვათწარმოებაზე (მათგან ზოგიერთი სიტყვა იციან მოსწავლეებმა. მაგალითად, ცეკვა, შენება, სიმღერა...).

**13. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა (გაგრძელება)**

მოსწავლეები ასრულებენ მე-12 სავარჯიშოს. ეს სავარჯიშო ააქტიურებს წინა, მე-11 დავალებაში წარმოდგენილ ლექსიკურ ერთეულებს.

სავარჯიშოზე მუშაობის ფორმატს (ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფური) გადაწყვეტს მასწავლებელი.

აღსანიშნავია, რომ ეს სავარჯიშო, ერთი მხრივ, ააქტიურებს ლექსიკურ ერთეულებს, მეორე მხრივ, მოსწავლეებს ამზადებს მოსასმენი ტექსტის გაგებისთვის.

**14. ლექსიკური სავარჯიშოს შესრულება**

მოსწავლეები ასრულებენ მე-13 სავარჯიშოს, რითაც პასიურად, მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ აქტიურდება შეთავაზებული ლექსიკური ერთეულები.

აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვები მათ დასჭირდებათ მოსასმენი ტექსტის გაგებისთვის. ანუ ეს სავარჯიშოც ერთგვარი მოსამზადებელი აქტივობაა ტექსტის მოსმენამდე.

**15. მცირე საინფორმაციო მოსასმენი ტექსტის გაგება**

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ახლა მოუსმენენ ტექსტს და მათ უნდა აღნიშნონ, იქვე მოცემული წინადადებები სწორია თუ არა. მოსწავლეები ჯერ წინასწარ კითხულობენ ამ წინადადებებს, საჭიროების შემთხვევაში აზუსტებენ მათ მნიშვნელობას და ამის შემდეგ უსმენენ ტექსტს.

ტექსტის მოსმენის შემდეგ საუბრობენ, სწორია თუ არა შეთავაზებული წინადადებები. თუკი საჭიროა, მასწავლებელი ტექსტს ასმენინებს მეორედაც.

**16. მოსმენილი ტექსტის გაგება-გააზრება (გაგრძელება)**

სრულდება მე-15 და მე-16 სავარჯიშოები, რისთვისაც დასჭირდებათ ტექსტის კიდევ მოსმენა. სავარჯიშოებზე მუშაობის ფორმატსა და გადამოწმების წესს მასწავლებელი გადაწყვეტს საჭიროების მიხედვით.

**17. გრამატიკული საკითხის (წყვეტილისა და მეორე კავშირებითის) გააზრება**

მასწავლებელი მე-17 დავალების მიხედვით მოსწავლეებს უხსნის მე-2 კავშირებითის მნიშვნელობასა და ფუნქციას. ამისთვის დაფაზე წერს შეთავაზებულ ნიმუშებს. მოჰყავს სათანადო მაგალითები.

**18. გრამატიკულ საკითხზე ვარჯიში**

მოსწავლეები ასრულებენ მე-18 სავარჯიშოს – ჯერ ინდივიდუალურად, შემდეგ წყვილებში. გაგების გადამოწმების მიზნით მასწავლებელი გამოიკითხავს შესრულებულ სავარჯიშოს.

**19. ქცევის წესების გააზრება**

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შეკითხვას, თუ რა ქცევის წესები აქვთ სკოლაში, საკლასო ოთახში? მოსწავლეები ასახელებენ რამდენიმე ქცევის წესს. შემდეგ სვამს შეკითხვას, თუ რა ქცევის წესები შეიძლება ჰქონდეს მუზეუმს?

ამის შემდეგ უთითებს მე-19 დავალებაზე წიგნში და ეუბნება, რომ ეს არის მუზეუმში ქცევის წესები. სთხოვს, წაიკითხონ წყვილებში და უპასუხონ იქვე მოცემულ შეკითხვებს.

წაკითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი ხმამაღლა უსვამს შეკითხვებს.

**20. წაკითხული ქცევის წესების გააზრება. გრამატიკული საკითხის გააქტიურება.**

მოსწავლეები ასრულებენ მე-20 სავარჯიშოს ინდივიდუალურად. შემდეგ წყვილებში უზიარებენ პასუხებს. მასწავლებელი შესრულების გადამოწმების მიზნით, ხმამაღლა გამოიკითხავს შესრულებულ სავარჯიშოს.

**21. ქცევის წესების შედარება**

მასწავლებელი კიდევ ერთხელ ახსენებს მოსწავლეებს მუზეუმში ქცევის წესებს (დავალება 19). შემდეგ კიდევ ერთხელ იხსენებენ სკოლაში ქცევის წესებს. ამის შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს, სავარჯიშოების რვეულში ჩაწერონ ისეთი ქცევის წესები, რომლებიც მუზეუმშიც უნდა დაიცვან და სკოლაშიც. სრულდება 21-ე სავარჯიშო.

შეიძლება წყვილებში ან ჯგუფებში იმუშაონ მოსწავლეებმა და შემდეგ გააკეთონ პრეზენტაციები.

**22. საჭმელების მოფიქრება და „სუფრის გაშლა"**

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მოიფიქრონ უძველესი საჭმელები დავალება 22-ის მიხედვით. თავიანთი სავარჯიშოების რვეულში ჩახატავენ სუფრაზე ამ საჭმელებს (სავარჯიშო 23).

აკეთებენ პრეზენტაციებს. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ბავშვს მიეცეს როგორც მუშაობის, ასევე პრეზენტაციის საშუალება. შესაძლოა იმუშაონ  როგორც წყვილებში, ასევე ჯგუფებშიც.

**23. ქცევის წესების შედგენა**

მოსწავლეები მუშაობენ 24-ე სავარჯიშოზე. მოიფიქრებენ სუფრასთან ქცევის სამ წესს. შემდეგ გააკეთებენ პრეზენტაციებს. მოსწავლეები ყურადღებით უსმენენ პრეზენტატორ თანაკლასელებს და თავიანთ წესებს დაამატებენ ორ ისეთ წესს, რომლებიც მოეწონებათ.

## საშინაო დავალების სარეკომენდაციო ნიმუშები

- სავარჯიშოების რვეულში უკვე შესრულებული მე-12 სავარჯიშოს საშინაო დავალების რვეულში გადაწერა.
- მე-12 სავარჯიშოში წარმოდგენილი სიტყვების მიხედვით განსხვავებული წინადადებების მოფიქრება და საშინაო დავალებების რვეულში ჩაწერა (მაგალითად, 5-6 წინადადება).
- მე-13 სავარჯიშოს მსგავსი „სიტყვების ბადის“ შედგენა ახალი სიტყვების გამოყენებით.
- საშინაო დავალების რვეულებში გადაწერა კლასში შესრულებული მე-20 სავარჯიშოსი.
- პოსტერის დამზადება „უძველესი ადამიანების სუფრა”.
- სუფრასთან ქცევის წესების გადაწერა საშინაო დავალების რვეულებში და რომელიმე წესის დამატება.

**შენიშვნა:** მოცემულ საშინაო დავალებებს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. ისინი გადანაწილდება იმის მიხედვით, თუ როგორ დაიყოფა ზემოთ წარმოდგენილი გაკვეთილები აქტივობებად. მასწავლებელს შეუძლია მსგავსი დავალებების მოფიქრება როგორც ამ, ასევე სხვა თემატურ ერთეულებში.

**შეფასება**

მასწავლებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენების მიზნით გამოიყენებს შეფასების ქვემოთ მოცემულ რუბრიკას, რომელშიც წარმოდგენილია სხვადასხვა კომპონენტი და კრიტერიუმები.

| **კომპონენტი** | **გასაუმჯობესებელი** | **საშუალო** | **კარგი** | **საუკეთესო** |
|---|---|---|---|---|
| **მოსმენა** | ვერ ახერხებს მოსმენილ ტექსტში ზედაპირული ინფორმაციის ამოცნობას. | შეუძლია მოსმენილი ტექსტის მიხედვით ზედაპირული ინფორმაციის ამოცნობა. | შეუძლია მოსმენილი ტექსტის როგორც ზედაპირული, ასევე ზოგიერთი სიღრმისეული ინფორმაციის გაგება-გააზრება. | სრულად იაზრებს მოსმენილ ტექსტს. |
| **წაკითხვა** | ვერ ახერხებს წაკითხულ ტექსტში ზედაპირული ინფორმაციის ამოცნობას. | შეუძლია წაკითხული ტექსტის მიხედვით ზედაპირული ინფორმაციის ამოცნობა. | შეუძლია წაკითხული ტექსტის როგორც ზედაპირული, ასევე ზოგიერთი სიღრმისეული ინფორმაციის გაგება-გააზრება. | სრულად იაზრებს წაკითხულ ტექსტს. |
| **ლაპარაკი** | ვერ ახერხებს ახალი ლექსიკური ერთეულებისა და კონსტრუქციების გამოყენებას. | შეუძლია ახალი სიტყვებისა და ენობრივი კონსტრუქციების ნაწილობრივ გამოყენება. | მცირე შეცდომებით ახერხებს ნასწავლი სიტყვებისა და ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებას. | უშეცდომოდ ახერხებს ნასწავლი სიტყვებისა და ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებას. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **წერა** | არ შეუძლია საკომუნიკაციო წერილობითი დავალებების შესრულება. | შეცდომებით ახერხებს აზრის წერილობით გადმოცემას. | მცირე შეცდომებით შეუძლია წერილობითი ტექსტების შექმნა მითითების მიხედვით | უშეცდომოდ შეუძლია მითითების მიხედვით წერილობითი ტექსტების შექმნა. |
| **ლექსიკა** | ვერ ახერხებს ახალი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობათა წვდომას. | ახერხებს ახალ სიტყვათა უმეტესობის მნიშვნელობის ამოცნობასა და გამოყენებას. | ახერხებს თითქმის ყველა ახალი სიტყვის ადეკვატურ გამოყენებას სათანადო კონტექსტში | სრულფასოვნად ახერხებს ახალი სიტყვების სათანადო კონტექსტში გამოყენებას, როგორც წერის, ასევე ლაპარაკის პროცესში. |

# 1-ლი თემის ქვიზი

**1. დაასრულე წინადადება:**

**პირველი ტანსაცმელი ადამიანმა ცხოველის ტყავისგან _____.**

ა. შეკერა ბ. კერავდა გ. კერავს

**2. რა ინახება მუზეუმებში?**

ა. სურსათი ბ. საკლასო ჟურნალები გ. ექსპონატები

**3. მუზეუმის სტუმრებმა არ უნდა _____.**

ა. ხმაურობენ ბ. იხმაურონ გ. იხმაურეს

**4. რომელი წინადადებაა სწორი?**

ა. უძველესი ადამიანები ცხოვრობდნენ მილიონზე მეტი წლის წინ.
ბ. უძველესი ადამიანები საქართველოში არ ცხოვრობდნენ.
გ. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ადამიანებია მალხაზი და ნატო.

**5. აწმყო – უწყვეტელი – წყვეტილი. რომელია ასე დალაგებული ზმნები?**

ა. ვნადირობ – ვინადირე – ვნადირობდი
ბ. ვნადირობდი – ვნადირობ – ვინადირე
გ. ვნადირობ – ვნადირობდი – ვინადირე

# თემა 2. რთველი

**თემატური მიზნები:**

- მოსწავლეები გაიმდიდრებენ სასოფლო-სამეურნეო (რთველი) თემატიკასთან დაკავშირებულ ლექსიკურ მარაგს.
- გაიაზრებენ მცირე ზომის საკითხავ და მოსასმენ ტექსტებს.
- შეიმუშავებენ, დაწერენ და წარადგენენ ღვინის დამზადების ეტაპების საქმიანობას.
- სათანადოდ გამოიყენებენ მსაზღვრელ-საზღვრულს შესწავლილ ბრუნვებში.

**1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა**

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს თემის ზოგად შინაარსსა და მიზნებს. იგი ეუბნება, რომ ამ თემის ფარგლებში ისინი ისაუბრებენ სოფელში მუშაობის შესახებ. გაეცნობიან (წაიკითხავენ და მოუსმენენ) რთვლის (ყურძნის კრეფა) შესახებ საკითხავ და მოსასმენ ტექსტებს. შეასრულებენ რამდენიმე გრამატიკულ სავარჯიშოს.

**2. საუბარი პოსტერის მიხედვით.**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ პოსტერს და ისაუბრონ შეთავაზებული შეკითხვების მიხედვით (ვინ არიან ნახატზე? გახსოვთ მათი სახელები? სად არიან ბავშვები და რას აკეთებენ ისინი? წელიწადის რა დროა ამ პოსტერზე? როგორ ხვდები? კიდევ რას საქმიანობენ სოფელში ადამიანები ამ დროს?). მასწავლებელი სვამს დამატებით შეკითხვებს იმისდა მიხედვით, თუ რა იქნება იმ მომენტში აქტუალური (მაგალითად, ვის აქვს ვენახი? თუ მოუკრეფიათ ყურძენი? და ა. შ.)

**3. სიტყვების გააქტიურება**

მასწავლებელი კითხულობს მე-2 დავალებაში მოცემულ სიტყვებს და სთხოვს მოსწავლეებს, მოძებნონ წიგნის 1-ლი დავალების პოსტერზე (ილუსტრაციაზე). საჭიროების შემთხვევაში უცნობი სიტყვის ამოცნობაზე ჯერ ვარაუდებს გამოათქმევინებს მოსწავლეებს, შემდეგ ერთად აზუსტებენ მის მნიშვნელობას.

**4. პოსტერზე (ილუსტრაციაზე) ინტერაქცია**

სრულდება მე-3 დავალება. მოსწავლეები კითხულობენ შეკითხვებს და არჩევენ სწორ პასუხებს. აღსანიშნავია, რომ ეს დავალება, ერთი მხრივ, ილუსტრაციის და ლექსიკური ერთეულების გააზრებაში ეხმარება მოსწავლეებს, მეორე მხრივ, ამზადებს ტექსტის წასაკითხად.

**5. ლექსიკურ ერთეულებზე (სიტყვებზე) მუშაობა**

მოსწავლეები ასრულებენ მე-4 სავარჯიშოს – აკავშირებენ სიტყვებს შესაბამის განმარტებებთან. სასურველია, მოსწავლეებმა ჯერ ინდივიდუალურად შეასრულონ ეს სავარჯიშო, შემდეგ წყვილებში გაუზიარონ ერთმანეთს. ბოლოს კი მასწავლებლის შერჩევით წარადგინონ კლასის წინაშე.

**6. სიტყვებზე მუშაობა**

მოსწავლეები აკვირდებიან წიგნის მე-5 დავალებას. მასწავლებელი რამდენიმე ნიმუშს წერს დაფაზეც და უხსნის მოსწავლეებს განსხვავებას ამ სიტყვებს შორის. ამის შემდეგ მოსწავლეები

ასრულებენ მე-6 სავარჯიშოს სავარჯიშოების რვეულში. სავარჯიშოზე მუშაობის ფორმატს მასწავლებელი განსაზღვრავს საჭიროების მიხედვით. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ყურადღებას ამხვილებს მხოლოდ სიტყვათწარმოებასა და სიტყვების მნიშვნელობაზე და არ უღრმავდება გრამატიკული კატეგორიის, მიმღეობის, რაობასა და არსს.

**7. ტექსტის წაკითხვა**

მოსწავლეები კითხულობენ მე-7 დავალების ტექსტს და უპასუხებენ იქვე მოცემულ შეკითხვებზე. სასურველია, მოსწავლეებმა შეკითხვებზე პასუხების გაცემისას მოძებნონ ტექსტში ის ადგილები, რომელთა საფუძველზეც შეარჩიეს სწორი პასუხი.

ტექსტის წაკითხვის ფორმატს მასწავლებელი შეარჩევს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან საკუთარი სურვილით მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით:

- მასწავლებლის მიერ ხმამაღლა წაკითხვა პაუზებითა და საჭირო განმარტებებით.
- მოსწავლეების მიერ ინდივიდუალურად წაკითხვა.
- მოსწავლეების მიერ მცირე ჯგუფებში წაკითხვა.

**8. ტექსტის გააზრების მიზნით სავარჯიშოების შესრულება**

მოსწავლეები მუშაობენ სავარჯიშოების რვეულის მე-8, მე-9 და მე-10 სავარჯიშოებზე.

მუშაობის ფორმატსა (ინდივიდუალური, წყვილებში, ჯგუფური) და პრეზენტაციის ფორმებს გადაწყვეტს მასწავლებელი.

აღსანიშნავია, რომ ეს სავარჯიშოები, ერთი მხრივ, წაკითხული ტექსტის გააზრებაში ეხმარება მოსწავლეებს, მეორე მხრივ, შემდეგ დავალებაში მოსასმენი ტექსტის გაგების მოსამზადებელ ფუნქციასაც ასრულებს.

**9. მოსმენილი ტექსტის გაგება**

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს მე-11 დავალების პირობას და ასმენინებს ტექსტს. წინასწარ კითხულობენ იქვე შეთავაზებულ წინადადებებს, რომლებზეც უნდა თქვან, სწორია თუ არა.

აქ მასწავლებელმა სხვადასხვა ფორმატს შეიძლება მიმართოს: ან წიგნებში ჩახედვის საშუალება მისცეს მოსწავლეებს და ისე დაასახელონ, სწორია თუ არა ესა თუ ის წინადადება. ან ჯერ წააკითხოს წინადადებები (გარიმ პირველად მოკრიფა ყურძენი. აისუმ ორი კალათა თეთრი ყურძენი მოკრიფა. ეკას თავიდან არ უნდოდა რთველში წამოსვლა. დათოს მშობლები და ბებია-ბაბუა ძალიან გახარებულები არიან), შემდეგ დაახურინოს წიგნები, ისე მოასმენინოს და შემდეგ იმსჯელონ.

**10. მოსმენილი ტექსტის გააზრება**

მოსწავლეები კიდევ ერთხელ უსმენენ ტექსტს და ასრულებენ მე-12 სავარჯიშოს. უზიარებენ ერთმანეთს პასუხებს.

**11. გრამატიკულ საკითხზე მუშაობა**

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დააკვირდნენ მე-13 დავალებაში მოცემულ სიტყვებსა და წინადადებებს. თვითონაც წერს დაფაზე რამდენიმე ნიმუშს. მოსწავლეები შემდეგ ასრულებენ მე-14 სავარჯიშოს.

შესრულებულ სავარჯიშოს უზიარებენ თანაკლასელებს. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი ასწორებს შეცდომებს და აძლევს უკუკავშირს.

**12. ღვინის დამზადების პოსტერზე მუშაობა**

მოსწავლეები მუშაობენ მე-15 სავარჯიშოს მიხედვით და ამზადებენ ღვინის დამზადების პოსტერს. წარადგენენ კლასის წინაშე. სასურველია, ყველა მოსწავლეს მიეცეს საკუთარი ნამუშევრის წარდგენის საშუალება.

მნიშვნელოვანია, რომ ეს აქტივობა ერთგვარად აჯამებს თემის საკითხებს და მოსწავლეებს უბიძგებს კომუნიკაციური უნარების განვითარებისკენ.

## საშინაო დავალების სარეკომენდაციო ნიმუშები

- მე-4 სავარჯიშოს გადაწერა ლექსიკონის რვეულში და სიტყვებისთვის გარდა განმარტებებისა ნახატების მიხატვა.
- მე-6 სავარჯიშოს გადაწერა საშინაო დავალებების რვეულში და რამდენიმე სიტყვაზე სხვა წინადადების მოფიქრება. (ასეთი დავალება იძლევა დიფერენცირების საშუალებას – ზოგიერთი მოსწავლე მოახერხებს განსხვავებული წინადადებების დაწერასაც.)
- მე-8 სავარჯიშოს საშინაო დავალებების რვეულში გადაწერა. დამატებით ტექსტის შესაბამისი ორი  წინადადების მოფიქრება და დაწერა.

# მე-2 თემის ქვიზი

**1. გოდორში არის _____ ყურძენი.**

ა. მოკრეფილი ბ. კრეფს გ. კრეფდა

**2. მოკრეფილ ყურძენს _____ აგროვებენ.**

ა. საწნახელს ბ. საწნახელზე გ. საწნახელში

**3. ბავშვებს საინტერესოდ ელაპარაკა _____.**

ა. დათოს ბაბუა ბ. დათომ ბაბუამ გ. დათოს ბაბუას

**4. ბავშვები _____ ჭამენ.**

ა. შემწვარმა სიმინდმა ბ. შემწვარი სიმინდის გ. შემწვარ სიმინდს.

**5. რომელია ღვინის დამზადების სწორი თანმიმდევრობა?**

ა. ყურძნის დაწურვა – ყურძნის მოკრეფა – ყურძნის წვნის ჩასხმა ქვევრებში – ყურძნის წვნის ადუღება

ბ. ყურძნის დაწურვა – ყურძნის წვნის ადუღება – ყურძნის წვნის ჩასხმა ქვევრებში – ყურძნის მოკრეფა

გ. ყურძნის მოკრეფა – ყურძნის დაწურვა – ყურძნის წვნის ჩასხმა ქვევრებში – ყურძნის წვნის ადუღება

# თემა 3. ხასიათი

**თემატური მიზნები:**

- მოსწავლეები გაიაზრებენ მცირე ზომის საინფორმაციო, აღწერით და მოსასმენ ტექსტებს;
- შეძლებენ ადამიანის ხასიათზე და ემოციებზე საუბარს;
- საკუთარ და სხვის ხასიათზე მსჯელობას;
- საუბრის დროს გამოიყენებენ შესაბამის ლექსიკურ ერთეულებს და მარტივ გრამატიკულ კონსტრუქციებს: მე ვარ / ის არის; მე მომწონს ... / მას მოსწონს, მე მიყვარს / მას უყვარს. ასევე, გამოიყენებენ კავშირებს: იმიტომ, რომ; ხან... ხან, ზოგჯერ...ზოგჯერ.

**აქტივობა 1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა:**

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს თემის ზოგად შინაარსს და მიზნებს. კერძოდ, ის ეუბნება მათ, რომ ისაუბრებენ სხვადასხვა ხასიათის მქონე ადამიანებზე. ამისთვის მოსწავლეთა ყურადღებას მიაპყრობს ილუსტრაციას (მოსწავლის წიგნი, დავ.1), მოსწავლეებმა მასზე გამოსახულ თითოეულ ემოტიკონს უნდა დაუკავშირონ შესაბამისი სიტყვა. აქტივობა მასწავლებელს საშუალებას აძლევს გააააქტიუროს საკვანძო ლექსიკური ერთეულები.

**2. საკვანძო ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა**

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მოსწავლის რვეულში შეასრულონ სავარჯიშო 2 დამოუკიდებლად ან წყვილებში (როგორც მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ), შემდეგ შემოწმდება შესრულებული სამუშაო. დავალება ეხმარება მოსწავლეებს საჭირო ლექსიკური ერთეულების დამახსოვრებაში.

**3. დამხმარე შეკითხვებით თემასთან მიახლოება**

მოსწავლის წიგნში სრულდება დავალება 3. ის წარმოადგენს ილუსტრაციას, რომელსაც ყურადღებით უნდა დააკვირდნენ მოსწავლეები და პასუხები გასცენ შეკითხვებს. ამ აქტივობის წარმატებით განხორციელება მომდევნო საინფორმაციო ტექსტების მარტივად გაგება-გააზრების წინაპირობას წარმოადგენს. წარმოგიდგენთ მასწავლებლის ქმედების ნიმუშს: მასწავლებელი სვამს შეკითხვას: რამდენი ადამიანია გამოსახული ნახატზე? რომელი ლათინური ასო აწერია პირველ ადამიანს? რომელი ლათინური ასო აწერია მეორე ადამიანს? შეკითხვებზე პასუხის შემდეგ მასწავლებელი I და E ასოებს ერთმანეთისგან მოშორებით დაწერს დაფაზე. შემდეგ ისევ ეკითხება მოსწავლეებს: თქვენი აზრით, როგორია ადამიანი „I“? მოსწავლეები პასუხობენ მე-2 სავარჯიშოში გააქტიურებული სიტყვების გამოყენებით (მოწყენილი, სერიოზული); მასწავლებელი მათ პასუხებს აფიქსირებს დაფაზე „I“ -ს გარშემო და ხაზებით აკავშირებს, ისე, რომ ასოციაციური რუკა წარმოიქმნას. შემდეგ სვამს შეკითხვას: როგორია ადამიანი „E“? და ამ შემთხვევაშიც ანალოგიურად იქცევა — მოსწავლეთა პასუხებს „E“ -ს გარშემო წერს. შემდეგ კი ეუბნება მოსწავლეებს, რომ წაიკითხავენ ტექსტს, რომელშიც გამოჩნდება, რამდენად სწორი ვარაუდები გამოთქვეს მოსწავლეებმა. ეს არის ერთგვარი ინტრიგა — ყურადღებით წაიკითხონ ტექსტები და შეამოწმონ თავიანთი ვარაუდები.

**4. საინფორმაციო ტექსტის წაკითხვა-გააზრება გლობალურ დონეზე**

მე-4 დავალებაში არის ორი მინიტექსტი. მასწავლებელზეა დამოკიდებული, როგორ მოხდება მათი წაკითხვა: ნაწილ-ნაწილ, ფორუმში, ჯგუფებში თუ წყვილებში. სასურველია, თითოეული

ტექსტის შემდეგ დაისვას დამატებითი სააზროვნო შეკითხვები, მაგ: როგორია ექსტრავერტი? / ინტროვერტი? რა უყვარს ექსტრავერტს? / ინტროვერტს? რას აკეთებს ექსტრავერტი? / ინტროვერტი?

ტექსტების წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს მათ მიერ წინა დავალებაში გამოთქმულ ვარაუდებს და ერთად ამოწმებენ, გამართლდა თუ არა ისინი.

**5. ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზების განმარტება**

მოსწავლეები მუშაობენ ლექსიკური ერთეულების და ფრაზების მნიშვნელობების დადგენაზე (მოსწავლის რვეული, დავ.5). ეს მოსწავლეებს ტექსტების გაგება-გააზრებაში დაეხმარება. აქტივობის ორგანიზების ფორმას არჩევს მასწავლებელი, შედეგები შეჯერდება ფორუმში.

**6. ინფორმაციის დახარისხება**

მოსწავლეები ავსებენ ცხრილს (მოსწავლის რვეული, სავ. 6), რაც უზრუნველყოფს ტექსტის სელექციურ დონეზე გაგებას. მასწავლებელს შეუძლია თავად აირჩიოს ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური, წყვილებში თუ ჯგუფური. ყურადღება არის გასამახვილებელი იმაზე, რომ ცხრილში ზოგი ინფორმაცია ზუსტად არ არის ამოღებული ტექსტიდან, თუმცა შინაარსით ერთი მეორეს მოიცავს. მაგ. ტექსტში წერია: „(ექსტრავერტს) უყვარს სიცილი“, ხოლო ცხრილში წერია: „არის ემოციური“. მოსწავლემ უნდა შეძლოს იმის გააზრება, რომ თუ ადამიანს უყვარს სიცილი, ის ემოციურია და ცხრილში ექსტრავერტი მონიშნოს. თუ ეს არ მოხდა, დავალების შემოწმების და შეცდომის აღმოჩენის შემდეგ მასწავლებელმა უნდა მისცეს მკაფიო უკუკავშირი, ამაში შეიძლება დაიხმაროს მოსწავლეები, რომლებმაც აღნიშნულ ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი.

მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს შესთავაზოს სხვა ისეთი ინფორმაციის დახარისხებაც, რომელიც ცხრილში არ არის შეტანილი (ზეპირად ან წერილობით).

**7. გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენებაში გავარჯიშება**

მე-7 სავარჯიშოში (მოსწავლის რვეული) საჭიროა წინადადებების დასრულება. პრაქტიკა აჩვენებს, რომ მოსწავლეები ხშირად უშვებენ ასეთ შეცდომებს: (ექსტრავერტს) უყვარს თამაშობს; ექსტრავერტი არის მხიარულია; ამ დავალებაშიც არის რისკი ასეთი შეცდომების დაშვებისა. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა დააბრუნოს ტექსტთან. სასურველია, მოსწავლეებმა თავად მოძებნონ შესაბამისი ადგილები ტექსტში და გააცნობიერონ საკუთარი შეცდომა.

საჭიროა, მასწავლებელმა მოსწავლეებს შეასრულებინოს მსგავსი დავალებები, რა დროსაც, საწყისის გამოყენებასთან ერთად, ყურადღება გამახვილდება მიცემით ბრუნვაზეც. მაგ. ნინოს უყვარს თამაში და გართობა. გურამს უყვარს მარტო ყოფნა.

**8. ტექსტების წაკითხვა და გლობალურ დონეზე გაგება-გააზრება**

მე-8 დავალება (მოსწავლის წიგნი) აღწერითი ხასიათის ტექსტებია და ერთ მთლიანობას წარმოადგენს. მასწავლებელს აქვს საშუალება, საჭიროებისამებრ აირჩიოს მათი წაკითხვის ორგანიზების ფორმა. ასევე, მასწავლებელს შეუძლია თითოეული ტექსტის ბოლოს დასვას შეკითხვები. ამგვარად, ტექსტი განიტვირთება და მარტივი აღსაქმელი იქნება. ტექსტის შემდეგ მოცემული შეკითხვები მის დეტალურ გაგებას უზრუნველყოფს.

**9. ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზების განმარტება**

მე-9 სავარჯიშოში (მოსწავლის რვეული) ლექსიკური ერთეულები და ფრაზებია განმარტებული. გამომდინარე იქიდან, რომ რამდენიმე მათგანი რთული სიტყვაა ფორმით და შინაარსით (მაგ; გულჩათხრობილი, სხაპასხუპით, საქმის განაწილება), სასურველია, ეს დავალება შესრულდეს ფორუმში, დამატებითი განმარტებების თუ ჟესტიკულაციის მოშველიებით.

ასევე, შესაძლებელია ტექსტში აღმოჩნდეს ისეთი სიტყვები, რომლებიც ამ დავალებაში არ არის განმარტებული. მასწავლებელმა უნდა გაარკვიოს, არის თუ არა ტექსტში სხვა უცნობი სიტყვები და ფრაზები და დაეხმაროს მოსწავლეებს მათ განმარტებაში.

**10. ინფორმაციის დახარისხება**

მე-10 სავარჯიშოში მოცემულ ცხრილში (მოსწავლის რვეული) მოსწავლეებმა უნდა შეძლონ სამი მკვეთრად განსხვავებული ადამიანის თვისებების მონიშვნა. აქტივობის მიზანი ტექსტის სელექციურ დონეზე გაგებაა.

მასწავლებელს აქვს საშუალება, შესთავაზოს დამატებითი სავარჯიშო (წერითი ან ზეპირი), რა დროსაც ყურადღება გამახვილდება ამ პერსონაჟების სხვა თვისებებზეც. მაგ. შეიძლება დაისვას შეკითხვები: კიდევ რა თვისება აქვს ანეტას? თემურს? რენატას? რა აქვთ საერთო თემურს და რენატას? და ა. შ.

**11-12. ტექსტის გაგება-გააზრება დეტალურად**

11 -12 სავარჯიშოების მიზანია, წინადადებებში ფაქტობრივი შეცდომის აღმოჩენა და გასწორება, რაც ტექსტის კიდევ უფრო ღრმად გააზრებას უწყობს ხელს. მასწავლებელს შეუძლია, თავადაც მოიფიქროს მსგავსი სავარჯიშო და შესთავაზოს მოსწავლეებს.

**13. მსჯელობა ადამიანის ხასიათზე**

მე-13 დავალება ამოწმებს მოსწავლეთა ანალიზის უნარს — რამდენად შეუძლიათ ორ ტექსტს შორის პარალელის გავლება და კონკრეტული ადამიანის კონკრეტულ ტიპს მიკუთვნება. ცხრილის შევსებას უნდა მოჰყვეს ლაპარაკის აქტივობა, თუ რატომ ფიქრობენ ასე და რატომ მიაკუთვნეს პერსონაჟი ამა თუ იმ ტიპს. ლაპარაკის დროს უნდა გამოიყენონ: „იმიტომ, რომ“; „ხან... ხან...“ ; „ ზოგჯერ... ზოგჯერ...“; „სულ...“; „ყოველთვის...“

**14. საკუთარი თავის დახასიათება**

ამ დავალებაში მოსწავლეებმა უნდა შეძლონ არგუმენტირებული საუბარი საკუთარ ხასიათზე. საუბრის დაწყებამდე შეცდომების პრევენციის მიზნით უნდა გაეცნონ გრამატიკულ ბლოკს, სადაც საჭირო ზმნები მესამე პირიდან პირველ პირშია გადაყვანილი. ასევე, მოცემულია საჭირო გრამატიკული კონსტრუქცია, მცდარი კონსტრუქცია კი — გადახაზულია.

**15. მოსასმენი ტექსტის გააზრება გლობალურ დონეზე.**

მე-15 სავარჯიშო (მოსწავლის რვეული) არის მოსმენის აქტივობა. აქტივობის მიზანია, ფილმის ეპიზოდზე დაყრდნობით მოსწავლეებმა ამოიცნონ პერსონაჟების ხასიათები. მოსმენამდე მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა გააცნოს ზოგადი ინფორმაცია ფილმის გმირების შესახებ. წინარე ცოდნა მათ გაუადვილებს მოსასმენი დავალების აღქმას. პირველი მოსმენის მიზანია გლობალური ინფორმაციის გაგება, რაც მიიღწევა შეკითხვებზე პასუხის გაცემით. სასურველია, მოსმენის დაწყებამდე მოსწავლეებს მივცეთ შეკითხვების წაკითხვის

საშუალება; ასეთი სტრატეგიით მოსწავლეები ადვილად ხვდებიან, მოსმენის დროს რომელ დეტალებს მიაქციონ ყურადღება.

**16-17. მოსასმენი ტექსტის გაგება სელექციურ დონეზე**

მოსწავლეები მეორედ უსმენენ ფილმის ეპიზოდს. მიზანი მისი შინაარსის გაგებაა სელექციურ დონეზე. მეორე მოსმენის (ნახვის) შემდეგ მოსწავლეები მონიშნავენ ინფორმაციას, თუ რის შესახებ ესაუბრება ანა მამას (მოსწავლის რვეული, სავ 16). გოგონა საუბრობს ძალიან სწრაფად, ამიტომ მასწავლებელმა წინასწარ უნდა განუმარტოს მოსწავლეებს, რომ არ მათ ევალებათ დეტალური შინაარსის გაგება, მათ მხოლოდ ცალკეული სიტყვები უნდა „დაიჭირონ" გოგონას საუბარში და დავალებაში შემოხაზონ შესაბამისი ვარიანტი. მე-17 სავარჯიშო (მოსწავლის რვეული) წარმოადგენს ცხრილს, რომლის შესავსებად საკმარისია პერსონაჟების საუბრის სტილზე დაკვირვება: ვინ როგორ საუბრობს (ნელა, ჩქარა, ემოციურად...)

**18. წინადადებების დასრულება**

მოსწავლეები ასრულებენ აქტივობას მოსწავლის რვეულში, სავ.18. ისინი ასრულებენ წინადადებებს ფილმის პერსონაჟების შესახებ. ეს დავალება კიდევ ერთხელ ავარჯიშებს მოსწავლეებს გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენებაში. მასწავლებელს აქვს საშუალება, დავალება შეცვალოს და პირიქით შეასრულებინოს — შესთავაზოს თვისებები და მოქმედებები და სთხოვოს შესაბამისი პერსონაჟის სახელის ჩასმა.

მაგ: ----- არის მხიარული;
----- უყვარს ბევრი ლაპარაკი;
----- არის ჩუმად.

**19-20. მსჯელობა ადამიანის ხასიათზე**

ეს დავალებები ამოწმებს მოსწავლეთა ანალიზის უნარს — რამდენად შეუძლიათ ორ ინფორმაციას შორის პარალელის გავლება და კონკრეტული ადამიანის კონკრეტულ ტიპს მიკუთვნება. ცხრილის შევსებას მოჰყვება არგუმენტირებული მსჯელობა, თუ რატომ ფიქრობენ ასე და რატომ მიაკუთვნეს ანა ან მისი ძმა ამა თუ იმ ტიპს.

შემდეგ ანალოგიურად იმსჯელებენ სხვა ადამიანზე: მეგობარზე, ნათესავზე, მეზობელზე, ოჯახის წევრზე, მასწავლებელზე.

გამოიყენებენ: „იმიტომ, რომ"; „ხან... ხან..." ; „ ზოგჯერ... ზოგჯერ..."; „სულ..."; „ყოველთვის..."

რეკომენდებულია, მოსწავლეებმა ერთ-ერთი ადამიანის ( პერსონაჟის, მეგობრის, მეზობლის) ხასიათის შესახებ დაწერონ მცირე ზომის ტექსტი. მსგავსი დავალების მიცემამდე მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს მოდელი — საკლასო ოთახში ერთობლივი წერის მეთოდით შეიქნას ადამიანის ხასიათის ამსახველი ტექსტი (მაგალითად, ანას შესახებ).

სარეკომენდაციო დავალებები:

1. წინადადებების შედგენა, ვინ როგორია (მესამე პირში);
2. წინადადებების შედგენა, როგორი ვარ მე;
3. წინადადებების შედგენა, ვის რა მოსწონს / უყვარს (მესამე პირში);
4. წინადადებების შედგენა, მე რა მომწონს და მიყვარს;
5. წინადადებების შედგენა, ვინ რას აკეთებს;
6. წინადადებების შედგენა, მე რას ვაკეთებ;
7. ტექსტების დაწერა (ეტაპობრივად), ხასიათის რომელ ტიპს მიეკუთვნება ანეტა, თემური, რენატა, ანა, ანას ძმა, შესაბამისი არგუმენტაციის მოხმობით (იმიტომ, რომ, ხან — ხან, ყოველთვის სიტყვების გამოყენებით);
8. ტექსტის დაწერა ოჯახის წევრზე, მეგობარზე, ნათესავზე, მასწავლებელზე შესაბამისი არგუმენტაციის მოხმობით (იმიტომ, რომ, ხან — ხან, ყოველთვის სიტყვების გამოყენებით);
9. ტექსტის დაწერა, როგორი ვარ მე, შესაბამისი არგუმენტაციის მოხმობით (იმიტომ, რომ, ხან — ხან, ყოველთვის სიტყვების გამოყენებით);

# მე-3 თემის ქვიზი

**1. თუ ადამიანი ექსტრავერტია, ის არის**

ა. მშვიდი, უყვარს მარტო ყოფნა და ფიქრი;

ბ. ემოციური, ხალისიანი, უყვარს სტუმრად წასვლა და გართობა.

გ. ცოტა სევდიანი, არ ჰყავს ბევრი მეგობარი.

**2. თუ ადამიანი ინტროვერტია, მას უყვარს**

ა. მეგობრებთან ერთად ბუნებაში წასვლა და გართობა;

გ. სტუმრად წასვლა, ბევრი ლაპარაკი და სიცილი;

ბ. მარტო ყოფნა ბუნებაში, ფიქრი და ოცნება.

**3. მასწავლებლის ჩანაწერების მიხედვით, შემოხაზე არასწორი ინფორმაცია:**

ა. თემურს არ ჰყავს ბევრი მეგობარი;

ბ. ანეტას უყვარს მარტო ყოფნა და კითხვა;

გ. რენატს შეუძლია საქმის განაწილება.

**4. შემოხაზე გრამატიკულად სწორი წინადადება:**

ა. ანას უყვარს ლაპარაკობს;

ბ. ანას ძმა არის მშვიდი ბიჭი;

გ. ანა აქტიური და ემოციური.

**5. შემოხაზე გრამატიკულად სწორი წინადადება:**

ა. მე არის ხან სევდიანი და ხან მხიარული;

ბ. მე ვარ ხან მხიარულია და ხან სევდიანია;

გ. მე ვარ ხან მხიარული და ხან სევდიანი.

# თემა 4. სკოლა

**თემატური მიზნები:**

- მოსწავლეები შეძლებენ გაიაზრონ სასკოლო თემატიკასთან დაკავშირებული საკითხავი და მოსასმენი ტექსტები;
- ისაუბრონ საკუთარი სკოლის შესახებ;
- შეადგინონ მცირე ზომის საინფორმაციო ტექსტი საკუთარი სკოლის შესახებ.

**გრამატიკული საკითხები:**

- რიგობითი რიცხვითი სახელის გამოყენება;
- კუთვნილებითი ნაცვალსახელის გამოყენებას.

**1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა**

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თემას. ეუბნება, რომ ისინი მოისმენენ დიალოგს, წაიკითხავენ საინფორმაციო და მხატვრულ ტექსტებს სკოლის თემაზე, შეძლებენ ისაუბრონ და დაწერონ საკუთარი სკოლის შესახებ.

**2. მოსმენა. მოსმენილი ტექსტის გლობალური გაგება. კითხვებზე პასუხი. სავარჯიშო 1**

მოსწავლეები უსმენენ ნათიგისა და სკოლის დირექტორის აუდიოჩანაწერს. აუდიოჩანაწერის მოსმენის მერე ისინი უპასუხებენ გლობალურ შეკითხვებს.

**3. აუდიოჩანაწერის ხელახალი მოსმენა. მოსმენილი ტექსტის სელექციური გაგება. სავარჯიშო 2. ინდივიდუალურად**

მასწავლებელი მისცემს ინსტრუქციას, რომ მოსწავლეები წინასწარ გაეცნონ მე-2 სავარჯიშოს პირობას და ხელახლა მოუსმენენ აუდიოჩანაწერს. ისინი ინდივიდუალურად ასრულებენ მე-2 სავარჯიშოს. შემდეგ მასწავლებელთან ერთად ზეპირად ამოწმებენ პასუხებს.

**4. დიალოგის მესამე მოსმენა. ტექსტის დეტალური გაგება. სავარჯიშოები 3 და 4. ინდივიდუალურად.**

მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან სავარჯიშოების პირობას. შემდეგ ისინი მესამედ მოუსმენენ დიალოგს და შემოხაზავენ/მონიშნავენ სწორ პასუხებს. ბოლოს მასწავლებელთან ერთად ზეპირად შეამოწმებენ პასუხებს. მასწავლებელს შეუძლია ეს სავარჯიშოები გამოიყენოს განმავითარებელი შეფასებისთვის:

- მოსწავლე სწორად იგებს/ვერ იგებს დეტალურ ინფორმაციას მოსასმენი ტექსტიდან.
- მოსწავლე სწორად იგებს/ვერ იგებს მოსასმენში გამოყენებულ რიცხვით სახელებს.
- მოსწავლე სწორად კითხულობს/ვერ კითხულობს სავარჯიშოში გამოყენებულ რიცხვით სახელებს.

თუ რომელიმე მოსწავლეს არადამაკმაყოფილებელი შედეგი აქვს, მასწავლებელმა დამატებით უნდა იმუშაოს რიცხვით სახელებსა და მოსასმენიდან დეტალური ინფორმაციის გაგების უნარზე.

მასწავლებელს თავად შეუძლია ჩაწეროს/ჩააწერინოს სხვას მცირე მოსასმენი ტექსტები წინასწარ შედგენილი მონახაზის/სცენარის საფუძველზე მობილური ტელეფონით (სმარტფონით), სადაც გაამახვილებს ყურადღებას იმ საკითხებზე, რომლებიც ყველაზე მეტად სჭირდება კლასს/კონკრეტულ მოსწავლეს.

**5. ხმამაღალი კითხვა. როლური თამაში. დავალება 5**

მოსწავლეებმა როლებში უნდა წაიკითხონ დიალოგი, რომელიც მანამ რამდენჯერმე მოისმინეს. ეს სავარჯიშო კარგია თხრობითი/ძახილის/კითხვითი წინადადებების შესაბამისი ინტონაციის, გამოთქმისა და მახვილების გამოსამუშავებლად. შესაძლებელია, კითხვამდე ან რამდენიმე როლური თამაშის მერე მასწავლებელმა კვლავ მოასმენინოს მოსწავლეებს აუდიოჩანაწერი შესადარებლად.

მოსწავლეების წიგნში მოცემულია რუბრიკა თვითშეფასების/ურთიერთშეფასებისთვის.

შესაძლებელია მასწავლებელმა იგივე რუბრიკა განმავითარებელი შეფასებისთვის გამოიყენოს.

**6. გრამატიკულ საკითხზე მუშაობა. რიგობითი რიცხვითი სახელების არაბული და რომაული ციფრებით აღნიშვნა. დავალება 6, სავარჯიშო 7**

ნათიგისა და სკოლის დირექტორის დიალოგში მოსწავლეებს ხვდებათ რამდენიმე რიცხვითი სახელი, როგორც რაოდენობითი, ისე რიგობითი. ისინი აღნიშნულია არაბული და რომაული ციფრებით. ეს დავალება და სავარჯიშო აცნობს მოსწავლეებს რიგობით სახელებს „მეოცემდე“ და მათი დაწერის წესებს ციფრებით.

საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელმა დამატებით უნდა იმუშაოს რიგობით სახელებზე დაფაზე.

**7. საუბარი სკოლაზე კითხვა-პასუხის მეშვეობით. დავალება 8. ფორუმი ან წყვილებში**

ეს დავალება ავითარებს ლაპარაკის უნარ-ჩვევას. შეკითხვების მეშვეობით მოსწავლეებმა უნდა ილაპარაკონ საკუთარი სკოლის შესახებ. შესაძლებელია, მასწავლებელმა მთელ კლასს დაუსვას ეს შეკითხვები ან გამოიძახოს წყვილები, რომლებიც ერთმანეთს დაუსვამენ კითხვებს და უპასუხებენ.

**8. წერა. სავარჯიშო 9. ინდივიდუალურად. (ნიმუშისთვის აქტივობა — მასწავლებელი-კალამი)**

მოსწავლეებმა უნდა დაწერონ მე-8 დავალებაში ზეპირად გადმოცემული ინფორმაცია — პატარა ტექსტი საკუთარი სკოლის შესახებ. მასწავლებელმა უნდა მისცეს გასაგები ინსტრუქცია, რომ ეს არ არის შეკითხვებზე პასუხი და ნაწერს უნდა ჰქონდეს გაბმული ტექსტის ფორმა. თუ მასწავლებელი ფიქრობს, რომ ეს დავალება ამ ეტაპისთვის რთული იქნება, შეუძლია გამოიყენოს აქტივობა — მასწავლებელი-ფანქარი და პირველად თავად დაწეროს სანიმუშო ტექსტი სკოლის შესახებ მოსწავლეების კარნახით. ამ შემთხვევაში მას ექნება მოსწავლეების მიერ ზეპირად ნათქვამი არასწორი ფორმებისა და კონსტრუქციების სწრაფად გასწორების შესაძლებლობა. ხოლო მე-9 სავარჯიშო საშინაო დავალებად მისცეს მოსწავლეებს.

**9. ჩუმი კითხვა. საინფორმაციო ტექსტის გლობალური, სელექციური და დეტალური გაგება. ფორუმი. დავალება 10, სავარჯიშო 11**

აქტივობა უვითარებს მოსწავლეებს მარტივი საინფორმაციო ტექსტის კითხვისა და გაგების უნარს. მოსწავლეები ეცნობიან მოკლე ინფორმაციას საქართველოს საშუალო განათლების სისტემის შესახებ. ისინი ჩუმად კითხულობენ საინფორმაციო ტექსტს და შემდეგ პასუხობენ ქვემოთ მოცემულ კითხვებზე. სასურველია, მასწავლებელმა თავდაპირველად ერთი-ორი შეკითხვა დაუსვას ტექსტის გლობალური გაგების შესამოწმებლად. ჰკითხოს, თუ რა ტიპისაა მოცემული ტექსტი (საინფორმაციო თუ მხატვრული). მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქცევინოს მოსწავლეებს სიტყვებზე: საჯარო, კერძო, დაწყებითი, საბაზო, საშუალო,

სავალდებულო, მუნიციპალიტეტი და მათს მნიშვნელობებზე. შესაძლებელია, მასწავლებელმა კითხვებზე პასუხის გაცემამდე ჩამოწეროს ეს სიტყვები დაფაზე და განმარტოს; შემდეგ კი, კითხვებზე პასუხის გაცემის პროცესში, მიუწეროს შესაბამისი კლასები (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) და მნიშვნელობები.

ბოლო შეკითხვაზე პასუხი არ არის მოცემული ტექსტში და მოსწავლეებმა ამაზე უნდა იმსჯელონ. შესაძლოა, მასწავლებელმა წინასწარ ჩამოუწეროს დაფაზე ის სიტყვები, რომლებიც შეიძლება დასჭირდეთ მსჯელობის პროცესში.

სავარჯიშო 11 ტექსტის დეტალურ გახსენებას და ლექსიკური ერთეულების სწორად ჩასმას გულისხმობს. მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ და წინადადებებში ჩასვან სიტყვები: საჯარო, სავალდებულო, მუნიციპალიტეტი... უმჯობესია, თუ ამ სავარჯიშოს მოსწავლეები წიგნის დახმარების გარეშე შეასრულებენ და მხოლოდ შემდეგ გადაამოწმებენ ტექსტის მიხედვით.

**10. ვარაუდების გამოთქმა ტექსტზე.**

უმჯობესი იქნება, თუ ტექსტის წაკითხვამდე მასწავლებელი ვარაუდებს გამოათქმევინებს მოსწავლეებს, თუ მათი აზრით, რის/ვის შესახებ იქნება ტექსტი (დააკვირდნენ სათაურს, ქვემოთ მოცემულ ფოტოს) და ხომ არ უკავშირდება ტექსტის სათაური მანამ მოსმენილი დიალოგის რომელიმე მონაწილეს.

**11. მხატვრული ტექსტის გლობალური, სელექციური და დეტალური გაგება. დავალება 12, სავარჯიშოები 13 და 14.**

მოსწავლეებმა პირველ ეტაპზე უნდა დაასახელონ წაკითხული ტექსტის ტიპი (მხატვრული, საინფორმაციო) და თემა. შემდეგ ისინი უპასუხებენ შეკითხვებს და ტექსტიდან ამოიღებენ შესაბამის ინფორმაციას. დავალება 12-ის შეკითხვები იწყება ყველაზე მარტივით და ა-დან დ-მდე უფრო და უფრო რთულდება. შესაძლებელია, მასწავლებელმა გამოიყენოს ეს ფაქტი მოსწავლეებთან დიფერენცირებული მიდგომისთვის.

სავარჯიშო 13 სელექციური გაგების შესამოწმებელი მარტივი სავარჯიშოა (პასუხები მოცემულია) და, სავარაუდოდ, ყველა მოსწავლე შეძლებს მის ინდივიდუალურად შესრულებას.

სავარჯიშო 14 ოდნავ უფრო რთულია და მოითხოვს ლექსიკური ერთეულების ზუსტ ცოდნას და ტექსტის ზედმიწევნით გაგების უნარს. თუმცა გამოყენებული ლექსიკა ხშირად ხმარებულია და წესით, მოსწავლეებს არ უნდა გაუჭირდეთ ამ სავარჯიშოს ინდივიდუალურად შესრულებაც.

ყოველი სავარჯიშოს შესრულების შემდეგ მასწავლებელი ამოწმებს პასუხების სისწორეს.

**12. გრამატიკულ საკითხზე მუშაობა. სავარჯიშოები 15, 16, 17.**

ამ აქტივობების მიზანია გაახსენოს მოსწავლეებს კუთვნილებითი ნაცვალსახელები. მე-15 სავარჯიშოში მოცემული ბლოკის მიხედვით მოსწავლეები ინდივიდუალურად ასრულებენ მე-16 და მე-17 სავარჯიშოებს. შესაძლებელია, მასწავლებელმა ეს სავარჯიშოები საშინაო დავალებად მისცეს მოსწავლეებს სათანადო ინსტრუქციის გაცემის მერე და კლასში ერთობლივად შეამოწმონ.

საშინაო დავალებად შეიძლება ასევე დამატებითი სავარჯიშოების მიცემა რიგობით სახელებთან და მათს დაწერილობასთან დაკავშირებით.

# მე-4 თემის ქვიზი

**1. რომელი ჩანაწერია სწორი, როდესაც უნდა დავწეროთ XII?**

ა. 12-ე

ბ. მე-12-ე

გ. მე-12

**2. რომელი რიგობითი რიცხვითი სახელი შეესაბამება მე19ეს?**

ა. XVII

ბ. XVIII

გ. XIX

**3. რომელია სწორი ფორმა?**

ა. მე მეგობარი

ბ. ჩემი მეგობარი

გ. ჩვენ მეგობარი

**4. რომელია სწორი წინადადება?**

ა. საქართველოში 2000დან მეტი სკოლაა.

ბ. საქართველოში 2000ზე მეტი სკოლაა.

გ. საქართველოში 2000ში მეტი სკოლაა.

**5. ჩასვი სიტყვა წინადადებაში:**

მასწავლებელი კლასში ნათიგთან ---- შევიდა.

ა. წინ

ბ. ერთად

გ. ორად

# თემა 5. მეგობრობა

**თემატური მიზნები:**

- მოსწავლეები შეძლებენ მეგობრობის თემაზე დაწერილი დღიურის ფორმის ტექსტის წაკითხვა-გაგება-გააზრებას, მოსმენასა და ახალი ლექსიკის ათვისებას; პერსონაჟების დახასიათებასა და მოვლენათა თანამიმდევრობის დადგენას; ვარაუდების გამოთქმასა და საკუთარი მოსაზრებების გადამოწმებას; დისკუსიაში მონაწილეობასა და წაკითხულის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებას; ზმნის წყვეტილის და მეორე კავშირებითი ფორმების წარმოებას.

გრამატიკული საკითხები:

- ა) ზმნის წყვეტილის და უწყვეტლის ფორმების გააქტიურება
- ბ) პირველ პირში დაწერილი ტექსტის შინაარსის გადმოცემა მესამე პირის ფორმით.

**1.თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა**

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს თემის ზოგად შინაარსსა და მიზნებს; იგი მათ ეუბნება, რომ წაიკითხავენ დღიურის ფორმის მოთხრობას, აითვისებენ ახალ ლექსიკურ ერთეულებს, დაახასიათებენ პერსონაჟებს და ტექსტში გადმოცემულ მოვლენებს დააწყობენ თანამიმდევრულად, გამოთქვამენ და გადაამოწმებენ ვარაუდებს, ჩაერთვებიან მასწავლებლის მიერ მართულ დისკუსიაში. ასევე, იმუშავებენ გრამატიკულ საკითხებზე - გაიხსენებენ ზმნის წყვეტილისა და უწყვეტელის ფორმებს, პირველ პირში დაწერილ ტექსტს გადაიყვანენ მესამე პირში.

**2. ვარაუდების გამოთქმა ტექსტების ტიპის შესახებ**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეასრულონ წიგნის 1-ლი დავალება, დააკვირდნენ 22-ე და 23-ე გვერდებზე მოცემულ ტექსტებს და აირჩიონ დავალებაში შემოთავაზებული პასუხებიდან სწორი ვარიანტი. ასევე, ისაუბრონ დასმული შეკითხვების მიხედვით:

- როგორ მიხვდით, რა ტიპის ტექსტია?
- რატომ გეგონა სხვა ვერსია სწორი (თუ მოსწავლემ არასწორად უპასუხა შეკითხვას)?
- გინახავთ/წაგიკითხავთ ასეთი ტიპის ტექსტები?
- თუ წაგიკითხავთ, დაასახელეთ.

მსგავსი შეკითხვები მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, წინასწარ დააკვირდნენ ტექსტის სტრუქტურას, გამოთქვან ვარაუდები, ამოიცნონ სწორი ვერსია. ეს მათ დაეხმარება წინარე ცოდნის მობილიზებაში და შეუქმნით წინასწარ განწყობას წასაკითხი ტექსტის მიმართ.

**3. საუბარი წასაკითხი ტექსტის გარშემო**

იმისათვის, რომ მოსწავლეებს გაუადვილდეთ ტექსტის გაგება, მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მთელი კლასის ჩართულობით (ფორუმი) შეასრულონ რვეულის სავარჯიშო N2. ეს დავალება მოსწავლეებს დაეხმარება მათთვის უცნობი სიტყვების მნიშვნელობის დადგენაში.

ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დააკვირდნენ წიგნში 22-ე და 23-ე გვერდებზე მოცემულ ტექსტებზე დართულ ილუსტრაციებს, თვალი გადაავლონ წასაკითხ ტექსტს და უპასუხონ N3 სავარჯიშოს I და II ნაწილში მოცემულ შეკითხვებს (ინდივიდუალურად). ეს

დავალება თავისი სირთულით საშუალებას იძლევა, რომ მასწავლებელმა გააააქტიუროს სხვადასხვა მზაობის მოსწავლე და ტექსტის წაკითხვამდე აქტივობაში ჩართოს როგორც მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე, ასევე, შედარებით დაბალი ენობრივი კომპეტენციის მოსწავლე. ეს გაზრდის ბავშვების ჩართულობას და აამაღლებს მათს მოტივაციას. შესაძლებელია, მასწავლებელმა დამატებითი შეკითხვებიც დასვას ილუსტრაციებზე დაყრდნობით. მაგ:

- სად ხდება მოქმედება?
- რატომ ფიქრობ ასე?

სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს მოსთხოვოს პასუხების დასაბუთება. ასეთი სახის დავალებები მათ დაეხმარება არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებაში.

**4. ტექსტის წაკითხვა/გაგება**

რადგან მოსწავლეებს ერთ გაკვეთილზე მოუწევთ ორი ტექსტის წაკითხვა, სასურველია, რომ მასწავლებელმა მათ სამოდელო კითხვის მეთოდით თავად წაუკითხოს პირველი (ოთხშაბათის) ტექსტი (გვ.22), კითხვის პროცესში შესთავაზოს ლექსიკის და შინაარსის გაგება-გააზრების ის მეთოდები, რომლებსაც მოსწავლეები გამოიყენებენ მეორე ტექსტის დამუშავებისას. შემდეგ კი მოსწავლეებს სთხოვოს ინდივიდუალურად, წყვილებში და ჯგუფებში წაიკითხონ მეორე ტექსტი (პროცესის დიფერენცირება). ამ დროს მაღალი მზაობის მოსწავლეები სხედან ერთად, მაგრამ ტექსტს კითხულობენ ინდივიდუალურად. საშუალო მზაობის მოსწავლეები სხედან ერთად, მაგრამ ტექსტს კითხულობენ წყვილებში (მასწავლებელმა მათ უნდა მისცეს ინსტრუქცია, რომ საჭიროებისამებრ ითხოვონ დახმარება), ხოლო კითხვა-გააზრებაში პრობლემების მქონე მოსწავლეებს, რომლებიც ასევე სხედან ერთად, მასწავლებელი ეხმარება ტექსტის წაკითხვაში. იმისათვის, რომ მასწავლებელი დარწმუნდეს, რამდენად სწორად გაიგეს მოსწავლეებმა ტექსტის შინაარსი, სვამს შეკითხვებს (წიგნის დავალება N4)

**5. წაკითხულის სიღრმისეული გააზრება**

ტექსტების უფრო სიღრმისეულად გაგება-გააზრებისთვის სრულდება სამუშაო რვეულის სავარჯიშოები N5-8. ტექსტიდან ინფორმაციის შერჩევა-ამოკრების, პერსონაჟის დახასიათებისა და სტრუქტურირების დავალებები ეხმარება მოსწავლეს ტექსტის კარგად გააზრებაში. ეს დავალებები, ასევე, იძლევა დიფერენცირებული მუშაობის საშუალებას. კითხვის პროცესზე დაკვირვებისას მასწავლებელი მიხვდება მოსწავლეთა რომელ ჯგუფს როგორ უნდა შეასრულებინოს მოცემული დავალებები - ინდივიდუალურად, წყვილებში თუ ჯგუფურად. შესრულებული დავალებების თითო ნიმუში აუცილებლად უნდა განიხილოს მასწავლებელმა კლასშივე, რათა მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ, გადაამოწმონ დავალებების შესრულების სისწორე.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტიდან მთავარი აზრის გამოტანა, შინაარსის მოკლედ შეჯამება, მასწავლებელი სთხოვს მათ შეასრულონ წიგნის დავალება N9 (ტექსტის დასათაურება).

შეჯამებისთვის მასწავლებელმა მოსწავლეებს შეიძლება შესთავაზოს ამგვარი საშინაო დავალება: ტექსტებიდან ამოიწერეთ ერთ-ერთი თქვენთვის სასურველი წინადადება და შექმენით ილუსტრაცია. შესაძლებელია მოსწავლეთა ნაწილს მასწავლებელმა შესთავაზოს წინადადებები, მაგ: „ერთი ჩვეულებრივი თბილისური ზამთრის დღეა“; „დედამ ძალიან მთხოვა, გაკვეთილები არ გავაცდინო“; „მასწავლებელმა არ დამიჯერა, რომ დავალება დაწერილი მქონდა“...

გაგრძელება:

**6. ვარაუდების გამოთქმა ტექსტის წაკითხვა-გააზრება**

რადგან მოცემული ტექსტი დღიურის ფორმატშია დაწერილი, ტექსტის ყოველი ახალი ნაწილი მასწავლებელმა მოსწავლეებს წინა ტექსტებთან კავშირში უნდა წააკითხოს და გააზრებინოს. წიგნის დავალება N10 მოსწავლეებს საშუალებას მისცემს გაიხსენონ უკვე წაკითხული დღეების შინაარსი და ილუსტრაციებზე დაყრდნობით ივარაუდონ, რა შეიძლება მოხდეს მომდევნო დღეებში. ეს მათ გაუღვივებს ინტერესს და საშუალებას მისცემს ტექსტების წაკითხვის შემდეგ გადაამოწმონ საკუთარი ვარაუდების სისწორე.

**7. ტექსტების წაკითხვა-გააზრება**

მასწავლებელს შეუძლია მოცემული ტექსტები მოსწავლეებს წააკითხოს იმავე სტრატეგიით, რაც აღწერილია წინა დავალებაში ან შეცვალოს სურვილისამებრ, საკუთარი კლასის შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

**8. ლექსიკა-ფრაზეოლოგიაზე მუშაობა**

მოსწავლეები ასრულებენ რვეულის N11 სავარჯიშოს. ეს მათ საშუალებას მისცემს გაიღრმავონ სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა, უკეთ გაიაზრონ ტექსტის შინაარსი და გამოკვეთონ პერსონაჟების ხასიათი.

**9. ტექსტების შინაარსის დეტალური გაგება**

მოსწავლის წიგნში მოცემული N12 დავალების შეკითხვების მეშვეობით მოსწავლეები შეძლებენ წაკითხული ტექსტების დეტალურად გაგებას. ასევე, მასწავლებელს შესაძლებლობა ექნება, აღმოფხვრას გაგება-გააზრების ხარვეზები, თუ ასეთი დაფიქსირდება მოსწავლეთა პასუხების დროს.

რვეულის სავარჯიშოები N 13-14-15 მასწავლებელს საშუალებას აძლევს კვლავ მიმართოს დიფერენცირებას და მოსწავლეებს მოცემული სავარჯიშოები შეასრულებინოს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად თავისი ჩართულობით და მოსწავლეებისათვის საჭირო დახმარების შეთავაზებით.

**10. წაკითხულის შეჯამება**

წიგნის დავალებები N16 და N17 შესაძლებელია მოსწავლეებმა შეასრულონ სახლში. ეს დავალებები იძლევა საშუალებას, რომ ნებისმიერი მზაობის მოსწავლემ იმუშაოს დამოუკიდებლად (შეასრულოს მოცემულთაგან ერთ-ერთი მისთვის დასაძლევი დავალება).

გაგრძელება:

**11. ილუსტრაციების მიმოხილვა, ვარაუდების გადამოწმება და ახალი ვარაუდების გამოთქმა**

მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციებს (გვ.25, დავალება 18.) და შეკითხვების დახმარებით ამოწმებენ საკუთარ ადრე გამოთქმულ ვარაუდებს ტექსტის ორი პერსონაჟის დაპირისპირებასთან დაკავშირებით. რადგან ილუსტრაციებზე ჩანს, რომ გეგა და გიორგი ავტობუსში ერთად სხედან, არ გაუჭირდებათ გამოცნობა, რომ ისინი დამეგობრდნენ. ასევე, მოსწავლეებს შეუძლიათ ილუსტრაციების მიხედვით ივარაუდონ, რა გახდა მათი დამეგობრების მიზეზი. ამგვარი აქტივობა მოსწავლეებს უვითარებს მეტყველების და არგუმენტირებული მსჯელობის უნარს, შესაბამისად მასწავლებელმა ეს შესაძლებლობა აუცილებლად უნდა გამოიყენოს.

**12. ლექსიკაზე მუშაობა**

მოთხრობის შემდეგი ნაწილის წაკითხვამდე მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ტექსტის გვერდზე ჩამოწერილ სიტყვათა განმარტებით ლექსიკონზე. შესაძლებელია, მან თავადაც უზრუნველყოს განსამარტი სიტყვების ილუსტრაციებით ან ვიდეომასალით მიწოდება, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს გახდის მოსწავლეებისთვის ახალი სიტყვების მნიშვნელობას. შესაძლებელია, რომ მოსწავლეებმა განმარტებული სიტყვები გადაიწერონ საკუთარ ლექსიკონებშიც. ამგვარი აქტივობა ბავშვებს უვითარებს ლექსიკონებზე მუშაობის უნარებს, მათ საშუალებას აძლევს ტექსტი გაიაზრონ კითხვის პროცესშივე და კითხვისას არ შეფერხდნენ ახალი, რთული სიტყვების განმარტებებზე.

**13. ტექსტის წაკითხვა-გაგება**

იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვებს კარგად აქვთ დამუშავებული ტექსტის წინა ნაწილები, გამოყენებული აქვთ კითხვა-გაგების სხვადასხვა სტრატეგია, მასწავლებელს საშუალება ეძლევა ტექსტის დასკვნითი ნაწილი ბავშვებს წააკითხოს ინდივიდუალურად. ამით ის დააკვირდება მოსწავლეების კითხვის პროცესს და შეძლებს გააკეთოს თითოეული მოსწავლისთვის განმავითარებელი შეფასება. ეს შეფასება შეიძლება იყოს ჰოლისტური (უფრო ზოგადი), რაც მასწავლებელს მისცემს საშუალებას დაადგინოს, როგორ შეძლეს მოსწავლეებმა წინა გაკვეთილებზე ათვისებული კითხვის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენება. თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ პრობლემების აღმოჩენის შემთხვევაში, მასწავლებელი დაეხმაროს რომელიმე მოსწავლეს კითხვაში. გასათვალისწინებელია, რომ მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს ფოკუსჯგუფი და კითხვის პროცესში სწორედ მათ დააკვირდეს, რადგან ერთდროულად ყველა მოსწავლეზე დაკვირვება და მონაცემების შეკრება თითქმის შეუძლებელია. შეგროვებული ინფორმაცია შესაძლებელია განთავსდეს დაკვირვების ფურცელში.

დაკვირვების ფურცლის (განმავითარებელი შეფასების რუბრიკის) ნიმუში (მასწავლებელს შეუძლია მასში ცვლილებები შეიტანოს სურვილის ან საჭიროებისამებრ):

| სახელი, გვარი | ტექსტს კითხულობს მიცემულ დროში | განმარტავს სიტყვების მნიშვნელობას | პასუხობს შეკითხვებს |
|---|---|---|---|
| *** ***** | - | - | ✓ |
| *** ***** | ✓ | ✓ | - |
| *** ***** | ✓ | - | ✓ |
| *** ***** | ✓ | ✓ | - |

**14. მოსმენა-გაგება**

სავარჯიშო N19 ემსახურება მოსმენის უნარის განვითარებას და პარალელურად ახალი ლექსიკური ერთეულების ათვისებას. იქიდან გამომდინარე, რომ შესაძლებელია მითითებული ვიდეორესურსი რთული აღმოჩნდეს კონკრეტული კლასის მოსწავლეებისათვის, მასწავლებელს ვაძლევთ რეკომენდაციას პაუზებით და საჭიროების შემთხვევაში გამეორებით მოასმენინოს მოსწავლეებს მითითებული მასალა. ამავე პრინციპით უნდა შეასრულებინოს მასწავლებელმა მოსწავლეებს N20 სავარჯიშოც.

**15. ლექსიკაზე მუშაობა**

სავარჯიშო N 21 მოსწავლეებს საშუალებას მისცემს გადაამოწმონ, რამდენად სწორად დაიმახსოვრეს თითოეული საგნის სახელწოდება. შესაბამისად, ამ დავალებას მოსწავლეები ასრულებენ ინდივიდუალურად.

ლექსიკის განმტკიცებას ემსახურება სავარჯიშო N22 რომლის საშუალებითაც მოსწავლეები დაადგენენ სიტყვების სინონიმურ მნიშვნელობებს.

**16. ტექსტის სიღრმისეული გაგება-გააზრება**

სასურველია, რომ წიგნის დავალება N23 მასწავლებელმა მოსწავლეებს გააკეთებინოს ხმამაღლა, მთელ კლასთან მუშაობის მეთოდით. ამით მას საშუალება მიეცემა დააკვირდეს, რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა ტექსტის შინაარსი და შინაარსის კონკრეტული დეტალები. იმისათვის, რომ მან გამორიცხოს ერთი და იმავე მოსწავლეების აქტიურობა, შეუძლია გამოიყენოს გამოსაძახებელი ჩხირები (ბრტყელ ჩხირებზე ცალ-ცალკე დაწერილია კლასის თითოეული მოსწავლის სახელი და ჩაყრილია ყუთში. მასწავლებელი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იღებს ჩხირს და რომელი მოსწავლის სახელიანი ჩხირიც მოხვდება ხელში, იმ მოსწავლეს უსვამს შეკითხვას).

რვეულის სავარჯიშოები N 24-25 მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საკლასო ქვიზების სახით. ამით მას საშუალება მიეცემა ინდივიდუალურად, განმავითარებელი ან განმსაზღვრელი შეფასებით შეაფასოს თითოეული მოსწავლის სწავლის და ახალი მასალის ათვისების ტემპი და ხარისხი. მოცემული დავალებები განსხვავდება ერთმანეთისაგან სირთულის მიხედვით და შესაძლებელია მასწავლებელმა ეს გამოიყენოს დიფერენცირების პრინციპის განსახორციელებლადაც. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ დავალებების დასრულების შემდეგ მასწავლებელმა ჯერ უნდა ჩაიბაროს შესრულებული ნამუშევრები, ხოლო შემდეგ განიხილოს ორივე დავალება დაფაზე თვალსაჩინოდ, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება იხილონ დავალების შესრულების სწორი ვერსია.

**17. გრამატიკულ საკითხებზე მუშაობა**

მიუხედავად იმისა, რომ წყვეტილის და უწყვეტლის მწკრივები ნასწავლი აქვთ მოსწავლეებს, მაინც სასურველია, რომ მასწავლებელმა რვეულის სავარჯიშოები N 26-27 მათ შეასრულებინოს დაფაზე თვალსაჩინოდ, რათა თავად მიეცეს საშუალება, კიდევ ერთხელ გააკეთოს განმარტებები და მოსწავლეებისთვის დააზუსტოს რა განსხვავებაა წყვეტილის და უწყვეტლის მწკრივებს შორის.

შესაძლებელია, რომ სავარჯიშო N 28 მოსწავლეებს მიეცეთ საშინაო დავალებად. თუმცა, ასეთ შემთხვევაში მასწავლებელმა ბავშვებს უნდა მისცეს ძალიან მკაფიო ინსტრუქცია და საჭიროების შემთხვევაში მათ კლასშივე განუსაზღვროს ტექსტის შექმნისთვის გამოსაყენებელი საორიენტაციო ზმნები. ან, პირდაპირ მისცეს წინადადების ნიმუშები, მაგ: „გუშინ დეიდასთან ვიყავი სტუმრად“; „გუშინწინ მეგობარს ტელეფონით მესიჯს ვწერდი“; „გუშინ დედასთან ერთად სადილს ვამზადებდი“... ამ დავალების შესრულებით მოსწავლეები შეძლებენ თავად შექმნან დღიურის ტიპის ტექსტი.

**18. ლაპარაკის უნარზე მუშაობა**

რადგან მოსწავლეებს უკვე წაკითხული და სხვადასხვა დავალებებით სიღრმისეულად აქვთ დამუშავებული მთლიანი ტექსტი, ისინი შეძლებენ დამოუკიდებლად მუშაობას და ერთი საფეხურით გართულებული დავალებების შესრულებას. მასწავლებელი აუცილებლად უნდა

გაეცნოს მოსწავლეების მიერ სახლში დამოუკიდებლად შესრულებულ წერით დავალებას. მისცეს მათ უკუკავშირი და მხოლოდ ამის შემდეგ ამუშაოს ისინი წიგნის N29 დავალებაზე. ეს დავალება მოსწავლეებს საშუალებას მისცემს თავად დასვან შეკითხვები და უპასუხონ ერთმანეთის მიერ დასმულ შეკითხვებს.

**19. წერა**

იქიდან გამომდინარე, რომ მოცემულ ასაკში მოსწავლეები ჯერ კიდევ ივითარებენ დამოუკიდებელი წერის უნარებს, სასურველია, რომ რვეულის სავარჯიშო N 30 მასწავლებელმა ერთობლივი წერის მეთოდით მოსწავლეების დახმარებით შეასრულოს დაფაზე თვალსაჩინოდ. ეს იქნება სამოდელო წერა, რის საშუალებითაც მოსწავლეები თვალს გაადევნებენ წერის პროცესში გასავლელ ეტაპებს.

**20. დისკუსია**

იმისათვის, რომ მოსწავლეებს მივცეთ საშუალება საკუთარი დამოკიდებულებები გამოხატონ შესწავლილი მოთხრობის მიმართ, მათ საშუალება ეძლევათ წიგნის დავალება 31-ის მიხედვით გამართონ საკლასო დისკუსია. შეეხონ მეგობრობის თემას, გაიაზრონ რა არის ბულინგი და რატომაა ის მიუღებელი.

**21. ზმნისწინის სწავლება**

რადგან მოსწავლეებს ზმნისწინებთან შეხება წინა კლასშიც ჰქონიათ, მათ არ უნდა გაურთულდეთ უფრო სიღრმისეულად ამ საკითხის შესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მოსწავლეებს გაუჭირდეთ ზმნისწინის გამოყოფა ზმნებიდან და მისი ფუნქციის გააზრება, ვფიქრობთ, რომ ისინი ამას მასწავლებლის დახმარებით დაძლევენ. თავდაპირველად, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას წიგნის გრამატიკულ ბლოკში (დავალება 32.) გადმოცემული ინფორმაცია. სასურველია, რომ მას წინასწარ დიდფორმატიან ქაღალდზე სქემის სახით გადატანილი ჰქონდეს მარტივი და რთული ზმნისწინები, რომ შემდეგ ეს თვალსაჩინოება ხანგრძლივად დარჩეს კლასის კედელზე მოსწავლეთა მხედველობის არეში და მას პერიოდულად მიუბრუნდნენ საჭიროებისამებრ. ასევე სქემის სახით და შესაბამისი ილუსტრაციებით შეიძლება მიეწოდოს მოსწავლეებს მიმართულების გამომხატველი ზმნისწინები, რაც მათ გაუადვილებს ზმნისწინის ამ ფუნქციის აღქმას. რაც შეეხება ზმნისწინის ფუნქციას, გამოხატოს დასრულებული მოქმედება, მასწავლებელი შესაძლებელია დაუბრუნდეს მოსწავლეების მიერ უკვე შესრულებულ რვეულის სავარჯიშოს 26 და კიდევ ერთხელ განიხილოს წყვეტილის მწკრივის ზმნები და მოსწავლეებს გააკეთებინოს შესაბამისი დასკვნები. რაც შეეხება ზმნისწინის ფუნქციას, ზმნას შეუცვალოს მნიშვნელობა, ეს შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლეებს თვალსაჩინო მაგალითით გააზრებინოს. შესწავლილი ტექსტის ბოლო ნაწილში (გვ. 26) არის ასეთი წინადადებები:

„ამ ათ დღეში ძალიან ბევრი რამ მოხდა“.

„დავინახე, რომ გეგა ბილიკიდან გადავიდა“.

მასწავლებელმა მოსწავლეებისთვის თვალსაჩინოდ და მათივე დახმარებით დაფაზე უნდა ამოწეროს ამ წინადადებებიდან ზმნები:

**მო-ხდა**

**და-ვინახე**

შემდეგ მოსწავლეებს უნდა სთხოვოს, რომ გამოყონ ზმნისწინები და ისინი ჩაანაცვლონ სხვა ზმნისწინებით – **„გა“, „შე“**

**გა**-ხდა

**შე**-ვინახე

შემდეგ კი მოსწავლეებისავე დახმარებით შეადგინოს ახალი წინადადებები ამ ზმნების გამოყენებით და ისინი შეადაროს წიგნიდან ამოწერილ წინადადებებს, მაგ.:

„ნინო ცნობილი ექიმი გახდა“ – „ამ ათ დღეში ძალიან ბევრი რამ მოხდა“,

„გეგას ფოტოაპარატი ჩანთაში შევინახე“ – „დავინახე, რომ გეგა ბილიკიდან გადავიდა“.

ამის შემდეგ მოსწავლეებს აღარ გაუჭირდებათ რვეულის სავარჯიშო 33-ის შესრულება. მოსწავლეები იმუშავებენ ჯგუფებში და მასწავლებლის დახმარებით შეძლებენ ზმნების დახასიათებას.

იმისათვის, რომ მოსწავლეების ამ საკითხის ცოდნა უფრო გაღრმავდეს, სასურველია, რომ ყოველი ახალი ტექსტის შესწავლის პროცესში მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს ზმნებზე და ამ ზმნებში ზმნისწინების ფუნქციაზე.

# მე-5 თემის ქვიზი

**1. დღიური არის**

ა. ლექსად დაწერილი ამბავი

ბ. პირადი ჩანაწერები თარიღებით

გ. რომანი წერილებად

**2.ჩაფხუტი არის**

ა. ფეხზე ჩასაცმელი

ბ. თავზე დასახური

გ. ტანსაცმელი

**3. დაწერე სამი ზედსართავი სახელი, რომლითაც დაახასიათებ გეგას**

**4. დაუსვი შეკითხვები სიტყვებს:**

მოთხილამურე

თხილამური

სათხილამურო ბილიკზე

**5. შეავსე ცხრილი:**

| **წყვეტილი** | **უწყვეტელი** |
|---|---|
| მივედი | |
| | ვწერდი |
| ვისრიალე | |

# თემა 6. იყავი ჯანმრთელი

**თემატური მიზნები:**

მოსწავლე შეძლებს

- გრიპის შესახებ საინფორმაციო ტექსტის წაკითხვას და გაგებას;
- აუდიოდიალოგის „აფთიაქში“ გაგებას;
- საუბარს იმაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს გრიპის დროს;
- თავაზიანი სიტყვების და გამოთქმების გამოყენებას სხვადასხვა სოციალურ გარემოში (ვთქვათ, ექიმთან და აფთიაქში) ინტერაქციის წარსამართად.
- საინფორმაციო ბუკლეტის დამზადებას ჯგუფის წევრებთან ერთად გრიპის შესახებ
- წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითის წარმოებას ნიმუშების მიხედვით
- ტექსტებში გამოყენებული ობიექტური წყობის ზმნების – მახველებს, მაცემინებს, მაკანკალებს, დამავიწყდა, მტკივა უღლებას და სათანადოდ გამოყენებას
- მეორე კავშირებითის ფორმების ამოცნობას ტექსტებიდან და რამდენიმე აქტიური ზმნის გადაყვანას აღნიშნულ მწკრივში.

**1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა**

მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს, რომ ამ თავში ისინი გაეცნობიან გრიპის შესახებ ტექსტებს, აითვისებენ საჭირო ლექსიკას, ისწავლიან სასწრაფო დახმარების გამოძახებას, ასევე იმას, თუ როგორ ისაუბრონ აფთიაქში, ასევე ისწავლიან იმ ზმნების უღლებას, რომლებიც გრიპის დაავადებასა და ჯანმრთელობასთან არის დაკავშირებული, დაამზადებენ ბუკლეტს გრიპისა და მისგან თავდასაცავი საშუალებების შესახებ. იმისათვის, რათა გამოიწვიოს მოსწავლეთა ინტერესი, მასწავლებელს შეუძლია დასვას შეკითხვა, გამოუძახებიათ თუ არა ოდესმე სასწრაფო დახმარება და თუ იციან, როგორ უნდა წარმართონ ოპერატორთან დიალოგი. კარგი იქნება, თუ რამდენიმე მოსწავლე გაითამაშებს ამ სცენას. ასევე, შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლეებს გრიპის შესახებ შეავსებინოს ასოციაციური რუკა.

**2. ტექსტის წაკითხვის შემამზადებელი დავალებები**

მოცემული თავის პირველი დავალებაც ასევე გამოწვევის ფაზისაა და ემსახურება მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას და ამავე დროს, წინარე ცოდნის გააქტიურებას. შეკითხვებზე პასუხები მიმდინარეობს მთელი კლასის მონაწილეობით.

**3. ტექსტის წაკითხვა და ვარაუდების გადამოწმება**

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ადარებენ თავიანთ ვარაუდებს ტექსტის ინფორმაციას. ეს ერთ-ერთი ის სტრატეგიაა, რომელიც შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის ტექსტთან გამოვიყენოთ და ერთგვარად გლობალური გაგების ნაცვლადაც მოიაზრება.

**3. ტექსტის ლექსიკაზე მუშაობა**

ვარაუდების გადამოწმების შემდეგ ზუსტდება ტექსტის უცნობი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობა. ტექსტის ლექსიკაზე მუშაობა ზოგჯერ აუცილებელია ტექსტის წაკითხვამდეც, განსაკუთრებით თუ ეს სიტყვები საკვანძოა. ამ შემთხვევაში ეს სამუშაო სრულდება ტექსტის წაკითხვის შემდეგ (სავარჯიშო 2 და 3). საინტერესოა, რომ სავარჯიშოები შეიცავს სიტყვათა

განმარტების მრავალფეროვან ხერხებს: თარგმნითი ლექსიკონის გამოყენებას, ჟესტებით გამოსახვას და ნაცნობი სიტყვებით განმარტებას. თითოეული მათგანი საჭირო ხერხია და მასწავლებელმა თავად უნდა გადაწყვიტოს, როდის რომელ ხერხს გამოიყენებს უცნობი სიტყვების ახსნისას.

**4. ტექსტის გაგებაზე მუშაობა**

სიტყვების განმარტების შემდეგ მოწმდება ტექსტის გაგება - სელექციურ დონეზე (სავარჯიშო 4,5,6ა). მეოთხე სავარჯიშოს პასუხები შეიძლება შეჯერდეს დაფაზე. მე-5 და მე-6ა დამოუკიდებლად უნდა შესრულდეს და შეამოწმოს მასწავლებელმა შეხედულებისამებრ.

ტექსტის გაგებისაა წიგნის დავალება 7-ც - ღია შეკითხვები ტექსტის დეტალური გაგებისთვის. თუ მასწავლებელი ჩათვლის, რომ ზემოაღნიშნულმა დავალებებმა ვერ აჩვენა მოსწავლეთა მიერ ტექსტის გაგება, ან დავალებები საკმარისი არაა, აუცილებლად უნდა დაამატოს შეკითხვა-დავალებები და უნდა დაუბრუნდეს ტექსტს.

გასათვალისწინებელია, რომ სახელმძღვანელოს დავალებები შერჩეულია ზოგადად მეექვსეკლასელი მოსწავლის გონებრივ-ემოციური განვითარების მიხედვით და ცხადია, ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ თითოეულ კლასში უზრუნველყოს პროცესის სრულყოფილი წარმართვა. ამ სამუშაოს მთავარი დირიჟორი მასწავლებელია- მან უნდა გადაწყვიტოს თავისი საკლასო ოთახის საჭიროებები.

**5. გრამატიკულ საკითხებზე მუშაობა**

თემის გრამატიკული საკითხებია რჩევის მიცემა ბრძანებითი კილოს და მეორე კავშირებითის გამოყენებით. ასევე იმ ობიექტური წყობის ზმნების უღლება, რომლებიც ავადმყოფობის შეგრძნებებს უკავშირდება.

რვეულის სავარჯიშოები 6 ბ და 6 გ გამიზნულია მეორე კავშირებითის გასახსენებლად. მეორე კავშირებითის გააქტიურებას ემსახურება აგრეთვე მე-18 სავარჯიშოს ბ ნაწილიც, რომელიც თავის დროზე შესრულდება.

რვეულის მე-8 და მე-13 სავარჯიშოები მოსწავლეებს ავარჯიშებს ობიექტური წყობის (ე.წ. მანიანი) ზმნების უღლებაში. ზმნების უღლება არ უნდა გახდეს გრამატიკის სწავლების მთავარი გზა და თვითმიზანი. თუმცა მისი სრული იგნორირებაც ვერ მოგვცემს შედეგს, რადგან, ერთი მხრივ, ქართული ენის სპეციფიკა მოითხოვს ამას და მეორე მხრივ, რუტინული სამუშაო სწავლის პროცესის განუყოფელი ნაწილია და ვთვლით, რომ მცირე დოზით ის ყოველთვის უნდა იყოს წარმოდგენილი დავალებებში. ეს ეხმარება როგორც სასწავლი მასალის კარგად ათვისებას, ისე მოსწავლეებში ნებისყოფის გამომუშავებას დ ა მომავალში უფრო დიდი მოცულობის სამუშაოსთან გამკლავებისთვის მზაობას.

**6. მოსმენაზე მუშაობა**

მოსწავლეები უსმენენ აუდიოჩანაწერს სასწრაფოს გამოძახების შესახებ და ასრულებენ დიალოგის გლობალური გაგების სავარჯიშოებს (მე-9 დავალება, ა და ბ). სავარჯიშო 10 კი გამოტოვებული სიტყვების ჩასმას მოითხოვს ტექსტში. სიტყვები იქვეა მოცემული და არსებითად იმეორებს დიალოგის იმ ქარგას, რომელიც აუდიოჩანაწერში მოისმინეს. მხოლოდ რამდენიმე სიტყვაა განსხვავებული. ამ სავარჯიშოს მიზანია, აუდიოდიალოგის ფრაზების გამოყენებაზე ვარჯიში. თუ მასწავლებელი შეამჩნევს, რომ მოსწავლეებს გაუჭირდათ სიტყვების ამოცნობა-დამახსოვრება, შეუძლია მეორედ მოასმენინოს ჩანაწერი და ყურადღება გაამახვილებინოს ცალკეულ ფრაზებსა და სიტყვებზე.

**7. გრამატიკულ საკითხზე მუშაობა (გაგრძელება)**

ვინაიდან მოცემულ თემაში რამდენიმე გრამატიკულ საკითხზე მახვილდება ყურადღება, უმჯობესია, ყველა მათგანზე ერთად არ მოუწიოს მუშაობა მოსწავლეს. წიგნის დავალება 11 და რვეულის სავარჯიშო 12 ბრძანებითი კილოს ფორმებზე მუშაობაა. მასწავლებელმა ჯერ კარგად უნდა გააზრებინოს მოსწავლეებს გრამატიკული ბლოკი და შემდეგ შეასრულებინოს რვეულის სავარჯიშო. გრამატიკული ბლოკის გასააზრებლად, როგორც სხვაგანაც შევნიშნეთ, მასწავლებელს შეუძლია ფორუმში დასვას შეკითხვები.

**8. აუდიოდიალოგი „აფთიაქში“**

ეს თემის მეორე მოსასმენი დავალებაა. დიალოგის მოსმენამდე მოსწავლეები აზუსტებენ იმ სიტყვების მნიშვნელობას, რომლებიც დიალოგის მოსმენისა და შესაბამისი სავარჯიშოების შესრულებისას დასჭირდებათ(ფარმაცევტი, კლიენტი).

მე-13 სავარჯიშო აუდიოდიალოგის გლობალურ გაგებას ემსახურება, მე-14 კი სელექციურ გაგებას ამოწმებს. მოსწავლეებმა უნდა მონიშნონ ცხრილის გრაფები და შემდეგ შეადარონ თავიანთი ვერსიები ერთმანეთს. დავალება შეიძლება შესრულდეს ჯერ წყვილებში და შემდეგ შეჯერდეს დაფაზე.

**9. „დაკარგული სიტყვები“**

რვეულის სავარჯიშო 16 ერთგვარად აჯამებს გრიპის შესახებ მოსწავლის მიერ მიღებულ ენობრივ ცოდნას. კარგი იქნება, თუ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებლად შეასრულებს მას და შემდეგ კი მასწავლებელი გამოაკრავს სწორ ვარიანტს. მოსწავლეები თვითონ შეაფასებენ თავიანთ ნამუშევარს და იმსჯელებენ შეცდომებზე.

**10. პროექტი**

წიგნის დავალება 17 ერთგვარი პროექტია. მოსწავლეებმა უნდა დაამზადონ პატარა ბუკლეტი გრიპის შესახებ, სადაც თავს მოუყრიან მათთვის ნაცნობ ინფორმაციას თემაზე. სამუშაო სრულდება ჯგუფებში. მასწავლებელი ჯგუფის წევრებს უნდა დაეხმაროს, რომ მათ გაინაწილონ ფუნქციები – ტექსტების დამწერი, მასალების შემგროვებელი, მხატვარი, დიზაინის ავტორი დ.ა.შ. ბუკლეტის დასამზადებლად შესაძლოა ცალკე გაკვეთილი გამოიყოს, ან საშინაო დავალებად მიეცეს მოსწავლეებს მინიმუმ ორი დღის ვადით. ნამუშევრების წარმოდგენა აუცილებლად უნდა გულისხმობდეს იმასაც, რომ ჯგუფის წევრებმა შეძლებისდაგვარად ისაუბრონ, რა, როგორ და რატომ გააკეთეს, ანუ გაასიტყვონ მუშაობის პროცესი. ამდენად, ეს დავალება ზეპირმეტყველებასაც გულისხმობს.

**11. მუშაობა თავაზიან ფორმებზე**

მე-18 სავარჯიშოს ა, ბ და გ პუნქტები თავაზიანი სიტყვებისა და გამოთქმების ასათვისებლადაა გამიზნული.

**12. ზეპირმეტყველებაზე მუშაობა**

დიალოგის გათამაშება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა ლაპარაკის უნარის განსავითარებლად. ზოგიერთ მოსწავლეს უყვარს, წინასწარ მოამზადოს, ჩაწეროს დიალოგი და შემდეგ წარმოადგინოს. მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეებს საშუალება, მათთვის მოსახერხებელი ფორმით მოემზადონ დიალოგისთვის. მომზადება კი აუცილებელია. შესაძლოა დიალოგი რამდენიმე წყვილმა წარმოადგინოს, მასწავლებელმა კი მოამზადოს რუბრიკა მათ შესაფასებლად, რომელსაც დანარჩენი მოსწავლეები შეავსებენ.

ზეპირმეტყველების შეფასების რუბრიკის ნიმუში

| მოსწავლე | იყენებს საჭირო სიტყვებს 0-1-2-3 | არ უშვებს შეცდომებს 0-1-2- | საუბრობს გაბმულად 0-1 |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |

განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში

| რა ფრაზები ვიცოდი | რა გავიგე ახალი | რა ვერ გავიგე | რა მინდა ვიცოდე |
|---|---|---|---|
| | | | |

აღნიშნული შეფასება სრულდება იმ დროს, როცა სასწრაფო დახმარების შესახებ აუდიოჩანაწერის დავალებებს შეასრულებენ მოსწავლეები. ამით მასწავლებელი ამოწმებს კონკრეტული სასწავლო მასალის ათვისების ხარისხს და საჭიროების შემთხვევაში უბრუნდება მას ხელახლა განმარტების მიზნით.

შემაჯამებელი დავალების ნიმუში:

წარმოიდგინე, რომ ბაბუას გრიპის სიმპტომები აქვს და აფთიაქში თავად ვერ მიდის. მან შენ გთხოვა, წახვიდე და საჭირო წამლები უყიდო. დაწერე დიალოგი შენსა და ფარმაცევტს შორის.

# მე-6 თემის ქვიზი

**1.გრიპი არის**

ა. უბრალო გაციება

ბ. საშიში დაავადება

გ. გულის დაავადება

**2. რომელია წართქმითი ბრძანებითი?**

ა. გაანიავე ოთახი

ბ. ნუ წახვალ ხალხმრავალ ადგილას პირბადის გარეშე

გ. არ იყიდო ძვირიანი წამლები

**3. ამოარჩიე ჩასვი სწორად:**

მაპატიეთ, არაფრის, მადლობა

----------, სკოლა აქ ახლოსაა?

**4. რომელი აღნიშნავს უკუთქმით ბრძანებითს?**

ა. დაიბანე ხელები!

ბ. გაიკეთე პირბადე!

გ. არ გადასდო გრიპი სხვას!

**5. გახაზე ქვემოთ მოცემულთაგან ის ფორმები, რომლებიც არ გამოხატავს ბრძანებით კილოს.**

წადი, გამოიძახე, ახველებს, გაწმინდე, გაიკეთე, გაინტერესებს

# თემა 7. მზე და მთვარე

**თემატური მიზნები:**

მოსწავლები შეძლებენ

- მზისა და მთვარის შესახებ საინფორმაციო ტექსტის, ასევე პატარა ხალხური ლექსის წაკითხვასა და გაგებას;
- შესაბამისი ლექსიკის ათვისებასა და გამოყენებას ახალ კონტექსტში;
- სიმღერის „მზე შინა და მზე გარეთა“ მოსმენას და შინაარსის ამოცნობას;
- რამდენიმე მოსმენის შემდეგ სიმღერის გამეორებას;
- ერთი და იმავე ლექსის ქართული და მეგრული ვარიანტების შედარებას და მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების მცირე ანალიზს;
- ტექსტის ლექსიკური ერთეულებისთვის სინონიმებისა და ანტონიმების მოძიებას.

**გრამატიკული საკითხები:**

მოსწავლეები შეძლებენ

- დონიანი ვნებითის ზოგიერთი ზმნის (ვიწროვდება, პატარავდება, ახლდება, მოკლდება..) აწმყოსა და უწყვეტლის მწკრივების ფორმათა წარმოებას და გამოყენებას;
- უწყვეტლის მწკრივის გამეორება-განმტკიცებას.

**1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა**

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს თემის ზოგად შინაარსსა და მიზნებს. იგი ეუბნება, რომ ამ თემის ფარგლებში ისინი ისაუბრებენ მზისა და მთვარის შესახებ. გაეცნობიან ახალი და ძველი მთვარის გარჩევის ხერხს. წაიკითხავენ და მოუსმენენ ძველ ლექსებსა და სიმღერას მნათობების შესახებ.

**2. ტექსტის წაკითხვა. გლობალური და სელექციური გაგება. დავალებები 1 და 2.**

თემის დასაწყისში ორი ტექსტია, მასწავლებელზეა დამოკიდებული, ამ ტექსტებს ერთ გაკვეთილზე წაიკითხავენ მოსწავლეები თუ ორი გაკვეთილი დასჭირდებათ. ასევე მასწავლებელზეა დამოკიდებული ტექსტის წაკითხვის ხერხი: ჩუმად, ინდივიდუალურად წაიკითხავენ მოსწავლეები თუ ხმამაღლა, აბზაც-აბზაც, მორიგეობით და სათანადო განმარტებებით.

თუკი მასწავლებელი ფიქრობს, რომ მოსწავლეებს დამოუკიდებლად შეუძლიათ პირველი და მეორე დავალების დაძლევა, მაშინ ის სთხოვს მოსწავლეებს, ჩუმად წაიკითხონ ტექსტი და უპასუხონ კითხვებს (წერილობით ან ზეპირად, ფორუმში).

თუკი მასწავლებელი ფიქრობს, რომ მოსწავლეებს ტექსტის გაგება და ამ დავალებების გაკეთება გაუჭირდებათ და თან უნდა ავარჯიშოს მოსწავლეები ხმამაღლა კითხვაში, ის აბზაც-აბზაც წაკითხვის ხერხს აირჩევს და თითოეული აბზაცის გაგების დონესაც მაშინვე შეამოწმებს კითხვა-პასუხით.

პირველი წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი დასვამს შეკითხვებს გლობალური გაგებისთვის: რა არის ტექსტების სათაური? არის თუ არა ტექსტში დამატებითი ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ არ მიემართება ტექსტის სათაურს? რა ტიპისაა ტექსტი ან სხვ.

ტექსტების გლობალური გაგებისთვის მასწავლებელი იყენებს ილუსტრაციებსაც. მაგალითად, ტექსტში გადმოცემულ რომელ ინფორმაციას ეხება ილუსტრაცია? ილუსტრაციების გამოყენება შესაძლებელია წინასწარაც, ვარაუდების გამოსათქმელად.

სასურველია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს, რომ ტექსტის პირველი წაკითხვისთანავე არ არის აუცილებელი მისი ზედმიწევნით დეტალურად გაგება და ბოლოში მოცემულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად ტექსტში შესაბამისი წინადადების პოვნა და ამოკითხვა საკმარისია (სელექციური გაგება).

ასე მოსწავლეები მეტად მიეჩვევიან უცნობი ტექსტების დამოუკიდებლად დამუშავებასა და ტექსტიდან საჭირო ინფორმაციის ამოღებას.

**3. ტექსტის დეტალური გაგება და ლექსიკაზე მუშაობა. სავარჯიშოები 3, 4, 5, 6, 7.**

ამ სავარჯიშოების შესასრულებლად მოსწავლეებს უკვე ტექსტის დეტალურად გააზრება და გარკვეული ლექსიკური ერთეულების ცოდნა მოეთხოვებათ. მოსწავლეები უნდა დაუბრუნდნენ ტექსტს. მასწავლებლის დახმარებით გაარკვიონ ის გაუგებარი საკითხები, რომლებიც ხელს უშლით ტექსტის გაგებაში. გაითვალისწინეთ, რომ მასწავლებელი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს თარგმანს. მანამდე ის ცდილობს, შეკითხვაზე პასუხი გასცეს სინონიმის, განმარტების თუ მინიშნების სახით.

სასურველია, რომ მოსწავლეებმა დამოუკიდებლად შეასრულონ ლექსიკური სავარჯიშოები და შემდეგ შეაჯერონ პასუხები მასწავლებელთან ერთად.

მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს, კარგად ესმით თუ არა მოსწავლეებს მესამე სავარჯიშოში მოცემული ყველა სიტყვის მნიშვნელობა, ესმით თუ არა სიტყვა „ხდება“, რაც მე-6 და მე-7 სავარჯიშოების შესრულების წინაპირობაა.

სავარჯიშოებში მოცემული ზმნები ვნებითი გვარისაა. ბუნებრივია, რომ მასწავლებელი დონიანი ვნებითის რაობისა და წარმოების ახსნას ვერ დაიწყებს, მაგრამ სასურველი იქნება, რომ მაინც მიაწოდოს გარკვეული ცნობები მსგავსი ზმნების შესახებ.

მაგალითად, როდესაც მოსწავლეები ყურადღებას მიაქცევენ ამ ზმნების დაბოლოებას -დ-ება. მასწავლებელს შეუძლია განუმარტოს მათ, რომ მსგავსი ზმნების სუბიექტი ყოველთვის, ყველა დროსა და მწკრივში სახელობით ბრუნვაშია და არასდროს იქნება მოთხრობითში ან მიცემითში.

**4. გრამატიკულ საკითხზე მუშაობა. დონიანი ვნებითის უწყვეტლის წარმოება. სავარჯიშო 8**

მოსწავლეები ავსებენ უწყვეტლის ფორმებს ნიმუშზე დაკვირვებით (ა).

მოსწავლეები მე-5 კლასიდან უკვე იცნობენ უწყვეტლის წარმოებას და წესით, უნდა იცოდნენ, რომ უწყვეტელი ხან -დ და ხან -ოდ დაბოლოებას მოითხოვს. ამ სავარჯიშოში მათ უნდა აღმოაჩინონ წესი (ბ), რომ აწმყოში, მესამე პირში -ება-ზე დაბოლოებული ზმნების უწყვეტელი მუდამ -ოდ დაბოლოებით იწარმოება, ხოლო -ებ-ს, -ობ-ს და -ავ-ს-ზე დაბოლოებულ ზმნებს უწყვეტელში -დ სუფიქსი მოუდით.

**5. ნასწავლი ლექსიკის გამოყენება. ტექსტში ნასწავლ მასალასთან მიბრუნება. სავარჯიშო 9**

მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ დონიანი ვნებითის ახალნასწავლი ფორმა (გაიზრდება, დაპატარავდება) და გაიხსენონ ტექსტში მოცემული „ახალგაზრდა“ მთვარის გამოცნობის ხერხი. ფოტოზე გამოსახული ნახევარმთვარე იმეორებს ასო „ა-ს“ მოხაზულობას. ესე იგი, ეს „ახალგაზრდა“ მთვარეა და გაიზრდება.

მასწავლებელმა შესაძლოა მოსთხოვოს მოსწავლეებს, გაიხსენონ და გამოიყენონ სიტყვა „გაიზრდება“-ს სინონიმები.

**6. გრამატიკულ საკითხზე მუშაობა. -დან და -მდე თანდებულების გამოყენება დროის აღსანიშნავად. დავალება 10, სავარჯიშო 11**

მოსწავლეები ეცნობიან გრამატიკულ ბლოკს წიგნში და პასუხობენ შეკითხვას, თუ რა ფუნქციით არის გამოყენებული -დან – -მდე თანდებულები ტექსტში მოცემულ წინადადებებში. შემდეგ ისინი ასრულებენ მე-11 სავარჯიშოს (-დან – -მდე თანდებულების დართვა). სავარჯიშოს წინადადებების ნაწილი მოცემულია ტექსტში და გრამატიკულ ბლოკში, ნაწილი კი ახალია, თუმცა კავშირშია თემასთან.

**7. ლექსის (მზე დედაა ჩემი) წაკითხვა, სწავლა, დეკლამაცია. მისი შედარება მეგრულ ვარიანტთან. დავალება 12, სავარჯიშო 13**

მოსწავლეები კითხულობენ და სწავლობენ უმარტივეს ლექსს, რომლის გაკვეთილზევე დამახსოვრება და დეკლამაცია პრობლემას არ წარმოადგენს მეექვსეკლასელებისთვის (დავალება 12).

სავარჯიშო 13-ის შესრულება უფრო მეტ დაფიქრებასა და მსჯელობას მოითხოვს მოსწავლეებისგან. ლექსში დაკავებული ადგილისა და მსგავსების მიხედვით მოსწავლეებმა უნდა „ამოიცნონ“ შესაბამისი მეგრული სიტყვები. ბოლო (გ) შეკითხვაზე პასუხის ვარიანტები მასწავლებელმა ჯერ ზეპირად უნდა მოისმინოს (გონებრივი იერიში) და შემდეგ მოსწავლეებმა რვეულში შეიტანონ საბოლოო, შეჯერებული, ზუსტი პასუხი. თუ მოსწავლეებმა თავად ვერ მიაგნეს პასუხს, მასწავლებელმა უნდა აუხსნას, რომ ქართველებს სამი ენა აქვთ: ქართული, მეგრული და სვანური; რომ მეგრული და ქართული მონათესავე ენებია, რომლებზეც ერთი და იმავე ერის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები ლაპარაკობენ.

**8. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა. სავარჯიშო 14, 15, 16**

მე-14, მე-15 და მე-16 სავარჯიშოები მიზნად ისახავს სიმღერის (მზე შინა და მზე გარეთა) მოსმენამდე ლექსიკის დამუშავებას. მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ როგორც წყვილებში, ისე ინდივიდუალურად. სავარჯიშოების შესრულების შემდეგ აუცილებელია პასუხების შეჯერება.

**9. ქართული ტრადიციული სიმღერის მოსმენა-გაგება. სავარჯიშოები 17, 18, 19, 20**

მოსწავლეები უსმენენ ჩანაწერს და ავსებენ გამოტოვებულ ადგილებს სიმღერის ტექსტში სავ. 17 (ა). თუ მოსწავლეებმა თავად ვერ შეამჩნიეს, მასწავლებელი მიაქცევინებს მათ ყურადღებას გამეორებულ ტაეპებზე სავ. 17 (ბ). მოსწავლეები ამოწმებენ ჩაწერილი სიტყვების სისწორეს.

სავარჯიშო 18 ემსახურება სიმღერის ტექსტის გლობალურ გაგებას. შესაძლებელია შესრულდეს წყვილებში მცირე მსჯელობის შემდეგ. სავარჯიშოს შესრულების შემდეგ მასწავლებელი ასახელებს სწორ პასუხს და აწვდის მოკლე ცნობებს წარმართული დროის ტრადიციების შესახებ (ადამიანები მზესა და მთვარეს სცემდნენ თაყვანს და სთხოვდნენ დახმარებას)

სავარჯიშო 19-ის მეშვეობით მოსწავლეები ტექსტის უფრო დეტალურად გაგებას შეეცდებიან.

მასწავლებელი განმეორებითაც ჩართავს სიმღერას და მოსწავლეები ცდილობენ, აჰყვნენ რვეულში დაწერილი ტექსტის მიხედვით.

ამ აქტივობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის გაცნობის თვალსაზრისით.

**10. კულტურული პარალელის გავლების მცდელობა. მშობლიური ენიდან მცირე ტექსტის თარგმნა. სავარჯიშო 21. ჯგუფური სამუშაო**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ რომელიმე სიმღერა, რომელიც დაკავშირებულია მზის ან მთვარის კულტთან. თუ მოსწავლეებმა ვერ გაიხსენეს რომელიმე ტრადიციული სიმღერა, დასაშვებია, დავალება თანამედროვე სიმღერაზე შეასრულონ.

მოსწავლეები ამოირჩევენ რომელიმე სტროფს (უმჯობესია ისეთს, სადაც ნახსენებია რომელიმე მნათობი) და ჯგუფურად ცდილობენ მის გადმოქართულებას.

სავარჯიშოს მიზანია ნასწავლი ლექსიკის გააქტიურება და ტექსტის წერილობით თარგმნის უნარის განვითარება.

## მე-7 თემის ქვიზი

**1. ტექსტის მიხედვით ახალმთვარეობის დროს მთვარე**

ა. ნელ-ნელა იკლებს

ბ. იზრდება

გ. ვიწროვდება

**2. პერიოდს ახალი მთვარიდან ახალ მთვარემდე ჰქვია**

ა. დღე

ბ. თვე

გ. კვირა

**3. შემოხაზე სწორი ვარიანტი: გაზაფხულის ბუნიობა არის**

ა. 2021 მარტში

ბ. 2021 მარტს

გ. 2021 მარტი

**4. ჩასვი სწორად:**

ერთმანეთის/ ერთმანეთს

ბუნიობის დროს დღეები ---------- ტოლია.

**1. მოციმციმე ვარსკვლავები ნიშნავს**

ა. ვარსკვლავებს, რომლებიც ცაზე არ ჩანან

ბ. ვარსკვლავებს, რომლებიც ძალიან ანათებენ

გ. ვარსკვლავებს, რომლებიც ანათებენ-ქრებიან-ანათებენ-ქრებიან.

# თემა 8. გაზაფხულის დღესასწაულები

**თემატური მიზნები:**

მოსწავლე შეძლებს:

- დღესასწაულებთან (აღდგომა, ნოვრუზ ბაირამი, ზატიკი) დაკავშირებული ლექსიკის ათვისებასა და გამოყენებას;
- დღესასწაულების თემაზე აუდიოჩანაწერის მოსმენას და გაგებას; ამავე თემაზე
- საინფორმაციო ტექსტების წაკითხვასა და გაგებას;
- დღესასწაულებს შორის საერთო და განსხვავებული ნიშნების პოვნას და მსგავსება-განსხვავებაზე საუბარს, ვენის დიაგრამის შევსებას;
- ვარაუდის გამოთქმასა და მსჯელობას გაზაფხულის დღესასწაულებისთვის საერთო ტრადიციების არსებობის მიზეზის გარშემო;
- ილუსტრაციის მიხედვით საუბარს დღესასწაულებზე და მათ აღნიშვნაზე საკუთარი გამოცდილების მიხედვით.

**გრამატიკული საკითხები:**

- მოსწავლე შეძლებს დღესასწაულის თემატიკასთან დაკავშირებული ზმნების უღლებას აწმყოსა და წყვეტილის მწკრივებში და მათი სხვადასხვა ფორმის გამოყენებას საუბრისა და წერის დროს.

**1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა**

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თემის ზოგად შინაარსსა და მიზნებს. ის ეუბნება, რომ ამ თემის ფარგლებში ისინი ისწავლიან გაზაფხულის დღესასწაულებთან დაკავშირებულ ახალ ლექსიკურ ერთეულებს და გამოიყენებენ სხვადასხვა კონტექსტში; წაიკითხავენ და მოისმენენ აღნიშნული თემის შესახებ მცირე ტექსტებს; დიაგრამის მეშვეობით შეადარებენ დღესასწაულებს ერთმანეთს და გამოთქვამენ მოსაზრებებს მათ შესახებ, აუღლებენ ზმნებს აწმყოსა და წყვეტილში.

**2. ლექსიკაზე მუშაობა. სავარჯიშო 1-2**

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ დღესასწაულებთან დაკავშირებული ტექსტების მოსმენა და გააზრება, მასწავლებელი მოსწავლეებს ამუშავებს იმ საჭირო ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც მათ შეხვდებათ მოსასმენ ტექსტში. მოსწავლეები მუშაობენ რვეულის სავარჯიშო 1-2-ზე. სასურველია, მასწავლებელი დარწმუნდეს, რომ თითოეული ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა მოსწავლეებმა კარგად გაიგეს, ამიტომ შესრულებული დავალებები უნდა განიხილოს მთელ კლასთან.

**3. მოსმენის დავალება. გლობალურ-სელექციური გაგება. სავარჯიშო 3**

მასწავლებელმა რამდეჯერმე (ორ-სამჯერ) უნდა მოასმენინოს მოსწავლეებს დიალოგი. თავიდან ის დასვამს მარტივ შეკითხვებს:

ა) რამდენი ადამიანი საუბრობს?

ბ) რის შესახებ საუბრობენ?

გ) როგორ ფიქრობ, სადაურები არიან ანა, აიშა და ასდღიკი? რატომ ფიქრობ ასე?

შემდეგ მოსწავლეები მეორედ ისმენენ აუდიოჩანაწერს (თუ საჭირო იქნება, მესამედაც) და ასრულებენ რვეულის სავარჯიშო 3-ს. ეს დავალება მოსწავლეებს უვითარებს არა მხოლოდ მოსმენის უნარს, არამედ შეამზადებს მათ მთავარი ტექსტების უკეთ გასააზრებლად. ამ დავალების მეშვეობით მოსწავლეები გაიგებენ დღესასწაულების სახელწოდებებს და კონკრეტულ მოქმედებებსა და ატრიბუტებს დაუკავშირებენ მათ. აღნიშნული დავალება შესაძლებელია შესრულდეს ინდივიდუალურად ან წყვილებში. მასწავლებელმა მოსწავლეების რამდენიმე წყვილს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით უნდა მისცეს საშუალება მთელ კლასს გაუზიაროს საკუთარი ნამუშევარი, რათა საშუალება მიეცეს, არსებობის შემთხვევაში მოსწავლეებს გაასწორებინოს ხარვეზები.

**4. გრამატიკული სავარჯიშო. სავარჯიშოები 4 და 5**

რვეულის სავარჯიშო 4 მოსწავლეებს გაახსენებს ზმნების აწმყოსა და წყვეტილის მწკრივებში უღლებას. ამ სავარჯიშოსთვის შერჩეულია სწორედ ის ზმნები, რომლებიც უკავშირდება შესასწავლ თემას, რათა მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა აქტივობებში მათი გააქტიურება. ეს დავალება შეიძლება შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე მთელი კლასის ჩართულობით დაფაზე. ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მაწავლებელმა საკუთარი მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე.

ამის შემდეგ სრულდება რვეულის სავარჯიშო 5. სავარჯიშოს მიზანია კარგად განმარტოს სიტყვა „სააღდგომო“-ს მნიშვნელობა და წარმოების წესი. ეს სავარჯიშო მოსწავლეებს გაახსენებს სა-...-ო მაწარმოებლით სიტყვების წარმოების წესს. რადგან მოსწავლეებს მიცემული აქვთ დასაკავშირებელი სიტყვები და მათ თავად არ უწევთ სიტყვების წარმოება, სასურველია, რომ ეს დავალება მათ შეასრულონ ინდივიდუალურად. მასწავლებელს შეუძლია დააკვირდეს ბავშვების მუშაობას და განსაზღვროს, რამდენად დამოუკიდებლად შეუძლიათ მოსწავლეებს მუშაობა.

**5. მოსმენა-გააზრება. მოსასმენი ტექსტის ანალიზი. სავარჯიშო 6**

მასწავლებელი მოსწავლეებს კიდევ ერთხელ ასმენინებს აუდიოჩანაწერს. მანამდე, მან ძალიან მკაფიო განმარტებები უნდა მისცეს ბავშვებს, როგორ უნდა იმუშაონ. აუცილებელია, რომ მოსმენამდე მოსწავლეებმა კარგად გაიაზრონ შეკითხვების შინაარსი, ხოლო მუშაობის დაწყებამდე იცოდნენ, როგორ და რამდენჯერ მოისმენენ ტექსტს. ამის მუხედავად, ეს დავალება შეიძლება ჩაითვალოს უფრო რთულ სავარჯიშოდ. ამიტომ, სასურველია მოსწავლეებმა იმუშაონ დიფერენცირებულად. მოსმენა-გააზრებაში გაწაფული მოსწავლეები სხედან ერთად, მაგრამ მუშაობენ ინდივიდუალურად. მოსმენა-გააზრებაში ნაკლებად გაწაფული მოსწავლეები სხედან ერთად და მუშაობენ წყვილებში (შესაძლებელია ერთობლივადაც), ხოლო მოსმენა-გააზრებაში პრობლემების მქონე ბავშვებთან მასწავლებელი მუშაობს და მათ ეხმარება დავალების შესრულებაში. ცხადია, შესრულებული სავარჯიშოს ნიმუში უნდა იქნას განხილული მთელ კლასთან.

**6. მთავარი ტექსტის წაკითხვამდე შესასრულებელი აქტივობა. დავალება 7**

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს დააკვირდნენ წიგნის 36-ე გვერდზე მოცემულ ფოტოებს და უპასუხონ შეკითხვებს (დავალება 7.) თუ მოსწავლეები მხოლოდ საკუთარ გამოცდილებას დაეყრდნობოდნენ, ისინი დაასახელებდნენ მხოლოდ ერთ დღესასწაულს. თუმცა დიალოგის მოსმენისა და მე-6 სავარჯიშოს შესრულების შემდეგ მათ არ უნდა გაუჭირდეთ სამივე დღესასწაულის დასახელება. მასწავლებელი კი მათ პასუხებს წერს დაფაზე და ბავშვებს ეუბნება: „ჩვენ ახლა წავიკითხავთ სამ ტექსტს და ვნახავთ, გამართლდება თუ არა თქვენი პასუხები“.

**7. კითხვა-გაგება. ლაპარაკი. დავალება 8**

თუ მასწავლებელს სახელმძღვანელოში მოცემული სამი ტექსტი ერთად რთულ წასაკითხად მოეჩვენება, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ტექსტების წაკითხვის მთავარი მიზანი თითოეული სიტყვის და გრამატიკული კონსტრუქციის სიღრმისეული გაგება-გააზრება კი არა, არამედ მთავარი აზრის ამოცნობაა.

სასურველია, რომ მასწავლებელმა ეს ტექსტები პირველად თავად წაიკითხოს, ან კითხვაში გაწაფულ მოსწავლეებს წააკითხოს. კითხვის პარალელურად მასწავლებელი მოსწავლეების დახმარებით ავსებს დიდფორმატიან ქაღალდზე ან დაფაზე წინასწარ გამზადებულ ცხრილს.

| **დღესასწაული** | **როდის აღნიშნავენ** | **რას აღნიშნავენ** | **ატრიბუტები** | **კერძები** |
|---|---|---|---|---|
| აღდგომა | | | | |
| ზატიკი | | | | |
| ნოვრუზ ბაირამი | | | | |

თითოეული ტექსტის წაკითხვისას მასწავლებელი ამოწმებს, რამდენად სწორად ესმით ბავშვებს შინაარსი. კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელი უნდა დაუბრუნდეს დაფაზე დაწერილ პასუხებს და მოსწავლეებს მისცეს საშუალება, გააკეთონ კომენტარი.

ამის შემდეგ მოსწავლეებს აღარ გაუჭირდებათ წიგნის დავალება 9-ის შესრულება. მოსწავლეები ჯერ კიდევ ერთხელ ჩუმად წაიკითხავენ ტექსტებს და შემდეგ შეასრულებენ დავალებას. საუბარსა და დასკვნების გამოტანაში მათ დაეხმარებათ კითხვისას შევსებული ცხრილი.

**8. დისკუსია. დავალება 10**

ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი დავალებაა საერთო ტრადიციების გასააზრებლად. მასწავლებელმა ამ აქტივობის შესრულებისას შეიძლება გამოიყენოს გონებრივი იერიშის მეთოდი, ან ჯგუფურად მისცეს დავალება და თავიანთ ჯგუფში იდეების გაცვლა-გამოცვლისა და საბოლოო პასუხის შეჯერების შემდეგ იმსჯელონ და იკამათონ სხვა ჯგუფებთან. ჩამოწერონ დაფაზე იდეები. თუ მოსწავლეებს უჭირთ მსგავსი დავალების შესრულება, მასწავლებელს შეუძლია დაფაზე ჩამოწეროს სავარაუდო პასუხები და დაავალოს მათ, აირჩიონ მათთვის ყველაზე მისაღები.

საბოლოოდ მასწავლებელმა დასკვნის სახით უნდა უთხრას მოსწავლეებს, რომ საერთო ტრადიციების არსებობის მიზეზია მათი საერთო წარმოშობა და რომ კვერცხის შეღებვისა და გაზაფხულის დღესასწაულის აღნიშვნის ჩვეულება ქრისტეშობამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა.

**9. ვიდეოს ნახვა. სავარჯიშო 11**

მოსწავლეები ასრულებენ რვეულის სავარჯიშო 11-ს. მოსწავლეები უყურებენ ვიდეომასალას და გარკვეული ნიშნების მიხედვით (ვიდეოში ნაჩვენებია ეკლესია, ქალაქი თბილისი) ამოიცნობენ დღესასწაულის სახელწოდებას. ამ აქტივობით მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ უნდა მიაქციონ ყურადღება აღდგომა-ზატიკისა და ნოვრუზის განმასხვავებელ ნიშანს — აღდგომა და ზატიკი რელიგიური დღესასწაულებია, ნოვრუზი კი — საერო.

**10. ვენის დიაგრამაზე მუშაობა.**

თუკი მოსწავლეები არ არიან მიჩვეულნი ვენის დიაგრამაზე მუშაობას, მასწავლებელი სანიმუშოდ (მე-13 სავარჯიშოს დამოუკიდებლად შესრულებამდე) დაფაზე ავსებინებს მათ ვენის დიაგრამას აღდგომის, ზატიკისა და ნოვრუზის შესახებ. ამ შემთხვევაში დიაგრამა იქნება სამწრიანი და მასწავლებელი შეავსებს მას მოსწავლეთა დახმარებით (ისინი უკარნახებენ და მასწავლებელი დაწერს). შემდეგ კიდევ ერთხელ გამოყოფენ და გაიმეორებენ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს.

**11. კითხვა. ცხრილის შევსება. ტრანსფერი**

რადგან მოსწავლეებს უკვე აქვთ გამოცდილება როგორ იმუშაონ ცხრილზე ტექსტის კითხვის პროცესში, მასწავლებელს შეუძლია წიგნის დავალება 12-ის ტექსტები მოსწავლეებს დამოუკიდებლად მისცეს დასამუშავებლად. წინა სავარჯიშოებში აღწერილი დიფერენცირების მეთოდით მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ ჯგუფურად. მოსწავლეები ჯგუფებში კითხულობენ ტექსტებს და ინფორმაციას აორგანიზებენ ცხრილში.

| **დღესასწაული** | **როდის იმართება** | **რიტუალი** | **რიტუალის მიზანი** | **რას აკეთებენ** |
|---|---|---|---|---|
| ჭიაკოკონობა | | | | |
| ოდლუ ჩეშენბე ახშამ | | | | |

შემდეგ კი საუბრობენ ცხრილში დაორგანიზებული ინფორმაციის მიხედვით. რაც შეეხება ტექსტების ბოლოს მოცემულ დავალებას (დავალება 12.), სასურველია, რომ მასწავლებელმა მინიდისკუსიის სახით თავად წარმართოს მსჯელობა, რადგან საკმაოდ მნიშვნელოვან და უსაფრთხოებისთვის საჭირო თემაზე მოუწევს საუბარი.

**12.ვენის დიაგრამის დამოუკიდებლად შევსება. სავარჯიშო 13. საშინაო დავალება**

იქიდან გამომდინარე, რომ მოსწავლეები კლასშივე საფუძვლიანად ამუშავებენ მოცემული ტექსტების შინაარს, მათ აღარ უნდა გაუჭირდეთ ვენის დიაგრამის სქემაზე დამოუკიდებლად მუშაობა. ამიტომ მასწავლებელს შეუძლია რვეულის სავარჯიშო 13 მოსწავლეებს მისცეს საშინაო დავალებად. მომდევნო გაკვეთილზე მოსწავლეები განიხილავენ თავიანთ საშინაო დავალებებს.

მასწავლებელმა შესაძლებელია გამოიყენოს შემდეგი სქემა შეფასებისთვის:

| | |
|---|---|
| მოსწავლეს ესმის ვენის დიაგრამის შევსების პრინციპი | |
| გამოყოფს ყველა საერთო ნიშანს | |
| გამოყოფს ყველა განმასხვავებელ ნიშანს | |
| წერისას მოსწავლე არ უშვებს გრამატიკულ და ორთოგრაფიულ შეცდომებს | |

# მე-8 თემის ქვიზი

**1. შემოხაზე სწორი წინადადება:**

ა. აღდგომა კვირადღეს ემთხვევა.

ბ. აღდგომა სამშაბათს ემთხვევა.

გ. აღდგომა არის 21 მარტს.

**2. ტექსტის მიხედვით აღდგომა**

ა. ყოველთვის ერთსა და იმავე რიცხვშია.

ბ. ზამთრის დღესასწაულია

გ. გაზაფხულზეა და მოძრაობს

**3. წითელ კვერცხს ღებავენ**

ა. სამივე დღესასწაულზე

2. აღდგომასა და ზატიკზე

გ. მხოლოდ ნოვრუზ ბაირამზე

**4. ნოვრუზ ბაირამის სუფრაზე აუცილებლად არის**

ა. ჯეჯილი

ბ. მწვანე ბალახი

გ. ფოთლები

**5. დაასრულე ფრაზა:**

აზერბაიჯანელები 21 მარტს ნოვრუზ ბაირამს -----.

# თემა 9. საყიდლებზე

**თემატური მიზნები:**

მოსწავლეები შეძლებენ

- საკომუნიკაციო სიტუაციის ამსახველი ტექსტების წაკითხვა-გააზრებას, ინტერაქციას;
- საკომუნიკაციო სიტუაციის ამსახველი აუდიოტექსტის მოსმენა-გააზრებას;
- საკომუნიკაციო სიტუაციის ამსახველი ტექსტის შექმნას;
- ასევე, გაიხსენებენ რიცხვებს და ისწავლიან რიცხვითი სახელების მართლწერას.

**1. საუბარი პოსტერის დახმარებით**

პირველი აქტივობის მიზანია წინარე ცოდნის გააქტიურება და ინტერესის გამოწვევა შესასწავლი თემის მიმართ.

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, შეხედონ პოსტერს (მოსწავლის წიგნი, დავ.1) და გამოიცნონ გაკვეთილის თემა (მართალია, თემა წერია სათაურის ზოლში, მაგრამ, შესაძლოა, მოსწავლეებმა არ იციან ამ სიტყვის მნიშვნელობა). პოსტერზე გამოსახული საგნები, მითითებული ფასებით, ადვილად მიახვედრებს მოსწავლეებს, რომ გაკვეთილი იქნება სავაჭრო ობიექტის, ყიდვის შესახებ. მასწავლებელი განუმარტავს მათ, რომ მაღაზიაში, მარკეტში წასვლა ნიშნავს საყიდლებზე წასვლას, რომ საყიდლები აღნიშნავს იმ პროდუქტებს და ნივთებს, რომელთა ყიდვაც გვინდა.

პოსტერის ქვემოთ მოცემული შეკითხვებით მასწავლებელი ააქტიურებს თემისთვის საჭირო ლექსიკას: მარკეტი, სუპერმარკეტი, ჰიპერმარკეტი, იყიდება, ღირს...

**2. პოსტერის დახმარებით ინფორმაციის შევსება**

სრულდება სავ. 2 (მოსწავლის რვეული). მოსწავლეებმა თითოეულ პროდუქტს უნდა მიუწერონ შესაბამისი ფასი. მასწავლებელი ეკითხება, რომელი პროდუქტი რა ღირს? მოსწავლეთა პასუხებით მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას — რამდენად სწორად შეუძლიათ რიცხვების დასახელება.

**3. რთული რიცხვითი სახელების შედგენილობაზე დაკვირვება**

დავალება 3 (მოსწავლის წიგნი) ეხმარება მასწავლებელს გრაფიკული გამოსახულების საშუალებით მარტივად აუხსნას მოსწავლეებს რთული რიცხვითი სახელის მიღების პრინციპი. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ეს საკითხი მე-6 კლასში ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს. გრაფიკული სქემა მნიშვნელოვნად ამარტივებს საქმეს. მასწავლებელს შეუძლია დაიხმაროს „ხმამაღალი ფიქრის“ მეთოდიც: „როგორ მიიღება 25? 20 და 5 არის 25. როგორ მიიღება 35? 30 და 5? არა! აქ ისევ დამჭირდება 20 და ელემენტარული მათემატიკა: 35 არის 20 და 15“.

**4. რიცხვითი სახელის მართლწერის საკითხებზე მუშაობა**

დავალება 4 (მოსწავლის წიგნი) მოსწავლეს აცნობს რთული რიცხვითი სახელების მართლწერის წესებს. წესებში გარკვევის შემდეგ მასწავლებელმა სხვა მაგალითებითაც უნდა გადაამოწმოს, რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა საკითხი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წერასთან ერთად, მასწავლებელმა წარმოთქმასაც უნდა მიაქციოს ყურადღება, რათა მოსწავლეებმა ლაპარაკისას არ დაუშვან მსგავსი შეცდომები:

- 105 — ას და ხუთი / ასი ხუთი

• 2100 — ორ ათას ასი / ორი ათასი ასი
•500 — ხუთი ასი

**5–6. რიცხვითი სახელების წერასა და წარმოთქმაში გავარჯიშება**

მოსწავლეები ნიმუშის მიხედვით წერენ რთულ რიცხვით სახელებს ციფრებით და სიტყვიერად (მოსწავლის წიგნი, დავ. 5,6). მნიშვნელოვანია, ამ შემთხვევაშიც დიდი ყურადღება დაეთმოს რიცხვითი სახელების წარმოთქმას, ამის შესაძლებლობას მოგვცემს დავალებების ფორუმში შეჯერება.

**7. კითხვებზე პასუხის გაცემა**

მოსწავლეები უბრუნდებიან პოსტერს ( მოსწავლის წიგნი, დავ. 1) და პასუხობენ შეკითხვებს. შეკითხვები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, გამოიყენონ შესწავლილი მასალა (დაწერონ და შემდეგ დაასახელონ რიცხვები). დავალებები სრულდება ინდივიდუალურად, პასუხების შეჯერდება ფორუმში.

**8 – 15 – 17. ინფორმაციის დახარისხება**

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს მითითებას, შეავსონ ცხრილები (მოსწავლის რვეული, საავ 8 /15 /17): ჩაწერონ შესაბამისი სიტყვა ან მონიშნონ შესაბამისი გრაფა, ამისთვის კი ისინი კიდევ ერთხელ უნდა დაუბრუნდნენ პოსტერს ან ტექსტს. აქტივობა ინფორმაციის სელექციური გაგებისთვის არის გამიზნული. შესრულდება ინდივიდუალურად, შეჯერდება ფორუმში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცხრილები ლაპარაკის უნარის განსავითარებელი კარგი საშუალებაა; ვინაიდან მათში ინფორმაცია ამოკრეფილ - დახარისხებულია; თუ მასწავლებელი ზუსტად შეარჩევს შეკითხვის ფორმას, მოსწავლე ძალისხმევას აღარ დახარჯავს პასუხის ვრცელ ტექსტში მოძიებაზე, პასუხი „ზედაპირზეა“, მან მხოლოდ მის ფორმირებაზე უნდა იზრუნოს. გარდა ამისა, ცხრილები თავიდან გვაცილებენ ე.წ. „დაკოპირებულ“ პასუხებს. მოსწავლეები ვეღარ ხედავენ ტექსტს — „დაკოპირებული“ პასუხების წყაროს და თავად ეძებენ და პოულობენ პასუხის „ყალიბს“. ეს კი ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლაპარაკის უნარის განვითარებაში.

**10 . ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა**

მოსწავლის რვეულში საავ.10 თემისთვის აუცილებელი ლექსიკის (გაძვირება / გაიაფება) გააქტიურებას ისახავს მიზნად. ამისთვის გამოყენებულია ორი სტრატეგია: ა) მოსწავლეებმა სამიზნე სიტყვები და განმარტებები ხაზებით უნდა დააკავშირონ; ბ) უნდა გადახაზონ ლოგიკურად ზედმეტი სიტყვა ( გაიაფება, გაძვირება, ფასდაკლება).

**11. კითხვებზე პასუხის გაცემა**

მოსწავლეები უბრუნდებიან პოსტერს ( მოსწავლის წიგნი, დავ. 1) და პასუხობენ შეკითხვებს. შეკითხვები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, გამოიყენონ შესწავლილი მასალა, იაზროვნონ ლოგიკურად (რომელი ნივთი რამდენი ლარით გაიაფდა?). დავალებები სრულდება ინდივიდუალურად, პასუხების შეჯერდება ფორუმში.

**12. დიალოგების წაკითხვა და პოსტერთან დაკავშირება**

მოსწავლეები კითხულობენ დიალოგებს (მოსწავლის წიგნი, დავ.12). სულ ოთხი დიალოგია, ყოველი დიალოგის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები პარალელს ავლებენ პოსტერთან და აღნიშნავენ, რომელი ნივთი აინტერესებთ დიალოგის პერსონაჟებს. აქტივობა ემსახურება

ტექსტის გლობალურ დონეზე გააზრებას. სასურველია, მოსწავლეებმა დიალოგები წაიკითხონ წყვილებში.

**13. საკვანძო წინადადების დაკავშირება შესაბამის დიალოგთან**

აღნიშნული აქტივობაც (მოსწავლის რვეული, სავ. 13) ტექსტების გლობალურ დონეზე გააზრებას ისახავს მიზნად. ორგანიზების ფორმას არჩევს მასწავლებელი.

**14. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა**

იმისთვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ დიალოგების გააზრება სელექციურ დონეზე, მათ დასჭირდებათ საყიდლების თემისთვის სპეციფიკური ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების ცოდნა. ამ მიზნით სრულდება სავარჯიშო 14 მოსწავლის რვეულში. მოსწავლეები სიტყვებს აკავშირებენ განმარტებებთან.

**16. კითხვებზე პასუხის გაცემა**

მოსწავლეები უბრუნდებიან დიალოგებს და პასუხობენ შეკითხვებს. შეკითხვები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, გაიაზრონ ტექსტი. დავალებები სრულდება ინდივიდუალურად, პასუხების შეჯერდება ფორუმში.

**18. ნაკლული ტექსტის შევსება**

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შეასრულონ სავ.18 მოსწავლის რვეულში. აქტივობის მიზანი საკომუნიკაციო სიტუაციაში საჭირო ფრაზების შედგენაა. ორგანიზების ფორმას არჩევს მასწავლებელი. სიტყვების ჩასმის შემდეგ მოსწავლეები დიალოგს გაითამაშებენ წყვილებში.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ანალოგიური დიალოგების მოფიქრება და დაწერა დაავალოს მოსწავლეებს, წინარე მასალა ამის კარგ შესაძლებლობას იძლევა. სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზოს სხვა ფრაზებიც და ლექსიკური ერთეულებიც, მაგ: „ამოწონეთ“, „აიღეთ თანხა“, „ინებეთ ხურდა“, „თანხა სალაროში გადაიხადეთ“...

**19. აუდიოტექსტის მოსმენა-გააზრება დეტალურ დონეზე**

მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეებს, რომ მათ უნდა მოისმინონ და გაიაზრონ დიალოგი. დავალების გასაადვილებლად, მოსმენამდე მათ შეუძლიათ გადაშალონ მოსწავლის რვეული და გადაიკითხონ სავ. 17, რომელიც წარმოადგენს ტესტურ დავალებას. მასწავლებელი ასმენინებს აუდიომასალას, მოსწავლეები ავსებენ ტესტს. აქტივობა სრულდება ინდივიდუალურად. პასუხები შემოწმდება ფორუმში.

**20-21. დიალოგის მეორედ მოსმენა და ტექსტის სელექციურ დონეზე გაგება**

მასწავლებელი მეორედ ასმენინებს დიალოგს; სრულდება 20-21 სავარჯიშოები რვეულში. აქტივობის მიზანია მოსასმენი ტექსტის სელექციურ და დეტალურ დონეზე გაგება. ამისთვის გამოყენებულია ფრაზების განმარტება, ქვიზი (მოსწავლის რვეული, სავ 20) და ინფორმაციის დახარისხება ცხრილში პრინციპით — სწორია / არასწორია და მცდარი ინფორმაციის გასწორება (მოსწავლის რვეული, სავ. 21). აქტივობების ორგანიზების ფორმას არჩევს მასწავლებელი.

# მე-9 თემის ქვიზი

**1. ფასდაკლება არის მაღაზიაში ნივთების / პროდუქტების**

ა. გაიაფება;

ბ. გაძვირება;

გ. გამოლევა.

**2. ჩასვი სწორი ვარიანტი:**

რა --- ფორთოხლის წვენი?

ა. არის

ბ. ფასი

გ. ღირს

**3. შემოხაზე სწორი ფორმულირება:**

ა. 100-ის ქვემოთ ყველა რთული რიცხვი იწერება ერთად;

ბ. 100-ის ქვემოთ ყველა რთული რიცხვი იწერება ცალ-ცალკე;

გ. 100-ის ქვემოთ ზოგი რთული რიცხვი იწერება ერთად.

**4. შემოხაზე სწორი ვარიანტი:**

ა. ასორმოცდაათი;

ბ. ათას შვიდასხუთი;

გ. ორი ათას ოთხმოცდაათი.

**5. ლეპტოპი არის**

ა. მსუბუქი და თხელი კომპიუტერი;

ბ. საბავშვო სათამაშო;

გ. მობილური ტელეფონი.

# თემა 10. მოგზაურობა

**თემატური მიზნები:**

- მოსწავლეები გაიმდიდრებენ მოგზაურობასთან დაკავშირებულ ლექსიკურ მარაგს, გაიაზრებენ ამავე თემაზე საკითხავ და მოსასმენ ტექსტებს; შეძლებენ მოსმენილი ინფორმაციიდან მოვლენების თანმიმდევრობით დალაგებას; გაიხსენებენ მე-2 კავშირებითის ფორმებსა და შეძლებენ მათს გამიჯვნას აწმყოსა და მყოფადის ფორმებისგან; მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეძლებენ სარეკლამო ტექსტის შედგენას თავისი მოგზაურობის შესახებ საუბარს.

**1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა**

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თემის ზოგად შინაარსსა და მიზნებს. ის ეუბნება, რომ ამ თემის ფარგლებში ისინი ისწავლიან მოგზაურობასთან დაკავშირებულ ახალ ლექსიკურ ერთეულებს და გამოიყენებენ სხვადასხვა კონტექსტში; წაიკითხავენ და მოისმენენ მოგზაურობის შესახებ მცირე ტექსტებს; შექმნიან სარეკლამო ტექსტებს; გაიხსენებენ მეორე კავშირებითის ე-ზე და ო-ზე დაბოლოებულ ფორმებს.

**2. საუბარი პოსტერის მიხედვით**

დავალება 1. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ წიგნის 44-ე გვერდზე მოცემულ ილუსტრაციებს და გამოთქვან მოსაზრებები, რა შეიძლება აერთიანებდეთ აქ გამოსახულ ადამიანებს. მასწავლებელმა მოსწავლეების ვარაუდები უნდა ჩამოწერს დაფაზე, რათა ბავშვებმა შეძლონ საკუთარი მოსაზრებების გადამოწმება მოსმენილი სწორი პასუხების მიხედვით. ეს დავალება ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობას და აღუძრავს მათ ინტერესს შესასწავლი თემის მიმართ.

**3. წინარე ცოდნის გააქტიურება**

დავალება 2. მასწავლებელი მოსწავლეთა წინარე ცოდნის მობილიზებისა და საკუთარი გამოცდილების გააქტიურების მიზნით, სვამს დავალებაში მოცემულ შეკითხვებს: გიყვარს მოგზაურობა? ყოფილხარ სამოგზაუროდ? სად ყოფილხარ? როდის? მოგეწონა? რა მოგეწონა და სხვ. წინა დავალების და მოცემულ შეკითხვებზე პასუხების მიხედვით მოსწავლეები მიხვდებიან, რომ დღეს ისინი ისაუბრებენ მოგზაურობის თემაზე.

**4. გრამატიკული საკითხი – ზმნის წყვეტილს ფორმების გააქტიურება**

რადგან მოგზაურობის თემის ათვისებისას მოსწავლეებს დასჭირდებათ ზმნის წყვეტილის ფორმების გააქტიურება, ამისათვის მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ დიალოგი მოსწავლის რვეულში (სავარჯიშო N 3ა). მოსწავლეები დიალოგს წაიკითხავენ წყვილებში და კითხვის პროცესშივე გაიაზრებენ დიალოგის შინაარსს. იმისათვის, რომ მასწავლებელი დარწმუნდეს, მოსწავლეებს სწორად ესმით თუ არა დიალოგის შინაარსი, სვამს შეკითხვებს. ამავე მიზნით მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშო N 3ბ-ს. შემდეგ კი დავალების მთავარი მიზნის მისაღწევად მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს დიალოგიდან ამოწერონ ზმნები, რომლებიც უპასუხებს შეკითხვას – რა გავაკეთე? და შეავსონ ცხრილის 1-ლი სვეტი. ასევე სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მეორე სვეტში მოცემულ ნიმუშებს და მათი დახმარებით შეავსონ ეს

სვეტიც. (რვეული, სავარჯიშო N 3 ბ). მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს საკუთარი მოსწავლეების მზაობა და ამის მიხედვით ბავშვებს ამ დავალების შესრულება შესთავაზოს ჯგუფურად, წყვილებში ან მთელი კლასის მონაწილეობით დაფაზე გადატანილ ცხრილში.

ამ სავარჯიშოს შესრულება მოსწავლეებს შეამზადებს წიგნში მოცემული მთავარი ტექსტის წაკითხვა-გაგება-გააზრებისთვის.

**5. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა**

ტექსტის წაკითხვამდე ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის დადგენისა და ტექსტის გაგების გაიოლების მიზნით მასწავლებელი მოსწავლეებს ამუშავებს იმ სიტყვებზე, რომლებიც მათ შეხვდებათ ტექსტში და სავარაუდოდ, უცნობი იქნება ბავშვებისთვის (რვეულის სავარჯიშო N 4). სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეებს არ მიაწოდოს სიტყვების პირდაპირი თარგმანი. მას შეუძლია მიმართოს სიტყვების განმარტების სხვადასხვა ხერხს, როგორიცაა: ილუსტრირებული ლექსიკონი, განმარტებები ქართულადვე ან განმარტებები სინონიმური წყვილებით.

**6. ტექსტის გაგება**

მოსწავლის წიგნში დავალება 5-ის ტექსტების წაკითხვამდე მასწავლებელი სვამს შეკითხვებს: უნახავთ/წაუკითხავთ თუ არა მოსწავლეებს სარეკლამო ხასიათის ტექსტი? თუ წაუკითხავთ, დაინტერესებულან თუ არა რეკლამის შემოთავაზებებით? შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ ტექსტი. თუ მანამდე მოსწავლეებს არასდროს უმუშავიათ მსგავსი ტიპის ტექსტებზე, უმჯობესია, მასწავლებელმა თავად წაუკითხოს მათ პირველი სარეკლამო ტექსტი, მომდევნო ტექსტები კი მოსწავლეებს წააკითხოს.

ტექსტების სელექციურ დონეზე გაგების მიზნით, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, უპასუხონ ტექსტების ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს, ხოლო შემდეგ წყვილებში შეასრულონ რვეულის სავარჯიშო N 6.

**7. გრამატიკულ საკითხზე მუშაობა**

ტექსტების შინაარსის სიღრმისეულად გასააზრებლად და მომდევნო დავალებებში საჭირო გრამატიკული კონსტრუქციების სწორად გამოსაყენებლად მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შეასრულონ რვეულის სავარჯიშო N 7. ამით მოსწავლეები შეძლებენ ზმნის აწმყოს, მყოფადისა და მეორე კავშირებითის ფორმების გააქტიურებისა და დაჯგუფებას ცხრილში. მათ შესაძლებელია წყვილებში, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად იმუშაონ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. მოსწავლეები ტექსტებიდან ამოწერენ ზმნებს. შემდეგ კი გადაანაწილებენ ცხრილის შესაბამის სვეტებში. ამით მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, გამიჯნონ ერთმანეთისგან ზმნის სხვადასხვა დროის ფორმები.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დააკვირდნენ ცხრილს მოსწავლის წიგნში (დავალება N 8) და შეეცადონ გადმოსცენ საკუთარი სიტყვებით მე-2 კავშირებითის ფუნქციური გამოყენების შემთხვევები. კერძოდ, რომელი კონსტრუქცია გამოხატავს სურვილს, აუცილებლობას, შესაძლებლობასა და რჩევას.

თუ მოსწავლეებს გაუჭირდებათ დავალების შესრულება, მაშინ მასწავლებელმა თვითონ უნდა ისაუბროს II კავშირებითის გადმოსაცემად გამოყენებული კონსტრუქციების შესახებ და მოიყვანოს შესაბამისი მაგალითები. ცოდნის განმტკიცების მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შეასრულონ მე-8 დავალების ბ პუნქტი.

მე-2 კავშირებითის ო-ზე და ე-ზე დაბოლოებული ზმნების დამახსოვრებასა და დაჯგუფებას ემსახურება რვეულის სავარჯიშო N9.

რვეულის სავარჯიშო N10-ის მიზანია მე-2 კავშირებითის შინაარსობრივი მნიშვნელობის გააზრება-განმტკიცება. იმისათვის, რომ მოსწავლეებს ხანგრძლივ მეხსიერებაში დარჩეთ შეთავაზებული გრამატიკული საკითხი, სასურველია, რომ წიგნში მოცემული ცხრილები მასწავლებელმა გადაიტანოს დიდფორმატიან ქაღალდზე და კლასში, მოსწავლეების მხედველობის არეში გამოაკრას კედელზე. ასეთი რესურსი ბავშვებს საშუალებას მისცემს საჭიროებისამებრ მიუბრუნდნენ ხოლმე შესწავლილ საკითხს, ცხრილი შეავსონ ახალ-ახალი ზმნებით და შემდეგ მოცემული ფორმები გამოიყენონ წერაში ან ზეპირმეტყველებაში.

**8. წერა**

რვეულის სავარჯიშო N 11-ის მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ მოცემული ინფორმაციის გამოყენებით, უკვე ნასწავლი ლექსიკითა და II კავშირებითის გამოყენებით სარეკლამო ტექსტის შექმნა.

მოსწავლეები დაწერენ მოკლე სარეკლამო ტექსტს მოგზაურებისათვის. მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, სავარჯიშოს პირობაზე დამატებით, ხარაჩოების სახით მისცემს მიმართულებას.

რვეულის სავარჯიშო N 12. - ამ სავარჯიშოს მიზანია, მოსწავლეებმა თემის ფარგლებში ნასწავლი ლექსიკის გრამატიკული ფორმებისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეადგინონ საინფორმაციო/სარეკლამო ხასიათის ტექსტი. იმისათვის, რომ მოსწავლეებისთვის დავალებაზე მუშაობა სახალისო და მოტივაციის მიმცემი იყოს, შესაძლებელია მასწავლებელმა ბავშვები ამუშაოს ჯგუფებში და მათ წინასწარ შესთავაზოს დავალების პრეზენტაციის რუბრიკა:

| N | კრიტერიუმი | შეფასება +/- |
|---|---|---|
| 1 | ტექსტი შედგება 5-8 წინადადებისგან | |
| 2 | ტექსტში გამოყენებულია მყოფადის და II კავშირებითის ფორმები | |
| 3 | ტექსტი გაფორმებულია საინტერესო სარეკლამო ილუსტრაციებით | |
| 4 | პრეზენტაციის მომზადებაში მონაწილეობს ჯგუფის ყველა წევრი | |
| 5 | პრეზენტაცია შესრულებულია მითითებულ დროში | |

**9. მოსმენა-გააზრება (ტრანსფერი)**

წიგნის დავალება N13. დავალების მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის მოსმენა და გლობალურ დონეზე გაგება.

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ყურადღებით მოუსმინონ ტექსტს და შემდეგ დაასახელონ წიგნში მოცემული ილუსტრაციის ნომერი.

რვეულის დავალება 14. – დავალების მიზანია მოსმენილი ტექსტის სელექციურ დონეზე გაგება.

რვეულის სავარჯიშო 15. – დავალების მიზანია მოსმენილი ტექსტის კონსტრუირება.

რვეულის სავარჯიშო 16. – სავარჯიშოს მიზანია მოსმენაში გაგებული ლექსიკის დამახსოვრება და შესაბამის კონტექსტში გამოყენება. აღნიშნული დავალებები მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა შეასრულებინოს მოსმენის იმ სტრატეგიით, რომელსაც აქამდე ფლობდნენ მოსწავლეები.

**10. მოგზაურობასთან დაკავშირებული თემა – „სამზარეულო“, ტექსტების გაგება-გააზრება, გრამატიკული ბლოკი.**

რა საკვირველია, მოგზაურობის თემა ვერ დასრულდება სამზარეულოზე და კერძებზე საუბრის გარეშე. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს დააკვირდნენ წიგნის 48-ე გვერდზე მოცემულ ილუსტრაციებს და გამოთქვან მოსაზრებები, რა კერძებია ფოტოებზე და მათი აზრით რომელი ქვეყნის სამზარეულოდანაა. მოსწავლეების პასუხები სასურველია ჩამოიწეროს დაფაზე, რათა ტექსტის წაკითხვის შემდეგ ბავშვებმა ნახონ, გამართლდა თუ არა მათი ვარაუდები. შემდეგ მასწავლებელი გამოსაძახებელი ჩხირებით (შემთხვევითი შერჩევის პრინციპით) სთხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ ტექსტი და უპასუხონ შეკითხვებს (დავალება 17). მოსწავლეებმა მასწავლებლის დახმარებით ყველა უცხო სიტყვა უნდა განმარტონ კითხვის პროცესშივე და სურვილისამებრ გადაიტანონ ის საკუთარ ლექსიკონებში.

მართალია მოსწავლეები სადაურობის აღმნიშვნელ სუფიქსებს წინა კლასებში ეცნობიან, მაგრამ ეს თემა საშუალებას იძლევა მათ კიდევ ერთხელ გაამახვილონ ყურადღება ამ საკითხზე (გრამატიკული ბლოკი გვ. 49). წიგნში შესრულებული დავალებების განმტკიცების მიზნით მოსწავლეები ასრულებენ რვეულის სავარჯიშო 18-19-20-ს. სასურველია, რომ ეს სავარჯიშოები მასწავლებლის მეშვეობით და მთელი კლასის ჩართულობით შესრულდეს დაფაზე.

შემდეგ კი, იმისათვის, რომ მასწავლებელი დააკვირდეს რამდენად სწორად გაიგეს მოსწავლეებმა აღნიშნული გრამატიკული საკითხი, შესაძლებელია წიგნის დავალება 21 ბავშვებს წყვილებშიც შეასრულებინოს (ჯერ წერით, შემდეგ კი საშუალება მისცეს რამდენიმე წყვილს საკუთარი ნამუშევარი გაუზიარონ მთელ კლასს). ამის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეები ამუშაოს ინდივიდუალურად და მათ შეასრულებინოს რვეულის სავარჯიშო 22.

იმისათვის, რომ მოსწავლეებისთვის სახალისო გახდეს მუშაობა, შესაძლებელია მასწავლებელმა წიგნის დავალება 23 შემოქმედებით სამუშაოდ გადააქციოს. მაგალითად, მოსწავლეებმა გაინაწილონ ცხრილში ჩამოწერილი საქართველოს კუთხეები, შემდეგ მოზრდილ ქაღალდზე გადაიტანოს საქართველოს კონტურული რუკა და ამ რუკაზე გამოკვეთონ კონკრეტული კუთხე. შემდეგ შიგ ჩაწერონ ამ კუთხისთვის დამახასიათებელი რომელიმე კერძი და ისაუბრონ, რას მიირთმევს მოგზაური, თუ ეწვევა ამ კუთხეს (მაგ. კახეთი - კახური ჩურჩხელა; აჭარა - აჭარული ხაჭაპური და ა.შ). ამის შემდეგ მათ არ გაუჭირდებათ უპასუხონ დავალება 23 ბ ნაწილის შეკითხვებს.

ამის შემდეგ მოსწავლეები სრულიად მზად იქნებიან, რომ რვეულის სავარჯიშო 24 შეასრულონ როგორც საშინაო დავალება სახლში.

# მე-10 თემის ქვიზი

**1. მოგზაურობა არ შეიძლება**

ა. ფეხით

ბ. პარაშუტით

გ. მატარებლით

**2. ტურისტული სააგენტოები მოგზაურებს სთავაზობენ**

ა. მოგზაურობას და ტრადიციული მეთოდებით მკურნალობას

ბ. მოგზაურობას და ტრადიციული სამზარეულოს გაცნობას

გ. მოგზაურობას და შოპინგს

**3. დაწერე სამი ტრანსპორტი, რომლითაც მოგზაურობენ ტურისტები.**

**4. წინადადებაში შეცვალე ზმნა II კავშირებითის ფორმით და ისე ჩაწერე წინადადება:**

მე ვმოგზაურობ მეგობრებთან ერთად

**5. შეავსე ცხრილი:**

| წყვეტილი | II კავშირებითი |
|---|---|
| დავიჭირე | |
| დავგეგმე | |
| შევხვდი | |
| ავედი | |

# თემა 11. ქართული ზღაპარი

**თემატური მიზნები:**

მოსწავლეები შეძლებენ

- მცირე ზომის ანიმაციური ფილმ-ზღაპრის ნახვას და კონკრეტული ინფორმაციის ამოცნობას;
- ლიტერატურული ზღაპრის წაკითხვას და გაგებას
- ამბის ლოგიკური ჯაჭვის ამოცნობას
- საუბარს თავისი საყვარელი ზღაპრის შესახებ;
- პერსონაჟის დახასიათების წერილობით გადმოცემას და სურვილის შემთხვევაში პატარა ზღაპრის შედგენას.
- ნაცნობი ზმნების წყვეტილის ფორმის გამოყენებას საჭიროებისამებრ (გამეორება);
- მარტივი და რთული ზმნისწინების ამოცნობას
- მოთხრობითში დასმული სუბიექტის გამომხატველი სიტყვის შესაბამისად გაფორმებას
- თხრობისას გავრცელებული გამოთქმების გამოყენებას: ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა; თავიდან.... შემდეგ.....ბოლოს

**1.თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა**

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ამ თავში წაიკითხავენ საინტერესო ქართულ ზღაპარს; ასევე, ნახავენ ანიმაციურ ფილმს ზღაპრულ მოტივებზე, ისწავლიან, როგორ დაწერონ პერსონაჟის დახასიათება და თუ სურვილი ექნებათ, თავადაც დაწერენ ზღაპარს.

**2. ილუსტრაციის მიხედვით საუბარი და ვარაუდების გამოთქმა**

თემის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ საყვარელი ზღაპარი და ზღაპრის პერსონაჟი (დავალება 1). სავარაუდოდ, ბავშვები დაასახელებენ იმ ზღაპრებსა და პერსონაჟებს, რომლებსაც მშობლიურ ენაზე უყვებოდნენ მშობლები. შემდეგი შეკითხვაა: იცნობ ქართულ ზღაპრებს და მათ პერსონაჟებს? დიდი ალბათობით ბავშვებს არ ეცოდინებათ ქართული ზღაპრები ან ეცოდინებათ რამდენიმე, რომელიც წინა კლასებში შესაძლოა იყო მათ სასწავლო პროგრამაში. ქართულ ზღაპრებთან დაახლოების მიზნით მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს დააკვირდნენ ილუსტრაციაზე მოცემულ ზღაპრის პერსონაჟებს და ისე უპასუხონ ბოლო შეკითხვას: – რომელი მათგანი მოგწონს და რატომ? იმ შემთხვევისათვის, როცა ბავშვები არ იცნობენ ქართული ზღაპრის გმირებს, მსჯელობის საფუძველი იქნება გმირების ჩაცმულობა და იერი, რის მიხედვითაც მათ შეუძლიათ ივარაუდონ, როგორია თითოეული მათგანი.

**3. ანიმაციური ფილმის ნახვა და გაგება-გააზრება**

ანიმაციური ფილმებისა და მულტფილმების ნახვა არის ის აქტივობა, რომელიც განსაკუთრებით უყვართ და ახალისებთ ბავშვებს გაკვეთილზე. ისინი ამ აქტივობით არაფორმალურ გარემოში გრძნობენ თავს და უკეთ ავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს. ფილმის ნახვის შემდეგ მოსწავლეები უპასუხებენ დავალება 2-ის შეკითხვებს, რომელიც ანიმაციური ფილმის ზოგად შინაარსს ასახავს.

სავარჯიშო 3-ით მასწავლებელი ადგენს, რამდენად სწორად გაიგეს მოსწავლეებმა ფილმის შინაარსი და რამდენად კარგად იცნობენ ფილმის ლექსიკას. ამ სავარჯიშოს პასუხების შეჯერება აუცილებელია.

სავარჯიშო 4 მოსწავლეებს სთხოვს, ფილმში გადმოცემული ამბის შინაარსი დაალაგონ ქრონოლოგიურად. ამ სავარჯიშოთი ისინი ეცნობიან სქემას, რომელიც სხვა ნებისმიერი ამბის (ტექსტით, ფილმით თუ სხვა სახით გადმოცემულის) შემთხვევაშიც დაეხმარებათ, მისი თანამიმდევრობა აღიდგინონ და გადმოსცენ. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებმა წინადადებები უნდა ჩაწერონ, ეს არ არის წერითი დავალება, ვინაიდან მათ მხოლოდ უნდა გადმოწერონ წინა სავარჯიშოდან სწორი წინადადებები.

წიგნის დავალება 5 ერთსა დ ა იმავე დროს ტექსტის გაგების დავალებაცაა და ლექსიკური ერთეულების განმარტებისაც. ა პუნქტი ტექსტის დეტალებს ააზრებინებს მოსწავლეებს, ხოლო ბ და გ პუნქტები სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობას ითხოვს. თუ მოსწავლეებს გაუჭირდებათ სწორი პასუხების ამოცნობა, მასწავლებელმა ყველა პასუხი უნდა განიხილოს და დამაზუსტებელი შეკითხვების საშუალებით მიიყვანოს მოსწავლეები სწორ პასუხამდე. მაგალითად: რას ნიშნავს სიტყვა „მოიტანა“ (სავარაუდოდ ეს სიტყვა ნაცნობი იქნება)? გაიხსენეთ ფილმი, იქ თაგვმა მოიტანა თოკი? და ა.შ...

სავარჯიშო 6 კვლავ ტექსტის გაგებისაა და ამავდროულად ლექსიკის განმტკიცებასაც უწყობს ხელს. მოსწავლეებმა უნდა დააკავშირონ სიტყვები ისე, რომ მიიღონ ფილმის შინაარსის ამსახველი წინადადებები, რომელიც ზუსტად ისევე ისმის ვიდეოჩანაწერში.

**4. გრამატიკაზე მუშაობა**

ანიმაციური ფილმის ბლოკში ერთი პატარა გრამატიკული სავარჯიშოა, რომლის მიზანია მოსწავლეთა მიერ სუბიექტის „მა“ დაბოლოების აუცილებლობის გააზრება წყვეტილის ფორმებთან.

სუბიექტის ბრუნვა საერთოდ და კონკრეტულად, წყვეტილის ფორმებთან არის მეორე ენის სწავლების ერთ-ერთი ურთულესი საკითხი და ამდენად, მასზე მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს უწყვეტად. მეექვსე კლასში მოსწავლეებმა უკვე იციან ბევრი ნაცნობი ზმნის წყვეტილის წარმოება და მასთან სუბიექტის შეწყობა, მაგრამ მაინც მუდმივად უშვებენ შეცდომებს და ეს გრძელდება მერეც. ამიტომ ზედმეტი არ იქნება ნებისმიერი შესაძლებლობის დროს ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება. მოცემული სავარჯიშოს შესრულების შემდეგ მასწავლებელმა უნდა დასვას შეკითხვები: რა დაბოლოება იყო აქ საჭირო? რატომ?

**5. ლიტერატურული ზღაპრის პირველი ნაწილის წაკითხვა და გააზრება ლექსიკური დავალებების თანხლებით**

მოცემულ თავში წარმოდგენილი ტექსტი შედარებით დიდი მოცულობისაა, ამიტომ იგი ორ ნაწილადაა გაყოფილი და თითოეულ ნაწილს აქვს თავისი დავალებები.

როგორ, რა მეთოდით შეიძლება წაიკითხონ მოსწავლეებმა ამგვარი ტექსტი?

მასწავლებლის გადასაწყვეტია, როგორ წააკითხებს მოსწავლეებს ტექსტს: დამოუკიდებლად რაიმე კონკრეტული დავალებით, ვთქვათ მონიშვნებით (გასაგებია, შეკითხვა მაქვს, ვერ გავიგე..), ხმამაღლა და გზადაგზა განმარტებების ჩართვებით, წასაკითხად წყვილებში, რათა მოსწავლეები დაეხმარონ ერთმანეთს უცნობი ადგილების უკეთ გაგებაში, თუ იმუშავებს რაიმე სხვა მეთოდით. მთავარია, მან გაითვალისწინოს კლასის ენობრივი და ასევე, კითხვის უნარის დონე.

პირველი ნაწილის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ ტექსტის გააზრების დავალებებს. კერძოდ, წიგნის დავალება 8-ს, რომელიც გულისხმობს ტექსტიდან ექსპლიციტური ინფორმაციის ამოცნობას.

ამას მოჰყვება ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტის მიხედვით (დავალება 9).

ტექსტი საკმაოდ დიდია და შესაძლოა, მასში ბევრი სხვა სიტყვაც იყოს უცხო გარდა იმისა, რაც სახელმძღვანელოშია ახსნილი. თუ მასწავლებელი ჩათვლის, რომ ტექსტში არის სიტყვები, რომელთა არცოდნა შინაარსის გაგებაში შეუშლის ხელს მოსწავლეს, აუცილებლად უნდა განმარტოს ისინი წინასწარ. ამისათვის მან შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა ხერხი – სიტყვის პირამიდა, სიტყვის კონტექსტით ამოცნობა, ჟესტიკულაცია, ნაცნობი სიტყვებით განმარტება და ა.შ. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ტექსტში უამრავი უცხო სიტყვაა, რომელთა განმარტება პირველ ეტაპზე საჭირო არ არის, ვინაიდან მოსწავლეები უნდა მიეჩვიონ ტექსტის ზოგადი შინაარსის გაგებას, რასაც ხელს უშლის თითოეულ სიტყვაზე ზედმეტი აქცენტის გაკეთება. ტექსტის გლობალური გაგების შეკითხვები იმგვარადაა ჩამოყალიბებული (და შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა დასვას დამატებითი შეკითხვებიც), რომ ძირითადი შინაარსი გასაგები უნდა დარჩეს. შემდეგ, დეტალური გააზრების დროს დაზუსტდება ყველა უცხო სიტყვის მნიშვნელობა.

რვეულის სავარჯიშოები 10 და 11 ტექსტის სელექციურ გაგებას ემსახურება.

მე-12 დავალება მოსწავლეებს აფიქრებს ლიტერატურული ზღაპრის, როგორც ჟანრის შესახებ და სთხოვს პერსონაჟის დახასიათებას ზეპირად. ცხადია, ეს აქტივობა არ გულისხმობს დაწვრილებით დახასიათებას და უნდა შემოიფარგლოს მასწავლებლის მხრიდან რამდენიმე დამაზუსტებელი შეკითხვით. მაგალითად, როგორი ბიჭია ვახუშტი? რა უყვარს? რას აკეთებს? როგორ იქცევა? ტექსტის რომელი ნაწილიდან ჩანს, რომ ასეა?

ამის შემდეგ მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს იმის შესახებ, თუ მათი აზრით, რა მოხდება მერე. ვარაუდის გამოთქმა ამბის შესაძლო გაგრძელების შესახებ ძალიან კარგი სტრატეგიაა ტექსტების სწავლებისას, თუმცა მეორე ენაში მას ხშირად აფერხებს ენის ის მწირი არსენალი, რომლითაც უწევს მოსწავლეს სათქმელის ჩამოყალიბება. მაგრამ მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ აუცილებელი არ არის, მოსწავლემ გამართულად და უშეცდომოდ გამოთქვას თავისი აზრი. ამ შემთხვევაში თავად აზრის გამოთქმაა მთავარი დ ა არა უშეცდომობა. ამიტომ დავალების ეს ნაწილი მოსწავლეთა წახალისებისა და მათი ინტერესის შესანარჩუნებლად უნდა გამოვიყენოთ.

**6. ზღაპრის მეორე ნაწილის წაკითხვა და გააზრება, ზეპირმეტყველებაზე მუშაობა**

მოსწავლეები კითხულობენ ზღაპრის მეორე ნაწილს და ადარებენ თავიანთ ვარაუდებს. კითხვის მეთოდი კვლავ მასწავლებლის ამოსარჩევია.

დავალება 14-ის მიხედვით მოსწავლეები პასუხობენ ტექსტის შინაარსის შეკითხვებს და ამჯერად, უწევთ გასცენ პასუხი სამსჯელო შეკითხვასაც- შენი აზრით, რატომ მოხდა ისე, რომ ვახუშტის ფანქარი ხატვისთვის აღარ ვარგოდა? თუ მოსწავლეებს გაუჭირდებათ პასუხის ჩამოყალიბება, რაც მოსალოდნელია, მასწავლებელი მათ უნდა დაეხმაროს და მისცეს როგორც ენობრივი კლიშეები (მე ვფიქრობ, ჩემი აზრით და ა.შ.), ისე სთხოვოს დაასახელონ მიზეზები და მერე დაეხმაროს მათ სათქმელის კონსტრუირებაში.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლის დახმარებით ჩამოყალიბებული წინადადებები შემდეგ დამოუკიდებლადაც გაიმეოროს მოსწავლემ.

სავარჯიშო 15 ინფორმაციის დახარისხებას სთოვს მოსწავლეებს, მათ უნდა ამოიცნონ სწორი ინფორმაცია.

**7. გრამატიკაზე მუშაობა**

ვინაიდან ტექსტი ნარატიულია, გრამატიკულ დავალებად შემოთავაზებულია წარსული დროის ფორმების დახარისხება წყვეტილისა და უწყვეტლის მწკრივის მიხედვით. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ორივე მწკრივის ფორმათა დაბოლოებებზე დააკვირვებს მოსწავლეებს და კიდევ ერთხელ დაანახვებს მათ შორის არსებულ მკაფიო განსხვავებებს.

**8. ლოგიკური კავშირების ჯაჭვის აღდგენა**

წიგნის მე-17 დავალება გვთავაზობს, მოსწავლეებმა გააერთიანონ მთელი ტექსტი და დაამყარონ ლოგიკური კავშირები ტექსტის ნაწილებს შორის. აღწერონ, რა რის შემდეგ და რატომ მოხდა. შეუძლიათ ტექსტიდან ამოწერონ მოკლე ნაწილები, ან დაწერონ თავიანთი სიტყვებით. ეს დავალება შეიძლება შესრულდეს როგორც ზეპირად, ისე წერით. თუ მასწავლებელი გადაწყვეტს, რომ დავალება იქნება წერითი, უმჯობესია, მოსწავლეებმა გადაიტანონ სქემა რვეულებში და ისე შეავსონ. დავალება ნიადაგს ამზადებს მომდევნო დავალებისთვის, რომელიც მოსწავლეებს სთხოვს ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოცემას.

**9. ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოცემა**

მე-18 დავალების მიხედვით მოსწავლეებმა მოკლედ უნდა გადმოსცენ ტექსტის შინაარსი. ეს კარგად ნაცნობი აქტივობა ძალიან ეფექტურია გაბმული მეტყველების უნარის განსავითარებლად და მასწავლებელს შეუძლია ხშირად გამოიყენოს ის. თუმცა არ უნდა სძლიოს ცდუნებამ, რომ ტრადიციისამებრ ყველა ტექსტი მისცეს მოსწავლეებს „მოყოლით“.

**10. წერა- პერსონაჟის დახასიათება**

სავარჯიშო 19-ის ა პუნქტი არის პერსონაჟის დახასიათების რუკა, რომელიც ივსება დამოუკიდებლად მოსწავლეთა მიერ. ამ დავალების შესრულება არის ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან ის მოსწავლეებში ავითარებს ანალიზის საბაზო უნარს. სასურველია ბ პუნქტის დაწყებამდე მასწავლებელმა განიხილოს ნამუშევრები და მისცეს მოსწავლეებს სათანადო უკუკავშირი, რათა წერის დროს მოსწავლეებს უკვე გააზრებული ჰქონდეთ, რა ინფორმაცია უნდა გააერთიანონ.

**11. საუბარი საყვარელი ზღაპრის შესახებ**

საყრდენი კითხვების საშუალებით მოსწავლეები ცდილობენ ისაუბრონ თავიანთი საყვარელი ზღაპრის შესახებ უფრო დაწვრილებით, ვიდრე ეს მათ თემის დასაწყისში გააკეთეს. ამჯერად მათი ცოდნა გამდიდრებულია პერსონაჟის შესახებ მსჯელობის უნარით.

**12. ზღაპრის დაწერა**

ეს წერითი დავალება ერთგვარი თამაშია. თუ კლასში არიან წერისაკენ მიდრეკილი მოსწავლეები, ისინი ხალისით ჩაებმებიან ამაში. ნებისმიერ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა წაახალისოს საამისოდ მოსწავლეები და სათანადო ინსტრუმენტებითაც აღჭურვოს. კერძოდ, ასწავლოს ენობრივი კლიშეები (იყო და არა იყო რა, ერთხელ, შემდეგ...), დაეხმაროს როგორც პერსონაჟების შერჩევაში, ისე ტექსტის გეგმის შედგენაში. მაგალითად, დაუსვას შეკითხვები:

ვინ იქნება შენი ზღაპრის პერსონაჟი/პერსონაჟები?

სად მოხდება მოქმედება?

როგორი შეიძლება იყოს შენი პერსონაჟი გარეგნულად? ხასიათით?

რა იქნება ზღაპრის მთავარი ჯადოსნური ამბავი?

რომელი პერსონაჟები დაეხმარებიან მთავარ პერსონაჟს? და ა.შ.

# მე-11 თემის ქვიზი

**1. ზღაპარი არის**

ა. ნამდვილი ამბავი

ბ. ჩვეულებრივი ამბავი

გ. გამოგონილი ამბავი

**2. სიტყვა ჯადოსნური ნიშნავს**

ა. ლამაზს

ბ. ჩვეულებრივს

გ. არაჩვეულებრივს

**3. გაიხსენე „ჯადოსნური ფანქრის“ შინაარსი და შემოხაზე სწორი წინადადება**

ა. ვახუშტის ფანქრით ყველა ხატავდა

ბ. ვახუშტის ფანქრით მამა ხატავდა

გ. ვახუშტიმ თავისი ფანქარი არავის არ ათხოვა.

**4. ლიტერატურულ ზღაპარს ჰყავს**

ა. ორი ავტორი

ბ. ერთი ავტორი

გ. ავტორი არ ჰყავს

**5. რას ნიშნავს „ფანქარი გალურჯდა“?**

ა. ლურჯი არ იყო

ბ. ლურჯი გახდა

გ. ლურჯი ლაქები გაუჩნდა

# თემა 12. ტომ სოიერის თავგადასავალი

**თემატური მიზნები:**

- მოსწავლეები შეძლებენ მხატვრული საკითხავი და მოსასმენი ტექსტების გააზრებას. ტექსტში მოცემული ინფორმაციის მიხედვით პერსონაჟის თვისებების ამოცნობას; პერსონაჟის შესახებ ზეპირ და წერილობით საუბარს; ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, საკუთარი ნათქვამთან „მეთქი“ ნაწილაკის გამოყენებას, მიმართვასთან სასვენი ნიშნების სწორად გამოყენებას.
- აგრეთვე: ბავშვებს ჩამოუყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულება საქმიანობისა და სიმართლისადმი.

**1. თემის შინაარსისა და მიზნების გაცნობა**

მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს თემის ზოგად შინაარსსა და მიზნებს. ეუბნება, რომ ამ თემის ფარგლებში ისინი გაეცნობიან მსოფლიო კლასიკური საბავშვო ლიტერატურის საინტერესო პერსონაჟს, მოისმენენ და წაიკითხავენ ნაწყვეტს მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავლიდან“, ისაუბრებენ საქმიანობებისა და სიმართლის თქმის შესახებ.

**2. სუბარი საქმიანობების შესახებ**

მასწავლებელი სვამს 1-ლ დავალებაში მოცემულ შეკითხვებს და აძლევს მოსწავლეებს აზრების თავისუფლად გამოთქმის საშუალებას. მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვებს ოჯახებში უწევთ საოჯახო საქმეების შესრულება და მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, საუბარი არ გადაიზარდოს არც ბავშვთა არაადეკვატური შრომის წამახალისებლად, არც ოჯახების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მაპროვოცირებლად.

საქმიანობებზე საუბარი გრძელდება მე-2 დავალების შესრულების დროსაც, როდესაც აღწერენ ილუსტრაციას. ამ ილუსტრაციას იყენებენ მე-3 დავალებაზე მუშაობის დროსაც.

**3. ლექსიკური ერთეულების გააქტიურება**

სრულდება მესამე დავალება. ბავშვები დააკვირდებიან ნახატებსა და შესაბამის ლექსიკურ ერთეულებს, რომლებსაც დაუკავშირებენ იმ ილუსტრაციას, რომელზეც ისაუბრეს წინა დავალებაში და რომელიც მოცემულია წინა გვერდზე.

დავალებაში მოცემული სიტყვები აქტიურდება რვეულის მე-4 სავარჯიშოშიც.

დავალებასა და სავარჯიშოზე მუშაობა შეიძლება წარიმართოს როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებში და შედეგები გადამოწმდეს დასრულების შემდეგ.

მასწავლებელს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა მოსწავლეებს დაეხმარებათ მოსასმენი და საკითხავი ამოცანების გადასაჭრელად, რომელიც უნდა მოხდეს შემდეგ დავალებებსა და სავარჯიშოებში.

**4. ტექსტის მოსმენა**

მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს ტექსტს და სრულდება მე-5, მე-6 დავალება და მე-7 სავარჯიშო.

მოსასმენი ტექსტის მოსმენა მასწავლებლის გადაწყვეტილებით შეიძლება საჭირო გახდეს ორჯერ, სამჯერ...

კარგი იქნება, თუ ამ დავალებებისა და სავარჯიშოს შესრულების შემდეგ არ გადამოწმდება პასუხების სისწორე, რადგან სასურველი იქნება, თუ ამავე ტექსტის ოდნავ მოგვიანებით წაკითხვის შემდეგ თვითონვე გადაამოწმებენ თავიანთ შესრულებულ დავალებებსა და სავარჯიშოს.

**5. ტექსტის წაკითხვა**

სრულდება წიგნის მე-8 დავალება. მოსწავლეები მცირე ჯგუფებში კითხულობენ ტექსტს და ამოწმებენ მათ მიერ მოსმენილი ტექსტის მიხედვით შესრულებულ მე-5, მე-6 დავალებებსა და მე-7 სავარჯიშოს.

კიდევ ერთხელ შეიძლება აღინიშნოს, რომ თუკი მასწავლებელს მიაჩნია, რომ თავისი მოსწავლეებისთვის უკეთესი იქნება, ჯერ თვითონ წაუკითხოს ხმამაღლა ტექსტი, დაე, ასე იყოს. თუმცა, ზოგჯერ მასწავლებელმა მოსწავლეებსაც უნდა მისცეს, სათანადო მომზადების შემდეგ, საშუალება დამოუკიდებლადაც მივიდნენ ტექსტთან.

**6. ვარაუდების გამოთქმა**

სრულდება წიგნის მე-9 დავალება, რაც ერთგვარი შემზადებაა ტექსტის გაგრძელების წასაკითხად.

**7. გრამატიკული საკითხის დამუშავება**

მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ მე-10 დავალებაზე. მასწავლებელი აკეთებს სათანადო განმარტებას. ინდივიდუალურად სრულდება რვეულის მე-11 სავარჯიშო, რომელსაც ასწორებენ და უკუკავშირს აძლევენ წყვილებში.

მნიშვნელოვანია, რომ წერილობით შესრულების გარდა, მე-11 სავარჯიშოს ხმამაღლა რამდენჯერმე წაკითხვა დაეხმარება კონკრეტული გრამატიკული კომპეტენციის გააქტიურებაში. აქ და ყველგან, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ, საჭიროებისდა მიხედვით, შეუძლია, ბაშვებს დამატებით მისცეს დავალება, მსგავსი წინადადებები თვითონაც შეასრულონ წყვილებში, მცირე ჯგუფებში თუ ინდივიდუალურად. თუნდაც საშინაო დავალებადაც მისცეს.

(ვფიქრობ, მასწავლებლებისთვის გასაგებია, რომ ჩვენ სპეციალურად არ ვთავაზობთ ამ ჯერზე სხვა ნაწილაკებს — -თქო, ო-ს სახით, რადგან ეს აღრევასა და მოსწავლეთა ფრუსტრაციას გამოიწვევს.

**8. ტექსტის წაკითხვა (გაგრძელება)**

სრულდება წიგნის მე-12, მე-13 დავალებები და რვეულის მე-14 სავარჯიშო, რომლებიც ემსახურება ტექსტის გაგება-გააზრებას.

რადგანაც მოცულობითი ტექსტია, კარგი იქნება, თუ მასწავლებელი სათანადო ყურადღებას მიაქცევს მისი დამუშავების პროცესს. შესაძლოა, ამ შემთხვევაში გამოყენებულ იქნას წყვილებში წაკითხვის მეთოდი.

რას გულისხმობს წყვილებში წაკითხვის მეთოდი? მასწავლებელი ტექსტს დაყოფს ოთხ დაახლოებით ტოლ მონაკვეთად და ავალებს წყვილებს, რომ პირველ მონაკვეთს ერთი მეწყვილე წაიკითხავს, მეორე მონაკვეთს — მეორე მეწყვილე, მესამე მონაკვეთს — ისევ პირველი, მეოთხე მონაკვეთს — ისევ მეორე. რას აკეთებს ის მეწყვილე, როდესაც თვითონ არ კითხულობს? ყურადღებით უსმენს მეგობარს და ინიშნავს იმ ხარვეზს, რომელსაც წამკითხველი დაუშვებს. ბოლოს, წაკითხვის დასრულების შემდეგ ერთმანეთს აძლევენ უკუკავშირს, თუ როგორ კითხულობდნენ.

წაკითხვის პროცესის ასე წარმართვა აღვსილი უნდა იყოს ურთიერთპატივისცემითა და მეგობრული დამოკიდებულებით, რათა პროცესი დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს.

**9. პერსონაჟის დახასიათება**

სრულდება წიგნის მე-15 დავალება და რვეულის მე-16 სავარჯიშო. კარგი იქნება, თუ მე-15 დავალების განხილვა და განვრცობა მოხდება ზეპირმეტყველების ფორმატში, რასაც მოსწავლეები გადაიტანენ სამუშაო რვეულებშიც მე-16 სავარჯიშოს სივრცეში.

**10. გრამატიკულ საკითხზე მუშაობა**

სრულდება წიგნის მე-17 და რვეულის მე-18 და მე-19 სავარჯიშოები. აქაც სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ჯერ საკითხის არსში გარკვევას, რაშიც წიგნის დავალება დაეხმარებათ მოსწავლეებს მასწავლებლის რეკომენდაციებთან ერთად და რვეულში შესრულებული სავარჯიშოების ხმამაღლა წაკითხვას.

**11. მსჯელობა, რეფლექსია.**

სრულდება წიგნის მე-10 დავალება. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ისე წარმართოს საუბარი, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეს ტყუილის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება და აღნიშნონ, რომ სიმართლის თქმა ყოველთვის უნდა დააფასონ.

**12. ეპიზოდის ილუსტრირება**

სრულდება რვეულის 21-ე სავარჯიშო. მოსწავლეები ხატავენ შერჩეულ ილუსტრაციას დიალოგის რომელიმე მომენტის შესახებ და უკეთებენ წარწერებს. მნიშვნელოვანია, ნამუშევრები (სავარაუდოდ, ეს იქნება საშინაო დავალება.) წარუდგინონ თანაკლასელებს და ისაუბრონ მათ შესახებ: რომელი მომენტი შეარჩიეს, რატომ? როგორ დახატეს? რა წარწერა გაუკეთეს და სხვ.

აქვე წარმოგიდგენთ გრამატიკული საკითხის შეფასების რუბრიკას, რომელიც შესაძლებელია გამოიყენოს მასწავლებელმა როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების მიზნით.

| დაბალი დონე | გასაუმჯობე-სებელი დონე | საშუალო დონე | კარგი დონე | მაღალი დონე |
|---|---|---|---|---|
| არ ესმის კონკრეტული საკითხი და ვერც რეპროდუცირებას ახერხებს. | არ ესმის საკითხი, თუმცა შეუძლია მხოლოდ გამეორება. | შეუძლია დამოუკიდებლად გამოიყენოს კონკრეტული ფორმა, თუმცა უმეტესად შეცდომას უშვებს. | შეუძლია გამოიყენოს კონკრეტული ფორმა, თუმცა ზოგჯერ უშვებს შეცდომას განსხვავებულ კონტექსტში გამოყენებისას. | თითქმის ყოველთვის უშეცდომოდ იყენებს ნასწავლ გრამატიკულ საკითხს განსხვავებულ კონტექსტშიც. |

სავარაუდო საშინაო დავალებების ვარიანტები:

- შეთავაზებული ტექსტების წაკითხვა და აუდიოჩანაწერების გაკეთება.
- საკლასო ოთახში შესრულებული წიგნის დავალებებისა და რვეულის სავარჯიშოების საშინაო დავალების რვეულებში გადაწერა.

## მე-12 თემის ქვიზი

**1. დაასრულე წინადადება:**

ტომ სოიერმა ღობის გათეთრება ----.

ა. იწყებს.

ბ. იწყებდა.

გ. დაიწყო.

**2. რომელია სწორი წინადადება?**

ა. დეიდა პოლი დიდხანს ეძებდა ტომს.

ბ. დეიდა პოლიმ დიდხანს ეძებდა ტომს.

გ. დეიდა პოლიმ დიდხანს ეძებს ტომს.

**3. რომელ წინადადებაშია სასვენი ნიშნები სწორად გამოყენებული?**

ა. – ტომ, ეს ღობე ბოლომდე შეღებე!

ბ. – ტომ რატომ არ შეღებე ეს ღობე?

გ. – ტომ ეს ღობე ბოლომდე შეღებე.

**4. ჩასვი საჭირო სიტყვა წინადადებაში:**

ტომმა თანატოლებისგან ბევრი ნივთი ----.

ა. მოაგროვა

ბ. აგროვებს

გ. აგროვებდა

**5. საიდან ჩანს რომ ტომ სოიერი სწრაფი ბიჭია?**

ა. ტომი სიამოვნებით ათეთრებდა ღობეს.

ბ. ტომი სწრაფად გადაახტა ღობეს.

გ. მან ჩუმად შეჭამა დედა პოლის მიერ დამზადებული მურაბა.

# შემაჯამებელი დავალებები 12-ვე თემისათვის

## თემა 1 – პირველი ევროპელები

(უნარი – კითხვა)

**ინსტრუქცია:**

წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს:

1. რა თემაზეა ტექსტი?
2. რა არის ამ ტექსტის მიზანი?
3. რა იყო შენთვის ნაცნობი?
4. რა გაიგე ახალი?
5. რა იყო ყველაზე საინტერესო ამ ტექსტში?

დაწერე სამი ახალი სიტყვა, რომლებიც ტექსტიდან გაიგე (კონტექსტის მიხედვით).
დაწერე სამი ახალი სიტყვა, რომლებიც ვერ გაიგე. დააზუსტე მათი მნიშვნელობა.

---

დავალების მიზანია მოსწავლემ შეძლოს ინფორმაციის ამოკითხვა, გაგება-გააზრება, უცნობი ტექსტის თემისა და მიზნის ამოცნობა. ტექსტი უნდა შეარჩიოს და აუცილებლობის შემთხვევაში ადაპტირება გაუკეთოს მასწავლებელმა.

თემები:

„მუზეუმში“, „პირველყოფილი ადამიანები“,

„პირველი ევროპელები“....

ტექსტები უნდა იყოს საინფორმაციო-შემეცნებითი ტიპის. ტექსტში გამოყენებული უნდა იყოს ნაცნობი ლექსიკა. უცხო სიტყვები დაყვანილი უნდა იყოს მინიმუმამდე. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს თავისი კლასის წინარე ცოდნა და უნარები და ისე შეარჩიოს ტექსტი. შესაძლებელია დამატებითი შეკითხვების ან ტესტის მოფიქრებაც კონკრეტული ტექსტიდან გამომდინარე.

## თემა 2 – რთველი

(უნარი – ლაპარაკი)

**ინსტრუქცია:**

ინტერნეტში მოიძიეთ ინფორმაცია:
1-ლი ვარიანტი — როგორ მზადდება ფელამუში,
მე-2 ვარიანტი — როგორ მზადდება თათარა,
მე-3 ვარიანტი — როგორ მზადდება ჩურჩხელა.
დაამზადეთ შესაბამისი პოსტერი და გააკეთეთ პრეზენტაცია კლასში.

---

ამ დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს საუბარი ნასწავლი თემის (ღვინის დამზადება) შესახებ. დამატებითი მიზნებია თემის გარშემო ათვისებული ინფორმაციის ანალიზის, ვიზუალიზაციისა და პრეზენტაციის უნარების განვითარება. (მასწავლებლის სურვილის შემთხვევაში, დავალება შესაძლებელია შესრულდეს ჯგუფურად)

## თემა 3 – ხასიათი

(უნარი — ლაპარაკი)

**ინსტრუქცია:**

დაახასიათე ადამიანი, რომელსაც ყველაზე კარგად იცნობ (ოჯახის წევრი, ახლო მეგობარი ან ნათესავი, სხვა). საუბრისას შეეცადე პასუხი გასცე შემდეგ შეკითხვებს:

1. როგორი ხასიათი აქვს მას? აქვს თუ არა განსაკუთრებული თვისებები და თუ აქვს, რა?
2. მისი თვისებების ჩამოთვლისას შეეცადე დაასაბუთო, საიდან ჩანს, რომ ის ასეთია?
3. ინტროვერტია თუ ექსტრავერტი? რატომ ფიქრობ ასე? დაასაბუთე.

---

დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს ადამიანის დახასიათება (ხასიათი), საკუთარი ნათქვამის არგუმენტირება, შესაბამისი ლექსიკისა და კონსტრუქციების გამოყენება.

## თემა 4 – სკოლა

(უნარი – წერა)

**ინსტრუქცია:**

წიგნის 1-ლ დავალებაში მოცემული შეკითხვების მიხედვით დაწერე მცირე საინფორმაციო ტექსტი „ჩემი სკოლა“

---

დავალების მიზანია, ნასწავლი მასალის ტრანსფერი წერის უნარის განვითარების თვალსაზრისით. მოსწავლემ უნდა შექმნას საინფორმაციო ტექსტი.

## თემა 5 – მეგობრობა

( უნარი – წერა)

**ინსტრუქცია:**

დაწერე მოკლედ დღიური – რა მოხდა გუშინ და გუშინწინ?
გამოიყენე ზმნები წყვეტილისა და უწყვეტლის ფორმით.

---

დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს თავისი ყოველდღიურობისა და შეგრძნებებისა და განცდების გადმოცემა.

რეკომენდაციები: გამოიყენე ნიმუშად ტექსტი „ნამდვილი მეგობარი“, დაწერე, რა მოხდა გუშინ და გუშინწინ და როგორ, დაფიქრდი საკუთარ ემოციებზე, დაწერე, რაც გაწუხებს.

## თემა 6 – იყავი ჯანმრთელი

(უნარი – პროექტის მომზადება)

**ინსტრუქცია:**

დაამზადეთ ჯგუფებში გრიპის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტები, რომლებშიც ადამიანებს გააფრთხილებთ, როგორ უნდა მოიქცნენ გრიპის თავიდან ასაცილებლად და გრიპის დროს. ბუკლეტი შეიძლება იყოს სამად გაკეცილი ფურცელი და უნდა შედგებოდეს სათაურისა და ძირითადი ტექსტისგან. დაიხმარეთ ინტერნეტრესურსები.

რეკომენდაციები: გაიხსენე ყველა ის სიმპტომი, რომლებიც გრიპს ახასიათებს, გაიხსენე, როგორ უნდა მოიქცე , თუ გრიპი შეგხვდა, ჩაწერე ეს ყველაფერი ბრძანებითში ან მეორე კავშირებითში, გააფორმე ბუკლეტი.

---

დავალება ჯგუფებში პროექტის მომზადებას ითვალისწინებს და მისი მიზანი სასწავლო მასალის ათვისებასთან ერთად თანამშრომლობითი უნარების განვითარებაცაა.

## თემა 7 – მზე და მთვარე

(უნარი – კითხვა)

**ინსტრუქცია:**

იხილე დამატებითი საკითხავი (მზის სისტემა ანუ სად ვცხოვრობთ), წაიკითხე და უპასუხე მოცემულ შეკითხვებს.

---

დავალების მიზანია სამიზნე თემაზე უცხო ტექსტის წაკითხვა და გაგება, ანუ კითხვის ტრანსფერი.

შენიშვნა: შესაძლებელია, საკითხავი ტექსტის კონკრეტული თავი (ანუ პლანეტა) მასწავლებელმა შეარჩიოს; ასევე, დაამატოს დავალებები საჭიროებისამებრ.

## თემა 8 – გაზაფხულის დღესასწაულები

(უნარი – წერა)

**ინსტრუქცია:**

იხილე სავარჯიშო 11 (მოსწავლის რვეულში) და შეავსე ვენის დიაგრამა.

---

დავალების მიზანია მოსწავლისთვის ანალიზის უნარის განვითარებაზე მუშაობა, საგნებს/ მოვლენებს შორის მსგავსებისა და განსხვავებების აღმოჩენა და წერილობით ჩამოყალიბება.

## თემა 9 – საყიდლებზე

(უნარი – ლაპარაკი)

**ინსტრუქცია:**

წარმოიდგინე, რომ ახალი ქურთუკის საყიდლად მიდიხარ. მოამზადე დიალოგი მეწყვილე-სთან ერთად და გაითამაშე.

---

დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს მაღაზიაში ინტერაქცია. მოსწავლემ უნდა შეძლოს თემის ფარგლებში ათვისებული ლექსიკისა და ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება.

## თემა 10 – მოგზაურობა

(უნარი – წერა)

**ინსტრუქცია:**

მოიძიე ინფორმაცია მოცემული ქალაქის/ ქვეყნის შესახებ; მისწერე მეგობარს წერილი, დაა-ინტერესე ის და მოიწვიე შენთან ერთად სამოგზაუროდ, გამოიყენე ნასწავლი ლექსიკა და მეორე კავშირებითის ფორმები.

---

დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს წერილის დაწერა მოგზაურობის თემაზე.

## თემა 11 – ზღაპარი

(უნარი – მოსმენა)

**ინსტრუქცია:**

უყურე ანიმაციურ ფილმს „ბულბულის იუბილე“ და შემოხაზე სწორი პასუხები:

**1. სად მიფრინავენ ფრინველები?**

ა. ბულბულის იუბილეზე

ბ. ყვავის იუბილეზე

გ. არწივის იუბილეზე

**2. განმარტე სიტყვა „მიესალმე“.**

ა. უთხარი „გამარჯობა“

ბ. უთხარი „ნახვამდის“

გ. უთხარი „ბოდიში“

**3. შინაური ფრინველების რომელი წარმომადგენლები არიან იუბილეზე?**

ა. მამლები

ბ. ჩიტები

გ. ინდაურები

**4. რას ეძახიან ბულბულს?**

ა. ბუნების მგოსანს

ბ. საუკეთესო მომღერალს

გ. ბუნების ქომაგს

**5. ვინ არის ფრინველთა მეფე?**

ა. არწივი

ბ. ყვავი

გ. ბულბული

**6. რომელი ფრინველები არიან მოცეკვავეები?**

ა. ოფოფები

ბ. არწივები

გ. ქედნები

**7. რატომ არის არწივი გაბრაზებული?**

ა. იმიტომ, რომ მისი ნებართვის გარეშე გამართეს იუბილე.

ბ. იმიტომ, რომ არ დაპატიჟეს იუბილეზე.

გ. იმიტომ რომ ყვავს აწყენინეს.

**8. რა ითხოვა ბულბულმა სიკვდილის წინ?**

ა. ცეკვა

ბ. სიმღერა

გ. 3 სურვილის შესრულება

**9. რატომ აჩუქა არწივმა ბულბულს სიცოცხლე?**

ა. იმიტომ, რომ ბულბული კარგი მომღერალია.

ბ. იმიტომ, რომ ბულბული კარგი მოცეკვავეა.

გ. იმიტომ, რომ შეებრალა.

---

დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს ზღაპრულ თემაზე მოსასმენი ტექსტის (ანიმაციური ფილმის) გაგება და საჭირო ინფორმაციის ამოკრება. ამ ანიმაციურ ფილმში არც ისე რთული ლექსიკაა, მაგრამ კარგი იქნება, მოსმენამდე (ანიმაციის ნახვამდე) საჭირო ლექსიკის გააქტიურება. ყველა სიტყვის განმარტება საჭირო არ არის. მაშინ შემაჯამებელ დავალებას აზრი დაეკარგება. მაგრამ კარგი იქნება, თუ ფრინველების სახელებს გაამეორებინებთ (ასწავლით) მოსწავლეებს. ამისათვის შეიძლება გამოიყენოთ შემდეგი აქტივობა: აჩვენეთ მოსწავლეებს ფრინველების სურათები (ფოტოებით ან პროექტორით) და უთხარით, რომ ამოიცნონ მათი სახელები. შესაბამისი სიტყვები წინასწარ მზად იყოს ბარათების სახით ან დაწერთ დაფაზე. მოსწავლეებმა კი მიაკრან ბარათები შესაბამის ფოტოს ან პროექტორით ჩვენებისას შესაბამისი სიიდან წაიკითხონ სათანადო სიტყვა.

## თემა 12 – ტომ სოიერის თავგადასავალი

(უნარი – წერა)

**ინსტრუქცია:**

ტომის დახასიათების მსგავსად დაწერე შენი საყვარელი პერსონაჟის დახასიათება.

_____

დავალების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს წერილობით პერსონაჟის დახასიათება (ამოიცნოს მისი თვისებები და დაასაბუთოს).

# შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკა

მე-6 კლასში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლეებთან. ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ შეფასების გარკვეული რუბრიკები. ამ რუბრიკებში წარმოდგენილია ენობრივი მიმართულებების მიხედვით შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებელი ამ რუბრიკების გამოყენებით მიიღებს გადაწყვეტილებას, როგორ მისცეს მოსწავლეს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება.

ქვემოთ წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები, რომელთა გამოყენება გარკვეული მოდიფიცირების შემდეგ შესაძლებელია საშინაო და საკლასო დავალებების შეფასების მიზნითაც, როგორც წაკითხული, ასევე მოსმენილი ტექსტების გააზრების, როგორც ლაპარაკის, ასევე წერითი უნარის, როგორც გრამატიკული საკითხების, ასევე ლექსიკური კომპეტენციის შეფასებისას.

| **კომპონენტი** | **დაბალი 1-3** | **საშუალო 4-6** | **კარგი 7-8** | **საუკეთესო 9-10** |
|---|---|---|---|---|
| **წაკითხული მხატვრული ტექსტის გააზრება** | შეუძლია მხოლოდ ზოგიერთი ექსპლიციტური (ზედაპირული) ინფორმაციის (ტექსტის სათაური, ავტორის ვინაობა, პერსონაჟის სახელი...) ამოცნობა. | ახერხებს მხატვრულ ტექსტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის (პერსონაჟის აღწერა, გარემოებების ამოცნობა...) აღქმას. | შეუძლია მხატვრული ტექსტის სიღრმისეული გააზრება, მხატვრული ხერხების აღქმა, საკუთარი მოსაზრებების გადმოცემა. | ახერხებს მხატვრული ტექსტის სიღრმისეულად გააზრებას. შეუძლია ტექსტისა და პერსონაჟების ქმედებების ინტერპრეტირება, საკუთარი შეფასებითი დამოკიდებულებების გამოხატვა. |
| **წაკითხული არამხატვრული (სტატია, ანკეტა, განრიგი...) ტექსტის გააზრება** | შეუძლია მხოლოდ ზოგიერთი ექსპლიციტური (ზედაპირული) ინფორმაციის ამოცნობა. | ახერხებს მხატვრულ ტექსტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის (პერსინაჟის აღწერა, გარემოებების ამოცნობა...) აღქმას. შეუძლია ტექსტში მოცემული ზედაპირული ინფორმაციის აღქმა-გაგება. | შეუძლია ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის სიღრმისეული გაგება. | შეუძლია ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის სიღრმისეული (იმპლიციტური) ინფორმაციის გააზრება. ტექსტის შექმნის მიზნებისა და ავტორის პოზიციის ამოცნობა. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **გაგება** | შეუძლია მოსმენილი ტექსტის მხოლოდ რამდენიმე ფრაზის/ სიტყვის იდენტიფიცირება. | შეუძლია მოსმენილ ტექსტის თემატიკისა და ძირითადი ან/და ზედაპირული ინფორმაციის გაგება. | შეუძლია მოსმენილი ტექსტის მთავარი სათქმელისა და ზოგიერთი სიღრმისეული, დეტალური ინფორმაციის გაგება. | შეუძლია მოსმენილი ტექსტის სიღრმისეულად და სრულფასოვნად, მათ შორის დეტალურ დონეზე გააზრება. |
| **ლაპარაკი** | შეუძლია მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა შეთავაზებული საკითხის/თემის ირგვლივ, ისიც რეპროდუცირების ფორმატში. | შეუძლია მოკლე ფრაზებით საუბარი გარკვეული შეცდომებითა და აქცენტით. | შეუძლია გაბმული მეტყველება საკითხის ირგვლივ მცირე შეცდომებით და აქცენტით. | შეუძლია გაბმულად საუბარი და გარკვეული ინტერპრეტირება შეთავაზებული საკითხისა და დავალების ირგვლივ. შეიძლება ჰქონდეს მცირეოდენი აქცენტი. |
| **წერა** | შეუძლია საკითხის შესახებ მხოლოდ რამდენიმე სიტყვის დაწერა. ან ეს სიტყვებიც არაადეკვატურადაა დაწერილი, არ შეესაბამება შეთავაზებულ საკითხს/ დავალებას. | ახერხებს საკითხის შესახებ ზედაპირული და ზოგადი ფრაზების დაწერას. ნაწერში მრავლადაა შეცდომები. | საკითხის შესახებ დავალების პირობის დაცვით ახერხებს სრული ინფორმაციის წერილობით გადმოცემას, თუმცა უშვებს გარკვეულ შეცდომებს. | თითქმის უშეცდომოდ ახერხებს საკითხის შესახებ დავალების პირობის შესაბამისად ინფორმაციის წერილობით გადმოცემას. ნაწერში ავლენს შემოქმედებით მიდგომას. |
| **გრამატიკა** | ვერ ახერხებს ნასწავლი გრამატიკული ფორმების რეპროდუცირებას. | ახერხებს ნასწავლი გრამატიკული საკითხების რეპროდუცირებას და ავთენტურ სიტუაციაში შეცდომებით გამოყენებას. | ახერხებს ნასწავლი გრამატიკული საკითხების ნავარჯიშებ ავთენტურ სიტუაციაში უმნიშვნელო შეცდომებით გამოყენებას, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. | ახერხებს ნასწავლი გრამატიკული საკითხების ავთენტურ სიტუაციაში თითქმის უშეცდომოდ ან უშეცდომოდ გამოყენებას, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ლექსიკური მარაგი** | ვერ ახერხებს ნასწავლი ლექსიკური ერთეულების ადეკვატურ გამოყენებას შეთავაზებული ამოცანების შესაბამისად. | ახერხებს ზოგიერთი ნასწავლი სიტყვის ავთენტურ სიტუაციებში გამოყენებას გარკვეული შეცდომების დაშვებით. | შეუძლია ნასწავლი ლექსიკური ერთეულების ავთენტურ სიტუაციებში გამოყენება თითქმის უშეცდომოდ. | უშეცდომოდ იყენებს ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს როგორც ზეპირმეტყველებით, ასევე წერითი ამოცანების დაძლევისას. შეუძლია სიტყვების ამოცნობის სტრატეგიების ეფექტიანი გამოყენება. შემოქმედებითად უდგება სიტყვათწარმოების პროცედურებს. |

# მოსასმენი დავალებების ტექსტები და ინტერნეტბმულები

## თემა 1. პირველი ევროპელები

**მუზეუმის თანამშრომლის მიმართვა ბავშვებს**

გამარჯობა, ბავშვებო! მე ვარ მაკა ბარბარეშვილი, ამ მუზეუმის თანამშრომელი. ძალიან მიხარია, ჩვენთან რომ ხართ და გაინტერესებთ ჩვენი ისტორია... მინდა გთხოვოთ, რომ ყურადღებით მომისმინოთ... ასევე გთხოვთ, ხელი აიწიოთ შეკითხვების შემთხვევაში. ხელი აიწიეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც საუბარს დავასრულებ. მინდა ერთი რამე კიდევ გთხოვოთ, ხელი არ შეახოთ ექსპონატებს.

როგორც ხედავთ, ჩვენ ახლა ვართ უძველესი ისტორიის დარბაზში. ისტორიის ამ პერიოდს ქვის ხანას უწოდებენ. აქ  არის ისეთი ადამიანების ნაშთები, რომლებიც ცხოვრობდნენ მილიონზე მეტი წლის წინ. მათგან ყველაზე ცნობილია ზეზვა და მზია, რომელთა ძვლების ნაწილები აღმოჩენილია საქართველოს სამხრეთ რეგიონში – დმანისში. ამიტომ მას ხშირად დმანისელ ადამიანსაც უწოდებენ...

როგორც იცით, ის ადამიანები ძალიან განსხვავდებოდნენ დღევანდელი ადამიანებისგან.

...მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ყველაზე ძველი ადამიანის ნაშთები, რომლებიც ნაპოვნია აფრიკის კონტინენტის გარეთ. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო „პირველი ევროპელების“ სამშობლოა.

## თემა 2.რთველი

(გარი: – ძალიან საინტერესო დღე იყო. ცხოვრებაში პირველად მოვკრიფე ყურძენი. თან ძალიან გემრიელი იყო. ყველაზე ძალიან ის გამიხარდა, რომ დათოს ბაბუამ მითხრა, რა კარგად გვეხმარებიო...

აისუ: – მე ორი კალათა შავი ყურძენი მოვკრიფე. მე ვკრეფდი და დათოს ჩემი სავსე კალათა მარანში მიჰქონდა. ყურძენი არ მიჭამია, რადგან არ მიყვარს, მაგრამ ყურძნის წვენი ძალიან მომეწონა – პირველად დავლიე საწნახლიდან გადმოსული შავი ყურძნის წვენი.

ეკა: – ძალიან გამიხარდა, დათოს სოფელში რომ წამოვედით რთველში. თავიდან არ მინდოდა წამოსვლა, მაგრამ კიდევ კარგი, უარი არ ვთქვი... მეც ორი კალათა ყურძენი მოვკრიფე, ოღონდ თეთრი. როგორც დათოს ბაბუა ამბობდა, ცოლიკაური მოვკრიფე.

დათო: – მართლა ძალიან კარგი დღე იყო. ძალიან მიხარია, რომ წამოხვედით. ხომ ხედავთ, როგორი გახარებულები არიან ჩემები, რომ დავეხმარეთ?! შემწვარი სიმინდები არ მოგეწონათ?! მე ძალიან მიყვარს შემწვარი სიმინდები. ზაფხულშიც ვჭამთ ხოლმე... )

## თემა 3.ხასიათი

ქართული ფილმი **„იმერული ესკიზები“:**
https://www.youtube.com/watch?v=OgP7OxWQhcY

1:02:42 — 1:03:50 წუთები

## თემა 4.რთველი

**ახალი მოსწავლე დირექტორთან**

– გამარჯობა.
– გამარჯობა. ვინ გნებავთ?
– დირექტორი, თუ შეიძლება.
– დირექტორი მე ვარ. ანა მქვია.
– ქალბატონო ანა, მამამ დაგირეკათ ჩემ შესახებ. საბუთები მოვიტანე. თქვენს სკოლაში უნდა ვისწავლო.
– რა გქვია?
– ნათიგი. ნათიგ აივაზოვი.
– ძალიან სასიამოვნოა. კეთილი იყოს შენი მობრძანება თბილისის 151-ე საჯარო სკოლაში! VI კლასს მათემატიკას ვასწავლი.
– ძალიან კარგი.
– ნათიგ, რომელი სკოლიდან გადმოხვედი?
– სომხურ-აზერბაიჯანული სკოლიდან. ჩვენს სკოლაში ორი სექტორია: სომხური და აზერბაიჯანული.
– სად მდებარეობს შენი სკოლა?
– ხოჯორნში.
– სად?
– სოფელ ხოჯორნში.
– ოფიციალურად რა ჰქვია? როგორ დავწერო?
– მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოჯორნის საჯარო სკოლა.
– მადლობა. საკმაოდ კარგად იცი ქართული. ყოჩაღ! სკოლაში ისწავლე?
– სკოლაშიც და თბილისშიც. მამა აქ მუშაობს და თბილისში ხშირად ვარ. მაგრამ მთლად კარგად ვერ ვლაპარაკობ. ჩემს სოფელში ქართველები არ არიან. იშვიათად ვლაპარაკობ ქართულად.
– ხომ არ ნერვიულობ?
– კი, ვნერვიულობ. ეს ქართული სკოლაა. მე აზერბაიჯანულ სექტორზე ვსწავლობდი და ქართული ძალიან კარგად არ ვიცი. თქვენი სკოლა ძალიან დიდია. აქ ძალიან ბევრი ბავშვი სწავლობს და მე არავის არ ვიცნობ. ჩემს სოფელში ყველას ვიცნობდი.
– შენს სკოლაში რამდენი მოსწავლე სწავლობს?
– ჩვენთან 72 მოსწავლე სწავლობს და 22 მასწავლებელი ასწავლის.
– მართლა პატარა სკოლა ყოფილა! როგორი შენობა აქვს? რამდენსართულიანია?
– ორსართულიანია. დიდი არ არის. მაგრამ მე ძალიან მიყვარს.
– ნუ ნერვიულობ. იმედი მაქვს, ჩვენი სკოლაც მოგეწონება.

## თემა 5.მეგობრობა

ვიდეორგოლი – **„თხილამურებით სრიალი“**
https://www.youtube.com/watch?v=8zFS9Stedps
დასაწყისიდან 2: 26 წუთამდე

## თემა 6. იყავი ჯანმრთელი

### გოგონასა და 112-ის ოპერატორის დიალოგი

– ალო, ერთი, ერთი, ორი გისმენთ!
– სასწრაფოს გამოძახება გვინდა
– რა მისამართზე?
– ქალაქი რუსთავი, შარტავას 17, მეხუთე სადარბაზო, ბინა 64
– რა მოხდა?
– ბებია მყავს ავად, მაღალი სიცხე აქვს და სუნთქვა უჭირს. თან ძალიან ახველებს.
– პაციენტის სახელი და გვარი?
– ლილი ასანიძე
– ასაკი?
– 70 წლისაა.
– თქვენ ვინ ხართ?
– მე შვილიშვილი ვარ. სხვა არავინაა სახლში.
– თქვენი სახელი და გვარი?
– თათია დონაძე.
– თათია, ბებიას სიცხე გაუზომეთ? რამდენი აქვს?
– დიახ, 39.5.
– რაიმე წამალი მიიღო?
– დიახ, სიცხის დამწევი, მაგრამ არ უშველა.
– რაიმე ქრონიკული დაავადებები ხომ არ აქვს?
– არ ვიცი, ვერ გეტყვით.
– კარგი, უკვე გამოდის სამედიცინო ბრიგადა, სადარბაზოსთან ვინ დახვდება?
– მე თვითონ დავხვდები. რამდენ ხანში მოვა?
– დაახლოებით 15 წუთში.
– კარგი, დიდი მადლობა!

### ფარმაცევტისა და მამაკაცის დიალოგი

– უკაცრავად, თავისუფალი ხართ?
– დიახ, მოგესალმებით, რით შემიძლია გემსახუროთ?
– გამარჯობა. იცით, ძალიან ცუდად ვარ, თავი მტკივა საშინლად, კუნთები და სახსრებიც და ძალიან მეძინება.
– სიცხე ხომ არ გაქვთ?
– არ ვიცი, არ გამიზომავს, მაგრამ, მგონი, კი.
– გრიპიან ადამიანებთან ხომ არ გქონიათ ბოლო დღეებში კონტაქტი?
– მმმ, არ მახსოვს. თუმცა, მგონი, კი, ერთ ჩემს თანამშრომელს სტკიოდა გუშინ თავი და სიცხეც ჰქონდა.
– და პირბადე არ ეკეთა ალბათ, ხომ?
– არა, არ ეკეთა.
– ასე არ შეიძლება. თქვენ ალბათ გრიპი გადაგედოთ. მე ახლა სიცხის დამწევს და თავის

ტკივილის წამალს მოგცემთ, მაგრამ აუცილებლად ექიმთან წადით დღესვე და გაესინჯეთ.

– კარგი, ასე ვიზამ.

– აი, ინებეთ თქვენი წამლები. ხუთი ლარი და სამოცდაათი თეთრი. ჩვენი ბარათიც მომაწოდეთ.

– აი, ინებეთ.

– ჯანმრთელობას გისურვებთ!

---

– მაპატიეთ, პირბადე დამავიწყდა. ხუთი ცალი მომეცით.

– კი, პირბადე აუცილებლად გაიკეთეთ, ახლავე მოგცემთ. ორ ლარ-ნახევრის იქნება.

– მადლობა, აი, აიღეთ თანხა.

– კარგი, მალე გამოჯანმრთელდით.

## თემა 7. მზე და მთვარე

სიმღერა – **„მზე შინა“**

https://www.youtube.com/watch?v=VZiXslZRQMA

## თემა 8. გაზაფხულის დღესასწაულები

– ანა, ხომ არ იცი, რატომ ვისვენებთ ამ პარასკევს და ორშაბათს?

– რა თქმა უნდა, ვიცი. იმიტომ ვისვენებთ, რომ წითელი პარასკევია. ამ დღეს სააღდგომო კვერცხებს ვღებავთ. ორშაბათს კი სააღდგომო კვერცხები საფლავებზე მიგვაქვს.

– სააღდგომო? რას ნიშნავს სააღდგომო?

– კვირას ჩვენი დღესასწაულია – აღდგომა. აღდგომისთვის ქრისტიანები წითლად ვღებავთ კვერცხებს. აღდგომა შობასთან ერთად ქრისტიანების მთავარი დღესასწაულია.

– აღდგომა? ჩვენ უკვე აღვნიშნეთ აღდგომა! ოღონდ ჩვენ ზატიკს ვეძახით. ზატიკი წინა კვირას იყო. უკვე შევღებეთ კვერცხები და შევჭამეთ კიდეც.

– მართლა? არ ვიცი, ასდღიკ, შეიძლება თქვენთან იყო, მაგრამ ჩვენთან ჯერ არ ყოფილა. ჩვენთან აწი იქნება.

– ჩვენც შევღებეთ კვერცხები! მარტში, ნოვრუზ ბაირამზე.

– რა უცნაურია! ყველანი ვღებავთ კვერცხებს, მაგრამ სხვადასხვა დროს.

– ჩვენ ჯეჯილიც გვაქვს სააღდგომოდ.

– ჯეჯილი რა არის?

– აღდგომამდე 2 კვირით ადრე ბამბას და ხორბალს ვაწყობთ თეფშზე. ყოველდღე ცოტა წყალს ვასხამთ და აღდგომისთვის მწვანე ჯეჯილი ამოდის.

– ჩვენც ვთესავთ ჯეჯილს ნოვრუზ ბაირამამდე 2 კვირით ადრე.

– ჩვენც ვთესავთ!

– ეს რა გამოვიდა? ერთი და იმავე დღესასწაულს სამ სხვადასხვა დროს აღვნიშნავთ?

– არ ვიცი... ვინმეს ვკითხოთ.

– მეც არ ვიცი. თუმცა ეს ცუდი სულ არ არის: ნოვრუზ ბაირამზე აიშასთან წავიდეთ სტუმრად, ზატიკზე – ასდღიკთან და სააღდგომოდ – ჩემთან მოდით.

– მოდით, მოდით, არ ვარ წინააღმდეგი. ნოვრუზზე ჩვენს სახლში ყოველთვის დიდ სუფრას ვშლით და ბევრი გემრიელი საჭმელი გვაქვს.

– ჩვენც დიდ სუფრას ვშლით!

– ჩვენც!

– პირველად ჩემთან მოდიხართ! გაისად კი – თქვენ მპატიჟებთ.

– სიამოვნებით.

– მეც მოვალ.

ვიდეორგოლი – **„აღდგომა თბილისში“:**

https://www.youtube.com/watch?v=_eJzswCh3M4&fbclid=IwAR1X7uMxTVLOkyQ-m4Yq8zpFgvH-ql3XOLFM3qsiDiJ1o0DCe1d3FzzNS4IE

## თემა 9. საყიდლებზე

**ქალისა და მაღაზიის თანამშრომლის დიალოგი**

– ალო, გამარჯობა

– გამარჯობა.

– მაღაზია „უნივერსამის“ ტექნიკის განყოფილებაა?

– დიახ, უნივერსამის ტექნიკის განყოფილების თანამშრომელი გისმენთ. რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– გუშინწინ თქვენთან შევიძინე ლეპტოპი. შვილთან ერთად ვიყავი. ლურჯი ფერის.

– დიახ, დიახ. რაიმე პრობლემაა?

– დიახ, დიდი პრობლემაა. გუშინ ჩვეულებრივად მუშაობდა. დღეს დილით კი რაღაც დაემართა – აღარ ირთვება. ეკრანი სულ შავია.

– ხომ არ დაგივარდათ ან ზედ რამე ხომ არ დაეცა?

– არა, რას ამბობთ! თქვენც ნახავთ, რომ გარეგნულად დაზიანებული არაა. ბავშვები ძალიან ნერვიულობენ. ისე უხაროდათ... საკმაოდ ძვირიც გადავიხადეთ... თქვენმა კონსულტანტმაც ეს მოდელი მირჩია. ვფიქრობდი, რომ ხარისხიანი იყო და რა გამოვიდა?

– საგარანტიო ფურცელი ხომ გაქვთ?

– დიახ, დიახ, რა თქმა უნდა!

– ნუ ნერვიულობთ. ხვალ 10 საათზე მოიტანეთ ლეპტოპი მაღაზიაში და ჩვენი სპეციალისტი ნახავს მას.

– იცით რა? მე მისი შეკეთება არ მინდა. ან შემიცვალეთ სხვა ლეპტოპში, ან თანხა დამიბრუნეთ.

– რა თქმა უნდა, ახალ ლეპტოპს მოგცემთ. უბრალოდ, სპეციალისტი უნდა დარწმუნდეს, რომ ნივთი გარეგნულად დაზიანებული არაა. ნუ ნერვიულობთ, ყველაფერი კარგად იქნება.

– კარგი, ხვალ მოვიტან ლეპტოპს.

– ნახვამდის, გელოდებით!

## თემა 10. მოგზაურობა

**1.** პატივცემულო მგზავრებო,

გთხოვთ, ყურადღებით მოისმინოთ მგზავრობის წესები: თვითმფრინავში შესვლისას ბილეთები წარუდგინეთ ბორტგამცილებელს. შეგიძლიათ თან იქონიოთ მცირე ხელჩანთა. სალონში დაიკავეთ თქვენს ბილეთზე მითითებული ადგილი და შეიკარით უსაფრთხოების ღვედები.

დახმარების საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ გამცილებელს.

**2.** პატივცემულო მგზავრებო,

დასავლეთისკენ მიმავალ მიკროავტობუსებზე ბილეთები შეიძინეთ ავტოსადგურ „ოკრიბის“ სალაროებში. თბილისი-ჭიათურის მიმართულებით მიკროავტობუსი გავა ათ წუთში. ბარგის ჩალაგებისთვის მიმართეთ მძღოლს.

**3.** ყურადღება, ყურადღება!

მატარებელი ნომერი 567 თბილისი-სოხუმი გადის მესამე ლიანდაგიდან. ბილეთები შეიძინეთ სადგურის სალაროებში. მატარებელი გავა 20 წუთში. გთხოვთ, არ დააგვიანოთ!

## თემა 11. ზღაპარი

ანიმაციური ფილმი **„ლომი და თაგვი“**
(https://www.youtube.com/watch?v=3Dke3efwpUI&list=PLmnPFYTiL1euj5538JiYuZltqpmvqq713

## თემა 12. ტომ სოიერი

**ნაწყვეტი „ტომ სოიერის თავგადასავალიდან“**

– ტომ!
პასუხი არ არის.
– ტოომ!
პასუხი ისევ არ არის.
– ნეტავ, სად არის ეს ბიჭი?! – თქვა დეიდა პოლიმ და მიიხედ-მოიხედა. ტახტის ქვეშაც შეიხედა, მაგრამ იქ მხოლოდ კატა იპოვა.
– ტოოომ! სად ხარ?!
უცებ ტომი დეიდა პოლის უკან გაჩნდა.
– დიახ, დეიდა!
დეიდა პოლიმ მოიხედა და ტომს ახედ-დახედა.

– რას აკეთებდი, ტომ? – ჰკითხა მან.

– არაფერს, – უპასუხა ტომმა და ფეხებზე დაიხედა.

– არაფერს?! – დაიყვირა გაბრაზებულმა დეიდა პოლიმ, – აბა, ნახე შენი ხელები და ტუჩები!.. რამდენჯერ გითხარი, მურაბას ნუ ჭამ-მეთქი?!

– უი, დეიდა პოლი!.. რა არის თქვენ უკან?! – თქვა უცებ ტომმა.

მოხუცი ქალი უკან შებრუნდა... ტომი კი მაშინვე გაიქცა და მაღალ ღობეს გადაახტა.

დეიდა პოლიმ გაიცინა და თქვა:

– უნდა დავსაჯო, ხვალ შაბათია, საკვირაო სკოლაც არაა, ყველა ისვენებს, ტომი კი იმუშავებს და იმუშავებს.

# რეკომენდაციები დამატებით საკითხავებზე სამუშაოდ

## ზოგადი რეკომენდაციები:

1. ტექსტები შეგიძლიათ გამოიყენოთ **დიფერენცირებული სწავლების** კონტექსტშიც — შესთავაზეთ მოსწავლეებს, რომლებიც შედარებით ადვილად ახერხებენ მიცემული დავალებების შესრულებას, დამატებით საკითხავებად. ამ დროს გამოიყენებთ იქვე თანდართულ შეკითხვებსა და დავალებებსაც. ამ მიზნით გამოსაყენებლად ტექსტის შერჩევამდე საჭირო იქნება ტექსტის შეფასება – რამდენად შეესაბამება იგი თქვენი მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. შეფასების პროცესში ყურადღება მიაქციეთ ტექსტის მოცულობას და მასში სავარაუდო უცნობის სიტყვების რაოდენობას.

2. საკითხავი აქტივობები წარმართეთ კითხვის სამფაზიანი მოდელის მიხედვით. კერძოდ: **წაკითხვამდე** გააქტიურეთ მოსწავლეთა წინარე ცოდნა ტექსტში წარმოდგენილ თემასთან დაკავშრებით, ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა იციან ამ კონკრეტულ საკითხზე/პიროვნებაზე/თემაზე/მოვლენაზე/საგანზე. შემდეგ ყურადღება გაამახვილეთ სათაურზე/ილუსტრაციაზე და სთხოვეთ მოსწავლეებს გამოთქვან ვარაუდები ტექსტის შინაარსის შესახებ. წაკითხვამდე საჭირო იქნება მოსწავლეებს კარგად განუმარტოთ, თუ როგორ უნდა წაიკითხონ ტექსტი (ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში), რა მიზნით უნდა წაიკითხონ და რა დავალება (შეთავაზებულ შეკითხვებზე პასუხი, რაიმე კონკრეტული სქემის შევსება, საკვანძო ილუსტრაციის დახატვა, პოსტერის დამზადება და სხვ.) უნდა შეასრულონ. წაკითხვამდე ფაზაზე ხშირად სასარგებლოა სავარაუდოდ უცნობი სიტყვების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სპეციალურად ვტოვებთ ზოგიერთ სიტყვას წინასწარი განმარტების გარეშე, რათა მოსწავლეებმა კონტექსტის გამოყენებით შეძლონ მათი ამოცნობა.

3. **წაკითხვის დროს** მოსწავლეები შეიძლება მუშაობდნენ სხვადასხვა ფორმატში (ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში) მიცემულ კონკრეტულ დავალებაზე (შეთავაზებულ შეკითხვებზე პასუხი, რაიმე კონკრეტული სქემის შევსება, საკვანძო ილუსტრაციის დახატვა, პოსტერის დამზადება და სხვ.). სახელმძღვანელოს წიგნსა და რვეულში ასეთი დავალებები მოცემულია, ხოლო დამატებით საკითხავებს ახლავთ მხოლოდ შეკითხვები და ქვემოთ შემოგთავაზებთ კონკრეტულ დავალებებს შესაბამისი ტექსტებისთვის.

ხშირად მასწავლებლები მიმართავენ ხოლმე ტექსტის ხმამაღლა წაკითხვის აქტივობას, როგორც მასწავლებლის მიერ, ასევე მოსწავლეებისგანაც. ჩვენს სახელმძღვანელოს მასწავლებლის წიგნშიც არის შემოთავაზებული რამდენიმეგან რეკომენდაცია, რომ შესაძლოა მასწავლებელმა თავდაპირველად ხმამაღლა წაუკითხოს მოსწავლეებს ტექსტი სათანადო კომენტარებით, შემდეგ მოსწავლეებსაც ხმამაღლა წააკითხოს სხვადასხვა ფორმატში (ერთობლივი ხმამაღლა წაკითხვა, წყვილებში ერთობლივად ხმამაღლა წაკითხვა, ხმამაღლა წაკითხულის ციფრული ჩანაწერის გაკეთება ტელეფონში ან კომპიუტერში და სხვ.). რადგან მეორე ენაზე კითხვის კომპეტენციის განვითარება ჯერ კიდევ აქტუალური საკითხია მე-5 და მე-6 კლასებში, ასეთი აქტივობა სასარგებლო იქნება მოსწავლეთა კითხვაში გაწაფვისთვის.

4. **წაკითხვის შემდეგ** ფაზაზე ხშირ შემთხვევაში ხდება წაკითხვის დროს შესრულებული დავალებების პრეზენტაცია, რასაც თან ახლავს ტექსტთან კიდევ ერთხელ მიბრუნება. სასურველია, ყველა მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს დავალებების წარდგენაში, მიუ-

ხედავად იმისა, ინდივიდუალურად არის იგი შესრულებული თუ ჯგუფურად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პრეზენტაციის უნარი მეტად ძვირფასი კომპეტენციაა ნებისმიერი საგნის კონტექსტში, ხოლო მეორე/უცხოური ენის შემთხვევაში კი იგი ფასდაუდებელი უნარია.

წაკითხვის შემდეგ ფაზაზე კარგი იქნება დამატებითი დავალების მიცემაც, რომელზე მუშაობის დროსაც კიდევ ერთხელ მიუბრუნდებიან წაკითხულ ტექსტს, ოღონდ სხვა მიზნით. ეს დავალება შეიძლება შეეხებოდეს ტექსტის ინტერპრეტირებას, მოითხოვდეს წერითი კომპეტენციის გამოყენებას, ტექსტის სხვაგვარ ფორმატში (დრამა, კომიქსი...) წარმოდგენას, ხატვითი უნარების გამოყენებას და სხვ.

5. შეფასება

მასწავლებლებმა შეიძლება გამოიყენოს ქვემოთ მოცემული რუბრიკა, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების მიზნით.

| **კომპონენტი** | **დაბალი** | **გასაუმჯობესებელი** | **საშუალო** | **კარგი** | **საუკეთესო** |
|---|---|---|---|---|---|
| **გაწაფული კითხვა** | ვერ ახერხებს სიტყვების ამოკითხვას | დაშვებულია საკმაო რაოდენობის შეცდომები, არაა დაცული ინტონაცია და დაბალის სიჩქარით კითხულობს. | შესამჩნევია შეცდომებისა და ინტონაციური გაუმართაობა, ყოვნდება და დაბალი სიჩქარით კითხულობს. | მცირეოდენ შეცდომასა და ინტონაციურ ხარვეზს უშვებს, კითხულობს სათანადო სიჩქარით. | უშეცდომოდ, სათანადო სიჩქარითა და ინტონაციით კითხულობს. |
| **ლექსიკური მარაგი** | ვერ აღიქვამს სიტყვათა უმეტეს ნაწილს. | შეცდომით იყენებს ხშირად ლექსიკურ ერთეულებს. | უჭირს ცალკეული სიტყვების კონტექსტში გამოყენება. | მცირე შეცდომებით იყენებს სიტყვებს სათანადო კონტექსტში. | სიტყვების გამოყენებისას იჩენს შემოქმედებითობას. |
| **გაგება-გააზრება** | ვერ ახერხებს წინადადების აღქმას. | ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის აღქმისას უშვებს ბევრ შეცდომას. | უჭირს იმპლიციტური ინფორმაციის ამოღება ტექსტიდან. | ტექსტის გააზრებისას არ არის დაშვებული შეცდომა, როგორც ექსპლიციტური, ასევე იმპლიციტური აზრის გაგებისას. | სრულფასოვნად იაზრებს ტექსტს, ახერხებს სათანადო ინტერპრეტირებას. |
| **წერითი კომპეტენცია** | ვერ ახერხებს მარტივი აზრის წერილობით გადმოცემას. | ნაწერში დაშვებული შეცდომების გამო უმეტესად შეუძლებელი ხდება აზრის გაგება. | წერით ნამუშევარში დაშვებული შეცდომები, თუმცა აზრის აღქმა შესაძლებელია. | უშეცდომოდ ან მცირე ხარვეზით ახერხებს წერილობითი დავალების შესრულებას. | შემოქმედებითად ახერხებს წერილობით მოსაზრებებისა და იდეების გადმოცემას. |

## 3. წვიმა და თოვლი

*ტექსტის წაკითხვამდე*

ამ ტექსტის დამუშავებისთვისაც სასარგებლო იქნება „მოლოდინების გზამკვლევის“ გამოყენება.

წინადადებები:

- ამინდს სამი რამ ქმნის: მზე, ჰაერი და წყალი.
- წვიმის წვეთები და თოვლის ფიფქები ერთნაირად წარმოიქმნება.
- ორი ერთნაირი თოვლის ფიფქი არ არსებობს.
- წვიმის წვეთები ყველა ერთნაირი ზომისაა.

*ტექსტის წაკითხვის დროს*

ეფექტური იქნება, თუ შეთავაზებული წინადადებები დარჩება დაფაზე (შესაძლებლობის ფარგლებში პროექტორით სლაიდების გაშვებაც კარგი იქნება) და ტექსტს მასწავლებელი წაიკითხავს ხმამაღლა. ამ დროს მოსწავლეებსაც საშუალება ექნებათ, წიგნებშიც იყურონ. საჭიროების შემთხვევაში, აზუსტებენ სიტყვების მნიშვნელობას და აკვირდებიან წაკითხვამდე განხილულ წინადადებებს — სწორია თუ არა თითოეული მათგანი.

*წაკითხვის შემდეგ*

მოსწავლეები ისევ განიხილავენ დასაწყისში შეთავაზებულ წინადადებებს, ხმამაღლა კითხულობენ წიგნის შეკითხვებს და ტექსტის დახმარებით უპასუხებენ მათ.

## 4. ვიქტორია და ნიაგარა

*ტექსტის წაკითხვამდე*

მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ უნდა წაიკითხონ ტექსტი მსოფლიოში ცნობილი ჩანჩქერების შესახებ. კარგი იქნება, თუ სლაიდების საშუალებით აჩვენებს რომელიმე ვიდეოსა და ფოტოებს ნიაგარასა და ვიქტორიას შესახებ.

ამის შემდეგ ეუბნება, რომ ტექსტის წაკითხვისას უნდა შეავსონ ვენის დიაგრამა ვიქტორიასა და ნიაგარას შესახებ. ახსენებს მათ სქემის შევსების წესებს.

*ტექსტის წაკითხვის დროს*

მოსწავლეები ჯგუფებში მუშაობენ და ავსებენ ვენის დიაგრამას ორი ჩანჩქერის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლისგან ითხოვენ დახმარებას.

*წაკითხვის შემდეგ*

მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს, ადარებენ ერთმანეთს. მასწავლებელი აკეთებს კონსტრუქციულ უკუკავშირს.

მოსწავლეები უპასუხებენ წიგნში მოცემულ შეკითხვებსაც.

## 5. შარლ პერო

*ტექსტის წაკითხვამდე*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, რომელი ზღაპრები იციან. მოსწავლეების გახსენებულ სათაურებს წერს დაფაზე, ოღონდ ზღაპარს, რომელიც ხალხურია, წერს ერთ სვეტში, ხოლო ზღაპარს, რომელთა ავტორი ცნობილია, წერს მეორე სვეტში.

ამის შემდეგ ყურადღებას ამახვილებს, რომ პირველ სვეტში ჩამოწერილი ზღაპრები ხალხურია, ხოლო მეორე სვეტში ჩამოწერილ ზღაპრებს ავტორები ჰყავთ, სწორედ ასეთი ავტორის შესახებ უნდა წაიკითხონ ტექსტი და ეს ავტორია შარლ პერო.

სავარაუდოდ, ჩამოწერილ ზღაპრებს შორის უნდა იყოს „წითელქუდაც“ და მასწავლებელი ამბობს, რომ ამ და სხვა ცნობილი ზღაპრების ავტორია შარლ პერო.

წაკითხვისას მასწავლებელი აძლევს დავალებას, რომ მოძებნონ ტექსტში ინფორმაცია იმ შეკითხვების შესახებ, რომლებიც წიგნშია მოცემული.

*ტექსტის წაკითხვის დროს*

მოსწავლეები ჯგუფებში კითხულობენ ტექსტს და ეძებენ მოცემულ შეკითხვებზე პასუხებს. საჭიროების შემთხვევაში ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობის დასაზუსტებლად ითხოვენ მასწავლებლის დახმარებას.

*წაკითხვის შემდეგ*

მოსწავლეები უპასუხებენ წიგნში მოცემულ შეკითხვებს და შეადარებენ ერთმანეთს თავიანთ პასუხებს.

*დამატებითი დავალება:*

შენც შეგიძლია დაწერო ზღაპარი და გახდე ავტორი. ამისთვის დაგეხმარება საიტი kargiskola.ge, სადაც მოცემულია პროგრამა, რომლის დახმარებითაც შეგიძლია ამბის დაწერა.

როგორ მუშაობს პროგრამა?

საიტზე: http://kargiskola.ge/dawere/ შესვლისას გაიგონებთ ჩიტების სასიამოვნო ჭიკჭიკს და ნახავთ შესვლის ღილაკს:



შესვლის შემდეგ აღმოჩნდებით სამი ყუთის სივრცეში, სადაც პირველი ყუთიდან აარჩევთ პერსონაჟს, მეორე ყუთიდან აარჩევთ ამ პერსონაჟის თვისებას, მესამე ყუთიდან კი — პრობლემას, რომელიც ამ პერსონაჟმა უნდა დაძლიოს.

შეგიძლია რამდენჯერმე შეცვალო სამივე მათგანი და შენთვის სასურველი შეარჩიო. ფოტოზე გამოსახულია ამისი ნიმუში: დირექტორი, რომელსაც კარუსელზე დაჯდომის ეშინია და რომელსაც ყვავმა საფულე გამოსტაცა.

წითელ ისარზე დაწკაპებით გადახვალ შემდეგ სივრცეში, სადაც შეგიძლია ამოირჩიო სასურველი ჟანრი: წერილი, მოთხრობა/ზღაპარი, დღიური თუ სტატია.



ჩვენ მაგალითისთვის შევარჩიეთ მოთხრობა/ზღაპარი:




ისევ დავაჭირეთ წითელ ისარს და ნახეთ, რა გამოგვივიდა... ამ ცარიელ გრაფაში შეგიძლიათ თქვენი შექმნილი ზღაპარი ჩაწეროთ.




მუშაობის დროს შეგიძლიათ სხვადასხვა ზომისა და ფერის შრიფტის გამოყენება, ნახატის ჩახატვა ან სურათის ატვირთვა-ჩამატება და ბოლოს, როდესაც დაასრულებ, შენახვაც.

თუ გადაწყვეტთ წერას, დარწმუნებულნი ვართ, კარგი ნაწარმოებები გამოგივათ.

## 6. მზის სისტემა ანუ სად ვცხოვრობთ

*ტექსტის წაკითხვამდე*

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ყველაფერი, რაც იციან მზის, ვარსკვლავების, მთვარის შესახებ.

სავარაუდოდ, იტყვიან, რომ მზე დიდი ვარსკვლავია, მთვარე ღამით ანათებს, ვარსკვლავები ღამით ანათებენ...

ამ ყველაფერს წერენ დაფაზე ან ფლიპჩარტზე შემდეგ სქემაში:

| ვიცი | მინდა ვიცოდე | ვისწავლე |
|---|---|---|
| მზე დიდი ვარსკვლავია, მთვარე ღამით ანათებს, ვარსკვლავები ღამით ანათებენ... | | |

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ჩამოწერონ ნებისმიერი შეკითხვა, რაც აინტერესებთ ამ საკითხზე. სავარაუდოდ, ჩვენი სქემა ასეთ სახეს მიიღებს:

| ვიცი | მინდა ვიცოდე | ვისწავლე |
|---|---|---|
| მზე დიდი ვარსკვლავია, მთვარე ღამით ანათებს, ვარსკვლავები ღამით ანათებენ... | **რა ზომისაა მზე?<br>დედამიწა, მთვარე?<br>რა ფორმისაა მზე?<br>დედამიწა? მთვარე?<br>ვარსკვლავები?<br>რატომ არის მზე ცხელი?** | |

ამ სქემას მოსწავლეები იხაზავენ და ავსებენ თავიანთ რვეულებშიც.

*ტექსტის წაკითხვის დროს*

ამის შემდეგ მოსწავლეები მცირე ჯგუფებში კითხულობენ ტექსტს შემდეგი მიზნით:

- უნდა გადაამოწმონ სქემის პირველ სვეტში ჩაწერილი ინფორმაცია.
- უნდა მოიძიონ სქემის მეორე სვეტში ჩაწერილ შეკითხვებზე პასუხები.
- ახალი ინფორმაციით შეავსონ მესამე სვეტი

მოსწავლეები კითხულობენ და ავსებენ სქემას. მასწავლებელი, საჭიროებისდა მიხედვით, ეხმარება მოსწავლეებს.

*წაკითხვის შემდეგ*

მოსწავლეთა ჯგუფები წარმოადგენენ შევსებულ სქემებს. ადარებენ ერთმანეთის ნამუშევრებს. უპასუხებენ სახელმძღვანელოში მოცემულ შეკითხვებსაც.

დამატებით საშინაო დავალებად შეიძლება მიეცეთ ინფორმაციის მოძიება იმ შეკითხვებზე, რომელზე პასუხიც ვერ ნახეს ტექსტში